ა. ჩეხოვი

დუელი

თბილისი
2017

ა. ჩეხოვი

დუელი

თბილისი
2017

თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა
რედაქტორი თ. ჯოლოგუა

ISBN: 978-9941-27-415-2

თავი I

იქნებოდა ასე დილის რვა საათი – დრო, როცა ცხელი, ჩახუთული ღამის შემდეგ, ოფიცრები, ჩინოვნიკები და ჩამოსულები ზღვაში ბანაობენ და შემდეგ, ყავის ან ჩაის დასალევად, პავილიონს აკითხავენ. ივან ანდრეიჩ ლაევსკის, საბანაოდ მოსულ გამხდარ, 28 წლის ახალგაზრდა ქერა კაცს, ფინანსთა სამინისტროს ქუდი რომ ეხურა და ფეხსაცმელი ეცვა, სანაპიროზე ბევრი ნაცნობი დახვდა; მათ შორის, თავისი მეგობარი და ძმაკაცი, სამხედრო ექიმი სამოილენკო.

თმაშეკრეჭილი, დიდთავა, უკისრო, ღაჟღაჟა, ცხვირა, გაბა-ნჯგლულ შავწარბიანი და ჭაღარა ბაკენბარდიანი, სქელ–სქელი, გაფიჟვინებული და, ამასთანავე, არმიელისთვის დამახასიათებელი ხრინწიანი ბანის პატრონი, ეს სამოილენკო ყოველ ახალჩამოსულზე ბურბონისა და ჩხავანა კაცის უსიამო შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ გაცნობიდან ორი–სამი დღის შემდეგ მისი სახე არაჩვეულებრივად კეთილი, საყვარელი და ლამაზიც კი გეჩვენებოდათ. მიუხედავად სიტლანქისა და უხეში კილოსი, ის იყო თვინიერი, წყნარი, უსაზღვროდ კეთილი, გულთბილი და დაუზარელი. ქალაქში ყველას შენობით მიმართავდა, ფულს სესხად ყველას აძლევდა, ყველას მკურნალობდა, მაჭანკლობდა, არიგებდა; აწყობდა პიკნიკებს და მწვადსაც თვითონ წვავდა. და კეფალისაგან ძალიან გემრიელ უხასაც ხარშავდა. ყოველთვის ვიღაცისათვის რაღაცას თხოულობდა და ზრუნავდა და ყოველთვის რაღაცით ხარობდა. ყველას თვალში უცოდველი იყო. მხოლოდ ორადორი სისუსტე გააჩნდა; პირველი: თავისი სიკეთისა რცხვენოდა და ცდილობდა, ეს მკაცრი გამომეტყველებითა და მოჩვენებითი უხეშობით შეენიღბა. მეორე: უყვარდა, როცა ფელდშერები და

სალდათები "თქვენო აღმატებულებას!" უწოდებდნენ, თუმცა მხოლოდ "სტატსკი სოვეტნიკი" იყო.

— ერთ შეკითხვაზე მიპასუხე, ალექსანდრ დავიდიჩ, — დაიწყო ლაევსკიმ, როცა ორივენი, თვითონ და სამოილენკო, წყალში კისრამდე შევიდნენ. — ვთქვათ, შეგიყვარდა ქალი და ძალიან დაუახლოვდი. დავუშვათ, ერთად ორ წელზე მეტი იცხოვრეთ. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, მასზე გული აგიცრუვდა და იგრძენი, რომ ეს ქალი შენთვის უცხო ხდება. როგორ მოიქცეოდი?

— ძალიანაც უბრალოდ, ოთხკუთხივ ჯვარი გწერია— მეთქი, ვეტყოდი და გავუშვებდი. სულ ეს არის.

— სათქმელად ადვილია! მაგრამ თუ წასასვლელი არსად აქვს? მარტოხელა ქალია, უნათესაო, ერთი გროშიც არ გააჩნია და თანაც მუშაობაც არ იცის...

— მაშინ... ერთდროულად ხუთასს შევჩრიდი კბილებში, ან ყოველთვიურად ოცდახუთს დავუნიშნავდი და მორჩა! ამას რა უნდა!

— დავუშვათ, ხუთასიცა გაქვს და ყოველთვიური ოცდახუთიც, მაგრამ ის ქალი, რომელზედაც გელაპარაკები, ინტელიგენტია და ამაყი. ნუთუ გაუბედავდი და ფულს შესთავაზებდი? როგორ, რანაირად? რა ფორმით?

სამოილენკოს უნდოდა რაღაც ეპასუხა, მაგრამ ამ დროს დიდმა ტალღამ ორივეს თავზე გადაუარა, მერე ნაპირს დაეხეთქა და პატარა კენჭების ჩხრიალით უკან დაბრუნდა. მეგობრები ნაპირზე ავიდნენ და ჩაცმა დაიწყეს.

— რა თქმა უნდა, თუ არ გიყვარს, იმ ქალთან ცხოვრება ხათაბალაა, — თქვა სამოილენკომ, თან ჩექმებიდან ქვიშა გადმოყარა, — მაგრამ, ვანია, საჭიროა და ადამიანურად უნდა ვიმსჯელოთ. ასეთი რამ მე რომ შემემთხვას, არაფერს შევიმჩნევდი, არ ვაგრძნობინებდი, რომ აღარ მიყვარს და სიკვდილამდე მასთან ერთად ვიცხოვრებდი.

სამოილენკოს მაშინვე შერცხვა თავისივე სიტყვებისა და სხარტად დაამატა:

— ჩემთვის ეგ დედაკაცები გინდ ყოფილან და გინდ — არა. ჯანდაბას მაგათი თავი!

მეგობრებმა ჩაიცვეს და პავილიონისაკენ გასწიეს. აქ სამოილენკო შინაურად მიაჩნდათ და განსაკუთრებული, ცალკე ჭურჭლითაც კი ემსახურებოდნენ. ყოველ დილით მისთვის ლანგრით მოჰქონდათ ფინჯანი ყავა, მაღალი თლილი ჭიქით ყინულებიანი წყალი და სირჩა კონიაკი. სამოილენკო ჯერ კონიაკს სვამდა, მერე – ცხელ ყავას და ბოლოს ყინულიან წყალს აყოლებდა. ეს, ალბათ, ძალიან გემრიელი იყო, რადგანაც ამის შემდეგ სამოილენკოს თვალები ებინდებოდა, ორივე ხელს ბაკენბარდებზე ისვამდა, ზღვას შესცქეროდა და ამბობდა:

— განსაცვიფრებლად დიდებული ხედია!

გრძელი ღამის შემდეგ, რომელიც შემოეხარჯა უსიხარულო და უსარგებლო ფიქრში, ძილს რომ უფრთხობდა და თითქოს ღამეს უფრო ხუთავდა და უკუნეთს უფრო აძლიერებდა, ლაევსკი თავს უსიცოცხლოდ და უხალისოდ გრძნობდა. ბანაობამ და ყავამაც ვერ უშველა.

— საუბარი უნდა განვაგრძოთ, ალექსანდრ დავიდიჩ, — თქვა მან. — არ დაგიმალავ და, როგორც მეგობარს, გულახდილად გეტყვი: ჩემი და ნადეჟდა ფედოროვნას საქმე ცუდად არის... ძალიან ცუდად! მაპატიე, საკუთარ საიდუმლოს რომ გიზიარებ, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია და მეტად საჭირო ეს ვინმეს გავანდო.

სამოილენკომ წინასწარ იგრძნო, რა საუბარიც ელოდა, თვალები დახარა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— მასთან ორი წელი ვიცხოვრე და აღარ მიყვარს... — განაგრძო ლაევსკიმ, — უკეთ გეტყვი, უფრო სწორად, მივხვდი, რომ არავითარი სიყვარული არ იყო... ეს ორი წელი შეცდომა და ტყუილი იყო.

ლაევსკის ასეთი ჩვევა ჰქონდა: საუბრისას თავის ვარდისფერ ხელისგულებს დაკვირვებით დასჩერებოდა, ან ფრჩხილებს იკვნეტდა, ან თითებით მანჟეტებს ჭმუჭნიდა. ახლაც ასე იქცეოდა.

— ძალიან კარგად ვიცი, შენ რომ ვერ დამეხმარები, — განაგრძო მან, — მაგრამ იმიტომ გელაპარაკები, რომ ჩვენი ძმა – უიღბლო, ზედმეტ, უსარგებლო ადამიანისათვის ხსნა მხოლოდ ამ საუბარშია. მე უნდა განვაზოგადო ყოველი ჩემი საქციელი,

უნდა ვუპოვო გამართლება და ახსნა-განმარტება ჩემს უაზრო, უცნაურ, აბდა-უბდა ცხოვრებას ვიღაც-ვიღაცების თეორიებში, ლიტერატურულ პერსონაჟებში, მაგალითად, იმაშიც, რომ ჩვენ, თავად-აზნაურები, გადავგვარდით და ასე შემდეგ. გასულ ღამით, მაგალითად, თავს იმით ვინუგეშებდი, რომ სულ ასე ვფიქრობდი: ოხ, რა მართალია ტოლსტოი-მეთქი! რა უმოწყალოდ მართალია! და ცოტა შემიმსუბუქდა ნაღველი. მართლაც რომ უდიდესი მწერალია, ძმაო! თქმა არ უნდა.

სამოილენკო, რომელსაც არ წაეკითხა ტოლსტოი და ყოველდღე აპირებდა, შეცბა და თქვა:

— მართალია. ყველა მწერალი წარმოსახვით წერს. ის კი პირდაპირ ნატურიდან ხატავს.

— ღმერთო ჩემო, — ამოიოხრა ლაევსკიმ, — რა უკიდურესად დაგვამახინჯა ცივილიზაციამ! ქმრიანი ქალი შემიყვარდა; იმასაც შევუყვარდი... თავიდან კოცნებიც გვქონდა, მშვიდი საღამოებიც, ფიციც, სპენსერიც, იდეალებიც და საერთო ინტერესებიც. რა სიცრუე და სიყალბეა! ჩვენ, არსებითად, მისი ქმრისგან გავრბოდით, მაგრამ თავს ვიტყუებდით, თითქოს ჩვენივე ინტელიგენტური ცხოვრების სულიერ სიცარიელეს გავურბოდით. ჩვენი მომავალი ცხოვრება ასე გვესახებოდა: კავკასიაში, ვიდრე აქაურებს და აქაურობას გავიცნობდი, ჩავიცვამდი ვიცმუნდირს და ვიმსახურებდი. მერე ვიყიდიდით მიწის ნაკვეთს, თავდაუზოგავად ვიმუშავებდით, გავაშენებდით ვენახს, ყანებს და ამისთანებს. ჩემს ადგილას შენ ან ის შენი ზოოლოგი ფონ კორენი რომ ყოფილიყავით, შესაძლოა, თქვენ ნადეჟდა ფედოროვნასთან ერთად ოცდაათი წელი გეცხოვრათ და მემკვიდრეებისათვის მსხმოიარე, მდიდარი ვენახი და ათასი დესეტინა სიმინდის ყანაც დაგეტოვენიბათ; მე კი პირველივე დღეს უძლურება ვიგრძენი, გავბანკროტდი. ქალაქში აუტანელი სიცხე, მოწყენილობა და უკაცრიელობაა. მინდვრად გახვალ და ყოველი ბუჩქისა და ლოდის ქვეშ ფალანგები, მორიელები და გველები გელანდება. მინდვრებს იქით კი მხოლოდ და მხოლოდ მთები და უდაბნოა. უცხო ხალხი, უცხო ბუნება, უბადრუკი კულტურა — ყველაფერი ეს, ჩემო ძმაო, არც ისე

ადვილია, როგორც ქურქში ჩათბუნება, ნევის პროსპექტზე ნადეჟდა ფედოროვნასთან ხელგაყრილი სეირნობა და თბილ ქვეყნებზე ოცნება! აქ სამკვდრო— სასიცოცხლო ბრძოლაა საჭირო. აბა, მე, საცოდავი ნევრასთენიკი და ხელთუპოვარი, რა მებრძოლი ვარ? პირველივე დღეს მივხვდი, ჩემი ოცნება შრომით ცხოვრებასა და ვენახებზე — ფუჭია. რაც შეეხება სიყვარულს, უნდა გითხრა, რომ ცხოვრება იმ ქალთან, რომელსაც სპენსერი წაუკითხავს და შენს გამო ცხრა მთას იქით წამოვიდა, ისევე უინტერესოა, როგორც ნებისმიერ ანფისასთან ან აკულინასთან. იქაც პუდრის, უთოს და წამლების სუნი დგას. ყოველ დილით პაპილეტებია და ისეთივე თავის მოტყუება და გაბითურება.

— უთოს გარეშე მეოჯახეობა არ გამოდის, — თქვა სამოილენკომ და გაწითლდა, რადგანაც ლაევსკი ასე გულახდილად ელაპარაკებოდა, თანაც ნაცნობ ქალზე. — ვანია, გატყობ, დღეს რაღაც უგუნებოდა ხარ. ნადეჟდა ფედოროვნა მშვენიერი, განათლებული ქალია, შენ – უდიდესი, ბრწყინვალე გონების პატრონი... მართალია, ჯვარი არ დაგიწერიათ, მაგრამ ეს ხომ თქვენი ბრალი არ არის. ამასთანავე... ცრურწმენებს არ უნდა ავყვეთ და თანამედროვე იდეებსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. მე თვითონ სამოქალაქო ქორწინების მომხრე ვარ, დიახ... მაგრამ ქალს ერთხელ თუ შეეყარე, სიკვდილამდე ერთად უნდა იცხოვროთ.

— უსიყვარულოდ?

— ახლავე ყველაფერს აგიხსნი, — თქვა სამოილენკომ. — რვა წლის წინ აქ, ჩვენთან, აგენტად ერთი უდიდესი გონების ბერიკაცი იყო. მომისმინე, აი, რას ამბობდა: ოჯახურ ცხოვრებაში მთავარი მოთმინებააო, გესმის, ვანია? სიყვარული კი არა, მოთმინება. სიყვარული დიდხანს ვერ ცოცხლობს, შენ ორი წელი სიყვარულში იცხოვრე. ახლა, როგორც ჩანს, შენს ოჯახურ ცხოვრებას ის დრო დაუდგა, როცა შენ, წონასწორობის შესანარჩუნებლად, როგორ გითხრა, მთელი შენი მოთმინება უნდა აამუშაო და გამოიყენო.

— შენ გჯერა შენი მოხუცი აგენტისა, მაგრამ ჩემთვის მისი რჩევა უაზრობაა. შენი ბერიკაცი, შესაძლოა, თვალთმაქცობდა. ის, შესაძლოა, მოთმინებას ივარჯიშებდა და მოძულებული ადამიანი

ვარჯიშისთვის აუცილებელ საგნად მიაჩნდა. მაგრამ მე ჯერ ასე მდაბლად არ დავცემულვარ; მოთმინების გავარჯიშება როცა მომინდება, სატანვარჯიშო გირს ან ოჩან ცხენს ვიყიდი; ადამიანს კი არ შევაწუხებ.

სამოილენკომ ყინულიანი თეთრი ღვინო მოითხოვა. თითო ჭიქა რომ დალიეს, ლაევსკიმ მოულოდნელად იკითხა:

— მითხარი, გეთაყვა, რას ნიშნავს ტვინის დარბილება?

— ეს, როგორ აგიხსნა... ისეთი დაავადებაა, როცა ტვინი თითქმის თხელდება.

— იკურნება?

— დიახ, თუ ძალიან მიშვებული არ არის. ცივი შხაპი, მარიამბულას სალბუნები... და კიდევ შინაგანი, რაიმე...

— ჰოო, აი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ. ნადიასთან ცხოვრება არ შემიძლია, ეს ჩემს ძალ–ღონეს აღემატება. ვიდრე შენთან ვარ, ვფილოსოფოსობ, ვიღიმები, შინ კი სულით ვეცემი... სრულიად! თავს ისე საზარლად ვგრძნობ, ვინმემ რომ მითხრას, ნადიასთან კიდევ ერთი თვე უნდა იცხოვროო, არც დავფიქრდები, ისე ვიკრავ შუბლში ტყვიას, მაგრამ, ამავე დროს, მასთან გაყრა არ შეიძლება. მარტოხელაა, საქმე არ იცის, ფული არც იმასა აქვს, არც – მე... სად უნდა წავიდეს? ვის უნდა მიადგეს? ვერაფერი მომიფიქრებია... აბა, ახლა მითხარი: რა ვქნა?

— მ-დაა! — წაიდუდუნა სამოილენკომ, რადგანაც არ იცოდა, რა ეპასუხა. — უყვარხარ?

— დიახ. ვუყვარვარ იმდენად, რამდენადაც მისი ასაკისა და ტემპერამენტის ქალს სჭირდება მამაკაცი. ჩემთან განშორება მას ისევე გაუჭირდება, როგორც პუდრთან ან პაპილოტებთან. მისთვის მე საკუთარი ბუდუარის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ვარ.

სამოილენკიომ დაიმორცხვა.

— ვანია, დღეს შენ მართლა უგუნებოდა ხარ, — თქვა მან. — ალბათ, არ გეძინა.

— ჰო, ცუდად მეძინა... საერთოდ, ცუდად ვგრძნობ თავს, ძმაო! თავი არ მუშაობს, გული უშნოდ მიფანცქალებს, რაღაცნაირი სისუსტე შემომეჩვია... უნდა გავიქცე!

— სად?

— იქ, ჩრდილოეთში. ნაძვებთან, სოკოებთან, ადამიანებთან, იდეებთან. სიცოცხლის ნახევარს მივცემდი, სადმე მოსკოვის ან ტულის გუბერნიაში ახლავე მდინარეში რომ მაბანავა, გამყინა, გამთოშა და მერე სამი საათი თუნდაც ყველაზე სუსტ სტუდენტთან ერთად მეხეტიალა და მელაყბა, მელაყბა, მელაყბა; ო, რა სუნი აქვს ახლადმოთიბულ თივას! გახსოვს? საღამოთი კი ბაღში სეირნობისას სახლიდან სიოს როიალის ხმა მოაქვს და მატარებლის თვლების რაკარუკიც ისმის.

— მე კი თვრამეტი წელია რუსეთში არ ვყოფილვარ, — თქვა სამოილენკომ, — იქაურობა დამავიწყდა. ჩემის აზრით, კავკასიაზე მშვენიერი მხარე არ არის.

— ვერეშჩაგინს აქვს ერთი ასეთი ნახატი: უძირო ჭის ფსკერზე სიკვდილმისჯილნი იტანჯებიან. სწორედ ასეთ უძირო ხაროდ მეჩვენება ეს შენი მშვენიერი კავკასია. რომ შემომთავაზონ ორიდან ერთი: ბუხრის მწმენდაობა პეტერბურგში ან აქაური თავადობა, დაუფიქრებლად ბუხრის მწმენდავად დავდგებოდი.

ლაევსკი ჩაფიქრდა. მის წელში მოხრილ სხეულს, ერთ წერტილში მიპყრობილ თვალებს, გაფითრებულ ოფლიან სახეს, ჩაცვივნულ საფეთქლებს, დაკვნეტილ ფრჩხილებს, ქუსლთან ჩამოკიდებულ ფეხსაცმელს, უხეიროდ დაკემსილ წინდას რომ უყურებდა, სამოილენკოს გული აუჩუყდა, და, ალბათ, ამიტომ, ლაევსკიმ უმწეო ბავშვი რომ მოაგონა, იკითხა:

— დედაშენი ცოცხალია?

— დიახ, მაგრამ დავცილდით. ეს კავშირი ვერა და ვერ მაპატია.

სამოილენკოს თავისი ძმაკაცი უყვარდა. ლაევსკი მისთვის იყო კეთილი ბიჭი, სტუდენტი, გულღია ადამიანი, რომელთანაც სმაც შეიძლებოდა, სიხალისეც და გულახდილი საუბარიც. ის, რაც ესმოდა ლაევსკისა, მეტისმეტად არ მოსწონდა. ლაევსკი ბევრს და უდროო დროს სვამდა, ბანქოს თამაშობდა, საკუთარი სამსახური ეზიზღებოდა, ხარჯვაში შესაძლებელ სახსარს არ ითვალისწინებდა, საუბარში უშვერ სიტყვებს ხშირად ხმარობდა, ქუჩაში ფეხსაცმლით დადიოდა და უცხოთა თანდასწრებით ნადეჟდა ფედოროვნას ეჩხუბებოდა. ეს

არ მოსწონდა სამოილენკოს. ის კი, ლაევსკი ოდესღაც ფილოლოგიურ ფაკულტეტზე რომ სწავლობდა, ორ ძალზე უხვფურცლიან ჟურნალს რომ იწერდა, ხშირად ისე ჭკვიანურად მსჯელობდა, რომ ერთეულებს ესმოდათ მისი, ინტელიგენტ ქალთან რომ ცხოვრობდა – ეს ყველაფერი სამოილენკოს არ ესმოდა და ძალიან მოსწონდა. ლაევსკის ის საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა და პატივსა სცემდა.

— და კიდევ ერთი... — თქვა ლაევსკიმ და თავი აიქნია. — ოღონდ ჩვენ შორის დარჩეს. ნადეჟდა ფედოროვნას ამას ჯერჯერობით ვუმალავ და მისი თანდასწრებით არ წამოგცდეს... სამი დღის წინ წერილი მივიღე. მისი ქმარი ტვინის შერბილებისგან გარდაიცვალა.

— ღმერთმა ცათა შინა სასუფეველი დაუმკვიდროს... — ამოიოხრა სამოილენკომ. — რატომ უმალავ?

— გინდ ეს წერილი მიჩვენებია და გინდ ეკლესიაში ჯვრის დასაწერად მიმიწვევია. ჯერ ჩვენი ურთიერთობის გარკვევაა საჭირო. როცა დარწმუნდება, რომ ჩვენი თანაცხოვრება შეუძლებელია, აი, მაშინ ვუჩვენებ წერილს. მაშინ ეს უსაფრთხო იქნება.

— იცი, რას გეტყვი, ვანია? — თქვა სამოილენკომ და სახე უცებ ისეთი სევდიანი და მავედრებელი გაუხდა, თითქოს უნდოდა რაღაც ძალიან ტკბილი ეთხოვა და ეშინოდა, უარს მეტყვიანო. — შეირთე, გეთაყვა, შეირთე!

— რატომ?

— აღასრულე ვალი შენი, ამ მშვენიერი ქალისა რომ გმართებს! ქმარი გარდაეცვალა; თვითონ განგება ამგვარად მიგითითებს, რაც უნდა ქნა.

— შეუძლებელია, როგორ არ გესმის! უსიყვარულო ქორწინება ისეთივე საზიზღარი და უღირსი საქციელია, როგორც წირვის აღსრულება ურწმუნოს მიერ.

— მაგრამ შენ ხომ ვალდებული ხარ?

— რატომ ვარ ვალდებული? — იკითხა გაღიზიანებულმა ლაევსკიმ.

— იმიტომ, რომ ქმარს მოსტაცე და მასზე პასუხისმგებლობა იკისრე.

— მაგრამ... რამდენჯერ გაგიმეორო: არ მიყვარს!

— თუ არ გიყვარს, თავი მაინც მოუქონე, პატივი ეცი...

— თავი მოუქონე, პატივი ეცი... — გამოაჯავრა ლაევსკიმ, — დედათა მონასტრის წინამძღვარი ხომ არ არის?! ცუდი ფსიქოლოგი და ფიზიოლოგი ყოფილხარ, თუ ფიქრობ, რომ ქალთან თანაცხოვრებისას მხოლოდ პატივისცემით ან თაყვანისცემით გამოხვალ იოლად. ქალს, უპირველეს ყოვლისა, საწოლი უნდა, საწოლი სჭირდება!

— ვანია, ვანია... — შეცბა სამოილენკო.

— შენ ბებერი ბავშვი და თეორეტიკოსი ხარ, მე კი — ახალგაზრდა მოხუცი და პრაქტიკოსი. ჩვენ ვერასოდეს გავუგებთ ერთმანეთს. აჯობებს, შევწყვიტოთ ეს კამათი. მუსტაფა! — შესძახა ლაევსკიმ მსახურს, — ჩვენზე რამდენია?

— არა, არა... — შეშფოთდა ექიმი და ლაევსკის ხელი სტაცა, — შეკვეთას მე ვიძლეოდი და მე გადავიხდი. ჩემზე ჩაწერე! — მიაძახა მუსტაფას.

ძმაკაცები წამოდგნენ და უჩუმრად გაუყვნენ სანაპიროს. ბულვარის შესასვლელთან შეჩერდნენ და დამშვიდობებისას ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ძალიან განებივრებული და თავგასულები ბრძანდებით, ბატონებო! — ამოიოხრა სამოილენკომ. — ბედმა ახალგაზრდა, ლამაზი, განათლებული ქალი გამოგიგზავნა, შენ კი უარობ. აი, ღმერთს ჩემთვის თუნდაც გვერდელა დედაკაცი რომ გამოეგზავნა, ოღონდ ალერსიანი და კეთილი, იცი, რა კმაყოფილი ვიქნებოდი! ვიცხოვრებდით ერთად ჩემს ვენახში და...

სამოილენკო უცებ გონს მოეგო და დასძინა: ვუჩვენებ სეირს იმ ბებრუხუნა კუდიანს, სამოვრის დადგმა თუ დაავიწყდება!

ლაევსკის რომ გამოემშვიდობა, სამოილენკო ბულვარს გაუყვა. როცა ის, მძიმე, დიდებული, მკაცრსახიანი, ქათქათა თეთრ კიტელში გამოწკეპილი, უებროდ გაპრიალებულ ჩექმებში, გამოქაჩულ მკერდზე ბაბთიანი ვლადიმირით მიდიოდა, ძალიან მოსწონდა საკუთარი თავი და ეგონა, რომ მთელი ქვეყნიერება სიამოვნებით მისჩერებოდა. თავგაუნძრევლად იცქირებოდა აქეთ-იქით და ასკვნიდა, რომ ბულვარი საკმაოდ კარგად კეთილმოეწყოთ,

რომ ახალგაზრდა კიპარისები, ევკალიპტები და ულამაზო გამოფიტული პალმები, ძალიან ლამაზი სანახავია და აქაურობას მალე ფართე ჩრდილს დასცემენ, რომ ჩერქეზები პატიოსანი, სტუმართმოყვარე ხალხია. "ძალიან მიკვირს, ლაევსკის კავკასია რომ არ მოსწონს, — ფიქრობდა იგი, — ძალიან მიკვირს". ექიმს შემოხვდა ხუთი თოფიანი ჯარისკაცი და მხედრულად მიესალმნენ. ბულვარის მარჯვენა ტროტუარზე ერთმა ჩინოვნიკის ცოლმა და მისმა გიმნაზისტმა ბიჭმა ჩაიარეს:

— დილა მშვიდობისა, მარია კონსტანტინოვნა! — შეუძახა სამოილენკომ და კეთილად გაუღიმა. — საბანაოდ იყავით? ხა-ხა-ხა... ჩემი სალამი ნიკოდიმ ალექსანდრიჩს!

და გზა განაგრძო. ისევ გულთბილად იღიმებოდა, მაგრამ შემხვედრი სამხედრო ფერშალი რომ დაინახა, კოპები შეიკრა, გააჩერა და ჰკითხა:

— ლაზარეთში არის ვინმე?

— არავინ, თქვენო აღმატებულებავ!

— რაო?

— არავინ. თქვენო აღმატებულებავ!

— კარგი, თავისუფალი ხარ...

მედიდური რწევა-რწევით სამოილენკო ლიმონათის ჯიხურისკენ გაეშურა. დახლთან იჯდა ხანშიშესული მკერდსავსე ებრაელი ქალი, რომელიც თავს რატომღაც ქართველად ასაღებდა. სამოილენკომ ისე ხმამაღლა მიმართა, თითქოს მთელ პოლკს უბრძანებსო:

— გეთაყვა, სოდიანი წყალი დამისხით, თუ შეიძლება!

თავი II

ნადეჟდა ფედოროვნას მიმართ ლაევსკის სიძულვილი გამოიხატებოდა იმაში, რომ რაც უნდა ეკეთებინა ან ეთქვა – მტკნარ სიცრუედ ან ამის მსგავსად ეჩვენებოდა; ხოლო ყველაფერი – რასაც სიყვარულსა და ქალზე ცუდს კითხულობდა, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე შეეფერებოდა თვითონ, ნადეჟდა ფედოროვნას და მის ქმარს. შინ რომ დაბრუნდა, ნადია უკვე გამოპრანჭული და

დავარცხნილი, ფანჯარასთან შეფიქრიანებული სახით იჯდა, ყავას მიირთმევდა და მსხვილტანიან ჟურნალს ათვალიერებდა. ლაევსკიმ კი გაიფიქრა: ყავის სმა არც ისეთი საგანგებო მოვლენაა, რომ ამის გამო შეიჭმუხნო და შეფიქრიანდე; მოდური ვარცხნილობისთვისაც ტყუილად დაუხარჯავს დრო, რადგანაც უაზრობაა თავი ვინმეს მოაწონო, აქ ასეთი არავინ არის; ჟურნალის ფურცვლაშიც სიყალბე დაინახა. ასე იფიქრა; გამოიპრანჭა და დაივარცხნა, ლამაზად რომ მოგვაჩვენოს თავი და კითხულობს იმიტომ, ჭკვიანი რომ გვეგონოს.

— რა იქნება საბანაოდ რომ წავიდე? — იკითხა ქალმა.

— წახვალ თუ არ წახვალ, ვიმედოვნებ, ამის გამო დედამიწა არ შეტორტმანდება.

— ამას იმიტომ გეკითხები, ექიმი ხომ არ გაბრაზდება - მეთქი.

— ჰო და, შენც ექიმს ჰკითხე. მე ხომ ექიმი არა ვარ.

ლაევსკის ამჯერად ყველაზე უფრო არ მოეწონა ნადეჟდა ფედოროვნას თეთრი, გაშიშვლებული ყელი, კეფაზე კულულებად ჩამოშლილი თმა და მაშინვე გაახსენდა, რომ ანა კარენინასაც, როცა ქმარი შესძულდა, არ მოსწონდა, უპირველეს ყოვლისა, მისი ყურები; და გაიფიქრა: "რა ნაღდია! რა სიმართლეა!" თითქოს თავი გამოულაყდა, სისუსტე იგრძნო და თავის კაბინეტში შევიდა, დივანზე წამოწვა და სახეზე ცხვირსახოცი დაიფარა, ბუზებს რომ არ შეეწუხებინა. ტვინში აეზილა სულ ერთიდაიგივე, გულისგამაწვრილებელი ფიქრი, როგორც გრძელი ქარავანი – აღალი – შემოდგომის ავდრიან საღამოს; სიზმრისეული, დატანჯული მდგომარეობა დაეუფლა. ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ იყო დამნაშავე ნადეჟდა ფედოროვნას და მისი ქმრის წინაშე; რომ ნადიას ქმრის სიკვდილი ამისი ბრალი იყო. ეჩვენებოდა, რომ დამნაშავე იყო საკუთარი ცხოვრების გამოც, რომელიც წაახდინა მაღალი იდეების, ცოდნისა და შრომის სამყაროს წინაშე; ხოლო ეს მშვენიერი სამყარო – შესაძლებელი და არსებული – წარმოედგინა არა აქ, სანაპიროზე, სადაც მშიერი თურქები და ზარმაცი აფხაზები დაბორიალებენ, არამედ იქ, ჩრდილოეთით, სადაც ოპერაა, თეატრები, გაზეთები და გონებრივი შრომის ყველანაირი საშუალება და სახე. პატიოსანი, ჭკვიანი, ამაღლებული და სპეტაკი შეიძლება

იყო მხოლოდ იქ და არა აქ. თავს იდანაშაულებდა იმაში, რომ არ ჰქონდა იდეალები და ცხოვრების სახელმძღვანელო იდეები, თუმცა ახლაც ძლივს ესმოდა, ეს რას ნიშნავდა. ორი წლის წინ, ნადეჟდა ფედოროვნა როცა შეუყვარდა, ეგონა, რომ დაუახლოვდება თუ არა ნადეჟდა ფედოროვნას და კავკასიაში წაიყვანს, თავს იხსნის ცხოვრების უხამსობისა და სიცარიელისაგან. ზუსტად ასევე, ახლაც, უკვე დარწმუნებული იყო, რომ ნადეჟდას მიატოვებდა და პეტერბურგს გაემგზავრებოდა თუ არა, რაც ესაჭიროებოდა, ყველაფერს მიიღებდა.

— უნდა გავიქცე! — ჩაიბურტყუნა, წამოჯდა და ფრჩხილებს დაუწყო კვნეტა, — უნდა გავიქცე!

წარმოიდგინა, როგორ ჯდება გემზე, მერე – საუზმობს, ცივ ლუდს მიირთმევს, გემბანზე მანდილოსნებს ებაასება, მერე სევასტოპოლში მატარებელზე გადაჯდება და მიქრის. გამარჯობა, თავისუფლებავ!! სადგურები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. ჰაერი თანდათან ცივი და მძიმე ხდება. აი, არყის ხეები და ნაძვები, აი, კურსკი და მოსკოვი... ბუფეტში შჩის, ფაფიან ცხვრის ხორცს, თართს, ლუდს ჰყიდიან. ერთი სიტყვით, აზია კი არა, რუსეთია, ნამდვილი რუსეთი. მატარებელში მგზავრები ვაჭრობაზე, ახალ მომღერლებზე, საფრანგეთ–რუსეთის სიმპათიებზე ლაპარაკობენ. ყველგან სიცოცხლით სავსე, კულტურული, ინტელიგენტური და მხნე ცხოვრება იგრძნობა... უფრო ჩქარა, სწრაფად! როგორც იქნა! აი, ნევის პროსპექტი, დიდი ზღვის ქუჩა, კოვენსკის შესახვევი, სადაც ოდესღაც სტუდენტებთან ერთად ვცხოვრობდი; აი, ჩემი საყვარელი, ნაცრისფერი ცა, წვრილი წვიმა, სველი, წვიმით დამბალი მეეტლეები.

— ივან ანდრეიჩ! — მეზობელი ოთახიდან უხმობენ. — შინ ბრძანდებით?

— დიახ, გახლავართ! — უპასუხა ლაევსკიმ, — რა გნებავთ?

— ქაღალდებია!

ლაევსკის თავბრუ ეხვეოდა. ზლაზვნით წამოდგა, მთქნარებითა და ფეხსაცმლის ტყაპუნით მეზობელ ოთახში გავიდა. იქ, ღია ფანჯარასთან, ქუჩაში ერთი მისი ახალგაზრდა თანამშრომელი იდგა და რაფაზე სახაზინო ქაღალდებს ალაგებდა.

— ახლავე, გეთაყვა, — გულთბილად უთხრა ლაევსკიმ და სამელნის მოსაძებნად შებრუნდა. ფანჯარასთან რომ მივიდა, ზედაც არ დაუხედავს, ყველა ქაღალდს ისე მოაწერა ხელი და თქვა: — ცხელა!

— დიახ - ს. დღეს მოხვალთ?

— არა მგონია... რაღაც შეუძლოდა ვარ... თუ შეიძლება, უთხარით შეშკოვსკის, რომ სადილობის შემდეგ შევუვლი.

ჩინოვნიკი წავიდა. ლაევსკი ისევ დივანს მიუბრუნდა, წამოწვა და ფიქრს მიეცა:

"მაშ, ასე: საჭიროა ყველა ვითარება შევაფასო და ავწონ - დავწონო. ვიდრე აქაურობას მოვშორდები, ვალები უნდა გავისტუმრო. ვალი ორი ათასამდე მექნება. ფული არა მაქვს... ეს, რა თქმა უნდა, მთავარი არ არის; ნაწილს ახლავე როგორმე გადავიხდი, დანარჩენს პეტერბურგიდან გამოვგზავნი. მთავარი ნადეჟდა ფედოროვნაა... უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ურთიერთობა უნდა გაირკვეს... დიახ."

ცოტა ხნის შემდეგ კი მოიფიქრა: რჩევისათვის სამოილენკოსთან ხომ არ წავიდეო?

"წასვლით კი წავალ, — ფიქრი განაგრძო, — მაგრამ რა ხეირია? ისევ უადგილო ადგილას წამოვროშავ რაღაცას ბუდუარზე, ქალებზე, პატიოსნებასა და უპატიო საქციელზე. თუმცა, ეშმაკმა დალახვროს, რა საუბარი შეიძლება პატიოსან ან უპატიოსნო საქციელზე, როცა გადაუდებლად, სასწრაფოდ უნდა ვიხსნა საკუთარი თავი და სიცოცხლე, როცა სული მეხუთება, ვიხრჩობი ამ დაწყევლილ ტყვეობაში და თავს ვიკლავ. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა შევიგნო, გაგრძელება ისეთი ცხოვრებისა, როგორიც ჩემია – ეს ულმობლობა, საზიზღრობა და სისასტიკეა და ამასთან შედარებით დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა და არარაობა. უნდა გავიქცე! — ჩაიბურტყუნა და დაჯდა. — უნდა გავიქცე!"

ზღვის უდაბური სანაპირო, დაუცხრომელი ხვატი, ერთფეროვნება მარად უცვლელ და მდუმარე, მარად სიმარტოვეში დარჩენილ იისფერი და დანისლული მთებისა, ლაევსკის სევდასა გვრიდა და როგორც ეგონა, სიფხიზლეს უდუნებდა და ქურდავდა. ეგებ,

ძალიან ჭკვიანია, ტალანტი, უაღრესად პატიოსანი; ეგებ, ყოველი მხრიდან ზღვითა და მთებით რომ არ იყოს შემოხუთული, მისგან საუცხოო სახაზინო მუშაკი, სახელმწიფო რანგის მოხელე, ორატორი, პუბლიცისტი, დიდი მოღვაწე გამოსულიყო. ვინ იცის! თუ ასეა, მაშინ... სისულელე ხომ არ არის იმის ახსნა – განმარტება, პატიოსანი თუ უზნეო საქციელია ნიჭიერი, გამოსადეგი ადამიანი, მაგალითად, მუსიკოსი ან მხატვარი, ტყვეობიდან თავის დასახსნელად კედლებს რომ ამტვრევს და ციხის ზედამხედველებს აცუცურაკებს. ამ მდგომარეობაში ასეთი კაცისთვის ყველაფერი ზნეობრივია.

ორ საათზე ლაევსკი და ნადეჟდა ფედოროვნა სადილად დასხდნენ. მზარეულმა ქალმა პომიდვრიანი ბრინჯის წვნიანი რომ მიართვა, ლაევსკიმ თქვა:

— ყოველდღე ერთი და იგივე, ერთი და იგივე. ეგებ, შჩი მოგვეხარშა?

— კომბოსტო არა გვაქვს.

— საკვირველია, სამოილენკოსთანაც ხარშავენ კომბოსტოს შჩის, მარია კონსტანტინოვნასთანაც და რატომღაც მაინცდამაინც მე ვარ ვალდებული ეს მოტკბო თხლე ვხეთქო. ასე არ შეიძლება, ჩემო მტრედო.

როგორც ეს ცოლ-ქმართა უმეტეს უმრავლესობაში ხდება, ადრე ლაევსკისა და ნადეჟდა ფედოროვნას არცერთი სადილი კაპრიზებისა და სცენების გარეშე არ ჩაივლიდა ხოლმე; მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა, აღარ მიყვარსო, ცდილობდა ყველაფერში დაეთმო ნადეჟდა ფედოროვნასთვის, თბილად და თავაზიანად ესაუბრებოდა, უღიმოდა და ჩემო მტრედოს ეძახდა.

— ეს წვნიანი გემოთი ძირტკბილასა ჰგავს, — თქვა და გაიღიმა; თავს ძალას ატანდა, ყოველი ღონე იხმარა ალერსიანი ყოფილიყო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და დასძინა: — ჩვენ მეურნეობაზე აღარავინ ზრუნავს... თუ ასე ავად ხარ, ან თუ კითხვის გამო ვეღარ იცლი, მაშინ, ნება მიბოძე და მე მივხედავ ჩვენ სამზარეულოს.

ადრე ნადეჟდა უპასუხებდა: "მიხედე" ან "შენ, რა, მზარეულად გინდა მაქციო?" მაგრამ ახლა მხოლოდ მფრთხალად შეხედა ლაევსკის და გაწითლდა.

— აბა, მითხარი, დღეს თავს როგორა გრძნობ? — ჰკითხა ლაევსკიმ ალერსიანად.

— დღეს... არამიშავს. აი, მხოლოდ რაღაც სისუსტესა ვგრძნობ.

— თავს უნდა გაუფრთხილდე, ჩემო მტრედო. საშინლად ვშიშობ შენს გამო.

ნადეჟდა ფედოროვნას რაღაც ავადმყოფობა სჭირდა. სამოილენკო ამბობდა, მოციმციმე ციებ-ცხელება აქვსო და ქინაქინით სჭყიპავდა; მეორე ექიმი კი, უსტინოვიჩი, – მაღალი, ხმელ-ხმელი, ბაიყუში კაცი, დღისით სულ შინ რომ იჯდა, საღამოთი ხელებს ზურგს უკან რომ დაიწყობდა, ხელჯოხსაც ზურგის გასწვრივ რომ იჭერდა, სანაპიროზე ნელა რომ სეირნობდა და ახველებდა, – ფიქრობდა, ნადეჟდა ფედოროვნას ქალური დაავადება სჭირსო და ჩამათბუნებელ კომპრესებს უნიშნავდა. ადრე, როცა ლაევსკის უყვარდა, ნადეჟდა ფედოროვნას ავადმყოფობა სიბრალულსა და შიშს უღვიძებდა, ახლა ამ ავადმყოფობაშიც კი სიყალბეს ხედავდა. ყვითელი, ნამძინარევი სახე, უსიცოცხლო გამომეტყველება და მთქნარება, რაც ნადეჟდა ფედოროვნას ციებ-ცხელების შეტევის შემდეგ ემართებოდა, ისიც, შეტევის დროს პლედგადაფარებული ბიჭს უფრო რომ ჰგავდა ვიდრე ქალს, ისიც მის ოთახში დახუთული ჰაერი და ცუდი სუნი რომ იდგა, – ყველაფერი ეს, მისი აზრით, ყოველგვარ ილუზიებს ამსხვრევდა და სიყვარულისა და ქორწინების წინააღმდეგ პროტესტი იყო.

სადილის მეორე თავად ლაევსკის ისპანახი და მაგრად მოხარშული კვერცხები მიართვეს. ნადეჟდა ფედოროვნას, როგორც ავადმყოფს, კისელი და რძე. როცა ქალი მწუხარე სახით კოვზით ჯერ კისელს შეეხო, მერე ზანტად დაიწყო ჭამა და მერე რძე მიაყოლა, ლაევსკის ჩაესმა ყლაპა-ყლუპის ხმა და ისეთმა მურტალმა სიძულვილმა აიტანა, რომ თავიც კი აჰქავდა. აცნობიერებდა, რომ ასეთი ზიზღი ძაღლისთვისაც კი შეურაცხმყოფელი იქნებოდა, მაგრამ საკუთარი თავი კი არა, ნადეჟდა ფედოროვნა ეცოდებოდა, რადგანაც ის აღძრავდა მასში ამ გრძნობას და ახლა უფრო კარგად ესმოდა, კაცები რატომ კლავენ ხოლმე ხანდახან საყვარლებს. არა, თვითონ არ მოკლავდა, მაგრამ ამჟამად ნაფიცი მსაჯული რომ ყოფილიყო,

მკვლელს უპირობოდ გაამართლებდა.

— მერსი, ჩემო მტრედო, — თქვა სადილის ბოლოს ლაევსკიმ და ნადეჟდა ფედოროვნას შუბლზე ეამბორა.

თავის კაბინეტში რომ დაბრუნდა, ხუთი წუთი მაინც ბოლთასა სცემდა, თან ჩექმებს გახედავდა ხოლმე. მერე დივანზე ჩამოჯდა და წაიბურტყუნა:

— უნდა გავიქცე, უნდა გავიქცე! ურთიერთობას გავარკვევ და გავიქცევი!

დივანზე წამოწვა და ისევ გაახსენდა, რომ ნადეჟდა ფედოროვნას ქმრის სიკვდილი, შესაძლოა, მისი ბრალი იყო.

"ადამიანის დადანაშაულება იმაში, რომ შეუყვარდა ან გადაუყვარდა, სისულელეა, — არწმუნებდა საკუთარ თავს და წამოწოლილი ფეხებს მაღლა იშვერდა, ჩექმები რომ ჩაეცვა. — სიყვარული, არც სიძულვილი, ჩვენ არ გვემორჩილება. რაც შეეხება ქმარს, შესაძლოა, მე ირიბად მაინც ვიყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი მისი სიკვდილისა, მაგრამ კიდევ ერთხელ ვკითხულობ: რა დავაშავე იმით, რომ მისი ცოლი შემიყვარდა და იმასაც მე შევუყვარდი?"

შემდეგ წამოდგა, ქუდი იპოვა და გაეშურა თავის თანამშრომელ შეშკოვსკისთან, ვისთანაც ჩინოვნიკები ვინტის სათამაშოდ და ცივი ლუდის სასმელად ყოველდღე იკრიბებოდნენ.

"ჩემი გაუბედაობითა და ყოყმანით ჰამლეტსა ვგავარ, — ფიქრობდა გზაში ლაევსკი. — რა ზუსტად შენიშნა შექსპირმა! ოხ, რა სიმართლეა!"

თავი III

მოწყენილი რომ არ ყოფილიყო და თანაც ახლადჩამოსულთა და უოჯახოთა უკიდურესი საჭიროებანი გაეთვალისწინებინა, რადგანაც ქალაქში სასტუმრო არ იყო და ვერსად ისადილებდით, ექიმ სამოილენკოს თავის სახლში რაღაც ტაბლდოტივით ეჭირა. იმ დროს, რომელსაც აღვწერთ, მასთან მხოლოდ ორნი სადილობდნენ: ახალგაზრდა ზოოლოგი ფონ კორენი, რომელიც შავი ზღვის

მედუზების ემბრიოლოგიის შესასწავლად ზაფხულში ჩამოვიდა და ახლად სემინარიადამთავრებული დიაკვანი პობედოვი, რომელიც სამკურნალოდ გამგზავრებული მოხუცი დიაკვნის მოვალეობის შესასრულებლად მოავლინეს. ორივენი სადილსა და ვახშამში თორმეტ-თორმეტ მანეთს იხდიდნენ. სამოილენკომ ორივეს პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ სადილად აკურატულად, ზუსტად ორ საათზე გამოცხადდებოდნენ.

პირველი ყოველთვის ფონ კორენი მოდიოდა. ის ჩუმად ჩამოჯდებოდა სასტუმრო ოთახში, მაგიდიდან ალბომს აიღებდა და ვიღაც უცნობი განიერშარვლიანი, ცილინდრიანი მამაკაცებისა და კრინოლინიანი, ჩაჩიანი ქალების გახუნებულ ფოტოებს ყურადღებით ათვალიერებდა. სამოილენკოს მხოლოდ ზოგიერთის გვარი ახსოვდა; იმათზე კი, ვინც დავიწყებული ჰყავდა, ოხვრით ამბობდა: "უმშვენიერესი, უდიდესი გონების ადამიანი იყო!" ალბომის დათვალიერებას რომ მორჩებოდა, თაროდან პისტოლეტს აიღებდა, მარცხენა თვალს მოჭუტავდა და დიდხანს უმიზნებდა თავად ვორონცოვის პორტრეტს; ან სარკესთან დადგებოდა და შესცქეროდა თავის შავგვრემან სახეს, ფართე შუბლს, შავ, ზანგივით ხუჭუჭა თმას, დიდყვავილებიან, სპარსული ხალიჩის მსგავს მქრქალი ჩითის პერანგს ან ტყავის განიერ ქამარს, ჟილეტის მაგივრობას რომ უწევდა. საკუთარი თავის ჭვრეტა, ალბათ, უფრო სიამოვნებდა, ვიდრე ფოტოების ან ძვირფას ბუდეში ჩასმულ პისტოლეტის თვალიერება. ის ფრიად კმაყოფილი იყო საკუთარი გარეგნობის, ლამაზად შეკრეჭილი წვერისა და განიერი მხრებისა, რომლებიც ცხადჰყოფდნენ, საკმაოდ ჯანმრთელი და ძლიერი აღნაგობისა რომ იყო. კმაყოფილი იყო, აგრეთვე, გამოპრანჭული და კოხტა ჩაცმულობისა, დაწყებული ჰალსტუხით, რომელიც პერანგის ფერთან იყო შეხამებული, ყვითელი ფეხსაცმლით დამთავრებული.

იმავდროს, სანამ ფონ კორენი ალბომსა და სარკეში საკუთარ გარეგნობას ათვალიერებდა, უსერთუკო, უჟილეტო, მკერდგაღეღილი სამოილენკო, აღელვებული და ოფლიანი, მაგიდებთან ჩალიჩობდა: ან სალათას აკეთებდა, ან – რომელიღაც საწებელს, ან ხორცს,

კიტრსა და ხახვს ჭრიდა ოკრომკისათვის; თან მრისხანედ უბრიალებდა თვალებს დენშჩიკს, რომელიც ეხმარებოდა და ხან დანას, ხან კოვზს უღერებდა.

— ძმარი მომაწოდე! — უბრძანა დენშჩიკს, — არა, ძმარი კი არა, ზეთისხილის ზეთი! — ყვიროდა და ფეხებს აბაკუნებდა. — საით მიეხეტები, პირუტყვო?

— ზეთის მოსატანად, თქვენო აღმატებულებავ, — პასუხობდა ხმაჩახლეჩილი დაბნეული დენშჩიკი.

— ჩქარა! გაინძერი! კარადაშია! დარიას გასძახე, კიტრებიან ქილაში კამა ჩაუმატოს! კამა! კამა! არაჟანს რამე გადააფარე, თორემ შეჭამეს ბუზებმა!

ისე ღრიალებდა, გეგონებოდათ, მთელი სახლი გუგუნებსო. ორს ათი – თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, მოდიოდა დიაკვანი – გამხდარი, გრძელთმიანი, უწვერო, ახლადულვაშაღერილი, ასე ოცდაათი წლის ახალგაზრდა. სასტუმრო ოთახში შემოსვლისთანავე ხატს ეახლებოდა, პირჯვარს გადაიწერდა, გაიღიმებდა და ფონ კორენს ხელს გაუწვდიდა.

— გამარჯობა, — ცივად ესალმებოდა ზოოლოგი, — სად ბრძანდებოდით?

— ნავმისადგომში. ღორჯოებს ვიჭერდი.

— აბა, რა... დიაკვანო, როგორც ჩანს, თქვენ საქმეს არასოდეს მოეკიდებით.

— რატომ? საქმე დათვი ხომ არ არის?! ტყეში არ გაიქცევა, — ღიმილით პასუხობდა დიაკვანი და თეთრი კაბის ღრმა ჯიბეებში ხელებს ჩაიწყობდა.

— მაგარი გასაროზგი ხართ, მაგრამ პატრონი არა გყავთ! — ოხრავდა ზოოლოგი.

გადიოდა კიდევ 15-20 წუთი, მაგრამ სტუმრებს სადილად არავინ ეძახდა. ისევ ისმოდა დენშჩიკის ჩექმების ბრაგა-ბრუგი, წინკარიდან სამზარეულოში რომ შერბოდა და გამორბოდა. ისევ ისმოდა სამოილენკოს ყვირილი:

— მაგიდაზე დადე! მანდ ნუ სჩრი! ჯერ გარეცხე!

მოშიებული დიაკვანი და ფონ კორენი თეატრის სულწასული

მაყურებლებივით იატაკზე ქუსლებს უბრახუნებდნენ და მოუთ-მენლობას ასე გამოხატავდნენ. ბოლოსდაბოლოს, ეღირსე-ბოდათ, კარი იღებოდა და გაწამებული დენშჩიკი აცხადებდა: სადილი მზად არის! სასადილო ოთახში მათ გაჭარხლებული, სამზარეულოს სიცხისა და ბუღისაგან ოფლში გაწუწული და გაბრაზებული სამოილენკო ხვდებოდა, ღვარძლიანად შესცქეროდა შემოსულებს, შეძრწუნებული სახურავსა ხდიდა საწვნე ქვაბს და ორივეს თეფშებზე უსხამდა წვნიანს... და მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდებოდა, საჭმელი მოსწონთ და გემრიელად მიირთმევენო, შვებით ამოისუნთქავდა და თავის ღრმა სავარძელში ჩაესვენებოდა. ამ დროს სახე ებნიდებოდა და უნაზდებოდა... დინჯად დაისხამდა სირჩა არაყს და ამბობდა:

— ახალგაზრდა თაობას გაუმარჯოს!

ლაევსკისთან საუბრის შემდეგ, მიუხედავად მშვენიერი გუნება–განწყობისა, სამოილენკო სულის სიღრმეში რაღაც სიმძიმესა გრძნობდა; ლაევსკი ეცოდებოდა და სურდა დახმარებოდა. წვნიანამდე არაყი რომ გადაკრა, ამოიხვნეშა და თქვა:

— დღეს ვანია ვნახე, ლაევსკი. ძალიან უჭირს ცხოვრება. მატერიალური მხარე ხომ უნუგეშო აქვს და უნუგეშო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფსიქოლოგიამ დაჩაგრა. ძალიან მეცოდება.

— აი, ვინც სულაც არ მეცოდება, სწორედ ეგ გახლავთ! — თქვა ფონ კორენმა. — ეგ სანდომიანი მამაკაცი რომ იხრჩობოდეს, იქით ჯოხსა ვკრავდი: ჩაიძირე, ძმაკაც, ჩაიძირე - მეთქი!

— ტყუილია. შენ ამას არ ჩაიდენდი.

— ასე რატომ ფიქრობ? — მხრები აიჩეჩა ზოოლოგმა. — მე ისევე შემიძლია კარგი საქმე ვაკეთო, როგორც – შენ.

— ადამიანს დავაღრჩობო და ეგ არის კარგი საქმე? — იკითხა დიაკვანმა და გაიცინა.

— თუ ის ადამიანი ლაევსკია, დიახაც, კარგი საქმეა.

— მგონი, აკროშკას რაღაც აკლია... — თქვა სამოილენკომ, საუბრის თემის შესაცვლელად.

— ლაევსკი უდავოდ ისეთივე მავნე და საშიშია საზოგადოებისთვის, როგორც ქოლერის მიკრობი, — განაგრძო ფონ

კორენმა. — მისი დახრჩობა – დამსახურებაა.

— პატივს არ დაგდებთ მოყვასზე ასეთი საუბარი. მითხარი: ასე რატომ გეზიზღება?

— აბა, რას ამბობ, ექიმო. მიკრობის ზიზღი ან სიძულვილი სისულელეა, ხოლო მინდა თუ არა, მოყვასად მივიჩნიო განურჩევლად ყოველი გამვლელი, ეს, დიდად გმადლობთ, ეს ნიშნავს, არ განსაჯო, ადამიანისადმი სამართლიანი დამოკიდებულება უარყო, ანუ, ერთი სიტყვით, ხელები დამიბანიაო, თქვა. ეგ შენი ლაევსკი მე ნამუსგარეცხილ არამზადად მიმაჩნია. ამას არც ვმალავ და ზუსტად და კეთილსინდისიერად როგორც ნამუსგარეცხილს, ისე ვექცევი. შენ ის კაცი მოყვასად მიგაჩნია, კი, ბატონო, გყავდეს, ჰკოცნე და იყავი. რადგანაც მოყვასად მიგაჩნია, ზუსტად ისევე ექცევი, როგორც მე და დიაკვანს ანუ – არანაირად! შენ ყველას მიმართ ერთნაირად გულგრილი ხარ.

— ადამიანს ნამუსგარეცხილი უწოდო, ეს იმდენად ცუდი საქციელია, სიტყვებით ვერ გამომითქვამს. — ჩაიბურტყუნა სამოილენკომ და ზიზღით შეიჭმუხნა.

— ადამიანებს საქმენი გამოაჩენენ, — განაგრძო ფონ კორენმა. — ახლა კი განსაჯეთ, დიაკვანო... დიაკვანო, თქვენ გელაპარაკებით. ბატონი ლაევსკის მოღვაწეობა თქვენს თვალწინ ჩინური გრძელი წიგნივით არის გადაშლილი და შეგიძლიათ თავიდან ბოლომდე წაიკითხოთ. რა ჩაიდინა მან ამ ორი წლის მანძილზე, რაც აქა ცხოვრობს? თითებზე ჩამოვთვალოთ. პირველი: მოქალაქეებს ვინტის თამაში ასწავლა. ორი წლის წინ ეს თამაში აქ უცნობი იყო. ახლა ვინტს დილიდან გვიან ღამემდე თამაშობენ, მათ შორის, ქალებიცა და მოზარდებიც. მეორე: აქაურებს ლუდი შეაყვარა, რაც მანამ აქ უცხო ხილი იყო; აქაურები ლაევსკის უნდა უმადლოდნენ სხვადასხვა სორტის არაყს რომ იცნობენ და თანაც ისე, თვალახვეულებს შეუძლიათ გაარჩიონ კოშელევის ჩამოსხმა სმირნოვის N 21 - საგან. მესამე: ადრე აქ სხვის ცოლებთან ფარულად ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც ქურდები იპარავენ ფარულად და არა აშკარად; მრუშობა აქ ისეთ რამედ ითვლებოდა, ყველას რცხვენოდა გამოაშკარავებისა. ლაევსკი ამ თვალსაზრისითაც პიონერი

აღმოჩნდა: სხვის ცოლთან დაუფარავად ცხოვრობს. მეოთხე...

ფონ კორენმა თავისი აკროშკა სწრაფად შეჭამა და ცარიელი თეფში დენშჩიკს მიაწოდა.

— ლაევსკი ჩვენი გაცნობის პირველივე თვეში ამოვიცანი. — განაგრძო მან დიაკვანთან საუბარი. — ჩვენ აქ ერთდროულად ჩამოვედით. ლაევსკებისნაირებს ძალიან უყვართ მეგობრობა, დაახლოვება, სოლიდარობა და ყოველივე ამგვარი, რადგანაც ყოველთვის სჭირდებათ კომპანიონები ვინტის სათამაშოდ, დასალევად და წასახემსებლად. ამასთანავე ისინი ყბედები არიან და უმსმენელოდ ვერ ძლებენ. დავმეგობრდით ანუ ჩემთან ყოველდღე მოეთრეოდა, მუშაობაში ხელს მიშლიდა და თავის საყვარელზე გულახდილად მეჭორავებოდა. პირველი დღეებიდანვე გამაგიჟა თავისი საოცარი, არაჩვეულებრივი ტყუილებით, გულს რომ მირევდა. მეგობრის უფლებით ვტუქსავდი: ამდენს ნუ სვამ, შესაძლებლობები გაითვალისწინე და ფული ისე ხარჯე-მეთქი, ვალს ნუ იღებ, რატომ არაფერს აკეთებ? რატომ არ კითხულობ? კულტურისაგან შორსა ხარ და ამიტომ ცოტა რამ თუ იცი-მეთქი. ამ ჩემს შეგონებებსა და შეკითხვებზე მწარედ იღიმებოდა, ამოიოხრებდა და მპასუხობდა: "უიღბლო ვარ, ზედმეტი, უადგილო, ან "ჩვენგან, ბატონყმობის ნამსხვრევებისგან, მეტს რას მოელით, მამიკო?" ან "გადავგვარდით, გადავგვარდით!" ან შეუდგებოდა გრძელ-გრძელ აბდაუბდას ონეგინზე, პეჩორინზე, ბაირონისეულ კაენსა და ბაზაროვზე, რომლებზედაც "ესენი სისხლითა და ხორცით ჩვენი მამები არიანო," ამბობდა. რაც ასე უნდა გაგვეგო: სახაზინო პაკეტები თვეობით გაუხსნელი რომ უდევს, რომ სვამს და სხვებსაც ალოთებს, ამაში დამნაშავე თვითონ კი არ არის, ონეგინი და პეჩორინი არიან და ტურგენევიც, უიღბლო, ზედმეტი ადამიანი რომ გამოიგონა. უკიდურესი აღვირახსნილობისა და უგვანობის მიზეზი, თურმე ნუ იტყვით, მასში კი არ ძევს, არამედ სადღაც, მის მიღმა, სივრცეში. ამასთანავე, – რა მარჯვედ არის ნათქვამი! – აღვირახსნილი, მატყუარა და საზიზღარი მხოლოდ თვითონ კი არა, ჩვენცა ვართ. "ჩვენ, ოთხმოციანელები", "ჩვენ, უსიცოცხლო, ნერვებაშლილი მოდგმა ბატონყმობისა", "ჩვენ

ცივილიზაციამ დაგვამახინჯა”... ერთი სიტყვით, ჩვენ როგორმე უნდა შევიგნოთ, რომ ისეთი დიდი ადამიანი, როგორიც ლაევსკია, ზნეობრივ დაცემაშიც უდიდესია; რომ მისი გათახსირება, გაუნათლებლობა და სიბინძურე ბუნებრივად ისტორიული, აუცილებლობით გაცისკროვნებული მოვლენაა; რომ ამის მიზეზი სტიქიური და სამყაროსეულია და რომ ლაევსკის ლამპარი უნდა დავუნთოთ, რადგანაც დროის საბედისწერო მსხვერპლი, სიახლის ქროლვისა და მემკვიდრეობის ნამსხვრევია და ასე შემდეგ. ჩინოვნიკები და ქალები, ყველანი, ყურს რომ უგდებდნენ, ოხრავდნენ და ვიშვიშებდნენ. მე კი კარგა ხანს ვერ გამეგო, ვის გადავეყარე: ცინიკოსს თუ გაქნილ თაღლითს? ლაევსკისნაირი სუბიექტები გარეგნულად ინტელიგენტები, ოდნავ ზრდილობიანები, საკუთარ კეთილშობილებაზე უხვად მოსაუბრენი არიან. და შესაძლებელია, თავი არაჩვეულებრივად რთულ ნატურებად მოგაჩვენონ.

— გაჩუმდი! — გაცხარდა სამოილენკო. — ნებას არ მოგცემ, ჩემი თანდასწრებით კეთილშობილი კაცი ლანძღო!

— ნუ მაწყვეტინებ, ალექსანდრ დავიდიჩ, — ცივად უპასუხა ფონ კორენმა. — ახლავე დავამთავრებ. ლაევსკი საკმაოდ მარტივი ორგანიზმია. აი, მისი ზნეობრივი ჩონჩხი: დილით ფეხსაცმელები, ცურვა და ყავა, მერე – სადილობამდე – ფეხსაცმელები, მოციონი და საუბრები, ორ საათზე – ფეხსაცმელები, სადილი და ღვინო, ხუთზე – ცურვა, ჩაი და ღვინო, მერე ვინტი და ტყუილები, ათ საათზე – ვახშამი და ღვინო და შუაღამის შემდეგ – ძილი და La femme. მისი არსებობა ჩამწყვდეულია ამ ვიწრო პროგრამაში, როგორც კვერცხი ნაჭუჭში. მიდის, თუ ზის, თუ ბრაზობს, წერს და ხარობს – ყველაფერი ჯამდება ღვინოში, ბანქოში, ფეხსაცმელებსა და ქალში. მის ცხოვრებაში ქალი საბედისწერო, გადამეტებულ როლს თამაშობს. თვითონვე უბრძანებია, რომ 13 წლისა უკვე შეყვარებული ბრძანდებოდა; პირველი კურსის სტუდენტი ცხოვრობდა მანდილოსანთან, რომელმაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მასზე და დიდი ღვაწლი მიუძღვის მის მუსიკალურ განათლებაში. მეორე კურსზე იყო, როცა საროსკიპოდან

გამოისყიდა მეძავი და აღამაღლა – ხასად დაისვა. კახპამ ნახევარი წელი გაუძლო და მერე გაექცა, დიასახლისთან დაბრუნდა. ამ გაპარვამ უდიდესი სულიერი ტანჯვა მიაყენა. ისე გაწამდა, რომ უნივერსიტეტს ორი წლით თავი მიანება და შინ უსაქმოდ იჯდა. ამან სიკეთეც კი მოუტანა. შინ ის დაუახლოვდა ერთ ქვრივს, რომელმაც ურჩია, იურიდიული ფაკულტეტი მიეტოვებინა და ფილოლოგიურზე გადასულიყო. ასეც მოიქცა. სწავლა რომ დაამთავრა, გატაცებით შეუყვარდა ახლანდელი თავისი... რა ჰქვია? ქმრიანი ქალი და იძულებული შეიქნა გამოქცეულიყო აქ, კავკასიაში, ვითომდა, იდეალების საძებნელად... დღეს ან ხვალ ამ ქალს შეიძულებს და ისევ უკან, პეტერბურგში, გაიქცევა, რა თქმა უნდა, ისევ იდეალების საპოვნელად.

— რა იცი? — ჩაიბურტყუნა სამოილენკომ და ზოოლოგს ბრაზით შეხედა. — აჯობებს, სჭამო.

მოხარშული კეფალი და პოლონური საწებელა შემოიტანეს. სამოილენკომ მდგმურებს თითო დიდი კეფალი დაუდო და ზედ საკუთარი ხელით მოუსხა საწებელი. ორიოდე წუთს სიჩუმე ჩამოდგა.

— ქალი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არსებით როლს თამაშობს, — თქვა დიაკვანმა. — სხვა გზა არც არის.

— კი, მაგრამ, მთავარია, რა მნიშვნელობისა და ხარისხის არის ეს როლი. ყოველ ჩვენთაგანს გვყავს ქალი – დედა, და, ცოლი, მეგობარი; ლაევსკისთვის კი ქალი ყველაფერია და, ამასთანავე, მხოლოდ საყვარელი. ეს, ანუ მასთან თანაცხოვრება, ბედნიერება და მიზანია მისი არსებობისა. ხარობს, წუხს, სევდიანია, მოწყენილი თუ იმედგაცრუებული – ქალის ბრალია; ცხოვრებაზე გული თუ აუცრუვდა – ქალია დამნაშავე; თუ იდეალები იპოვა და ახალი ცხოვრების გარიჟრაჟი დაუდგა – აქაც ქალი უნდა ეძებო... მას მხოლოდ ის ნაწარმოები ან ნახატი მოსწონს, სადაც ქალია. მისი აზრით, ჩვენი დრო ორმოციან–სამოციან წლებზე ცუდი და უარესი მხოლოდ იმიტომ არის, რომ ჩვენ სასიყვარულო ექსტაზებისთვისა და ვნებებისათვის თავდავიწყებით თავის მიცემა არ ვიცით. ასეთ ავხორცებს, ეტყობა, ტვინში აქვთ რაღაც

განსაკუთრებული წანაზარდი, სარკომის მსგავსი, რომელიც ტვინს აწვება და მთელ ფსიქიკას მართავს. დააკვირდით ლაევსკის, როცა რომელიმე საზოგადოებაშია; აუცილებლად შენიშნავთ, რომ თუ საუბარი ჩამოვარდა ზოგად საკითხებზე, მაგალითად, უჯრედებსა ან ინსტინქტზე, თავისთვის ცალკე ზის, ჩუმად და ყურს არავის უგდებს. მოთენთილი, იმედგაცრუებულია, არაფერი აინტერესებს, მისთვის ყველაფერი არარაობა და უხამსობაა; მაგრამ როგორც კი საუბარს დედალ–მამალზე წამოიწყებთ, დავუშვათ, იმაზე დედალი ობობა განაყოფიერების შემდეგ მამალს იქვე რომ ახრამუნებს, – თვალები ცნობისმოყვარეობით უბრწყინდება, სახე უნათდება, და, ერთი სიტყვით, კაცი ცოცხლდება. ყოველ მის აზრს, როგორი კეთილშობილი, ამაღლებული ან თუნდაც გულგრილი იყოს, ყოველთვის ერთიდაიგივე ამოსავალი წერტილი აქვს. აი, მასთან ერთად მიდიხარ ქუჩაში და გხვდებათ, მაგალითად, ვირი... — "მითხარით, თუ შეიძლება, — წამსვე იკითხავს, — რა გაუჩნდება დედალ ვირს აქლემთან თუ შევაჯვარებთ?" სიზმრები!! თქვენთვის სიზმრები არ უამბნია? ეს გადასარევი რამ არის! ხან ესიზმრება, მთვარეზე როგორ აქორწინებენ, ხან კი, – თითქოს პოლიციაში გამოიძახეს და უბრძანეს, გიტარასთან იცხოვრეო!..

დიაკვანს ხმამაღლა გაეცინა. სამოილენკოს შუბლი შეეკრა და ბრაზიანად შეიჭმუხნა, რომ არ გაცინებოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და ახარხარდა.

— ტყუის, ტყუის! — თქვა მან და ცრემლი მოიწმინდა, — ღმერთმანი, ტყუის!

თავი IV

დიაკვანი ძალიან მცინარა იყო და ყოველ წვრილმანზე მანამ იცინოდა, ვიდრე გვერდები არ ასტკივდებოდა ან ქანცი არ გაძვრებოდა. გეგონებოდათ, ხალხში ყოფნა მხოლოდ იმიტომ უყვარდა, რომ ადამიანებს ბევრი სასაცილო აქვთ და რომ მათთვის სასაცილო მეტსახელების შერქმევაც შეეძლო. სამოილენკოს ტარანტული შეარქვა, მის დენშჩიკს კი – მამალი იხვი. ერთხელ,

როცა ფონ კორენმა ლაევსკისა და ნადეჟდა ფედოროვნას მაკაკები უწოდა, აღფრთოვანებისაგან გადაირია. სახეებს ხარბად აკვირდებოდა, თვალის დაუხამხამებლად უსმენდა, ეტყობოდა, თვალები სიცილით როგორ ევსებოდა და როგორ ეძაბებოდა სახე იმის მოლოდინში, როცა შესაძლებელი გახდებოდა თავისთვის ნება მიეცა და სიცილისაგან მომკვდარიყო.

— ის გარყვნილი და უკუღმართი სუბიექტია, — განაგრძო ზოოლოგმა. დიაკვანი კი, სასაცილო სიტყვების მოლოდინში, სახეში მიაშტერდა. — იშვიათად შეხვდებით სადმე ასეთ არარაობას. სხეულით დუნე, უძლური და ბებერია; ინტელექტით კი არაფრით განსხვავდება ვაჭრის სქელი ცოლისაგან, რომელიც მხოლოდ ჭამს, სვამს, ბუმბულის ლეიბზე სძინავს და საყვარლად საკუთარი მეეტლე ჰყავს.

დიაკვანი ისევ ახარხარდა.

— ნუ იცინი, დიაკვანო, — თქვა ფონ კორენმა, — ეს სისულელეა, ბოლოსდაბოლოს. მე ყურადღების ღირსადაც არ ჩავთვლიდი მაგ არარაობას, — განაგრძო, როცა დიაკვანმა ხარხარი მოათავა, — ისე ჩავუვლიდი, არც შევამჩნევდი, ის რომ ასეთი მავნე და სახიფათო არ იყოს. ვნების მომტანი რომ არის, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ ქალებს მოსწონთ და, ამგვარად, მემკვიდრეთა გამრავლებით გვემუქრება, ანუ შეიძლება მსოფლიოს აჩუქოს დუჟინი ლაევსკი, ისეთივე დონდლო, უძლური და გახრწნილი, როგორიც თავად არის. მეორე: მისი საქციელი უაღრესად გადამდებია. ვინტზე და ლუდზე უკვე მოგახსენეთ. კიდევ ერთი–ორი წელი და კავკასიის მთელ სანაპიროს დაიპყრობს. იცით თუ არა, ხალხის მასას, განსაკუთრებით, მის საშუალო შრეს, როგორა სჯერა ინტელიგენტურობის, საუნივერსიტეტო განათლების, კეთილშობილი მანერებისა და ლიტერატურულად მეტყველების. რა საზიზღრობაც უნდა ჩაიდინოს, ყველას სჯერა, რომ ეს კარგია, რომ ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ის ინტელიგენტია, ლიბერალი და უნივერსიტეტის ადამიანი. ამასთანავე, ის ხომ უიღბლოა, ნევრასთენიკი, დროის მსხვერპლი და ზედმეტი ადამიანი! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისთვის ყველაფერი შეიძლება. ის სანდომიანი

ვინმეა, კეთილი გულის პატრონი, ადამიანთა სისუსტეების გულიანი შემწყნარებელი; ის დამჯერია, დამყოლი, ხათრიანი, არ ამაყობს, მასთან სმაც შეიძლება, ბილწსიტყვაობაც და ლაზღანდარობაც... რელიგიასა და მორალში ყოველთვის ანტროპომორფიზმისაკენ მიდრეკილ ხალხს ყველაზე უფრო ისეთი კერპები უყვართ, რომელთაც მათი მსგავსი სისუსტეები გააჩნიათ. ახლა გაითვალისწინეთ, რა ფართე ასპარეზია სხვათა დასნებოვნებისთვის. ამასთანავე, საკმაოდ კარგი აქტიორი და მარჯვე თვალთმაქციც გახლავთ, და ზედმიწევნით იცის, რაც უნდა. განვიხილოთ მისი ფოკუსები და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, მაგალითად, ცივილიზაციასთან დამოკიდებულებაზე. ცივილიზაციის გემო არც კი გაუსინჯავს და "ოხ, როგორ დაგვამახინჯა ამ ცივილიზაციამ! ოხ, როგორ შევნატრი იმ ველურებს, იმ ბუნების შვილებს, რომლებსაც ცივილიზაციაზე არაფერი სმენიათო!" გვინდა თუ არა, უნდა დავიჯეროთ, რომ ოდესღაც, უძველეს დროში, ის მთელი სულითა და გულით ცივილიზაციის ერთგული იყო, ემსახურებოდა მას, მოხარშულს იცნობდა, მაგრამ მან იმედი გაუცრუა, დაღალა, დაქანცა და მოატყუა; ის, თურმე ნუ იტყვით, ფაუსტია, მეორე ტოლსტოი... შოპენჰაუერსა და სპენსერს ყმაწვილებივით აბუჩად იგდებს და მხარზე მამობრივად ხელს უტყაპუნებს: „აბა, როგორა ხარ, ძმაო სპენსერ?" სპენსერი მას, რა თქმა უნდა, არ წაუკითხავს, მაგრამ რა საყვარელია, როცა თავის ქალბატონზე მსუბუქი, უბოდიშო ირონიით ამბობს: "ნადიას სპენსერი წაკითხული აქვს". მას უჯერებენ და არავის სურს შეიგნოს, რომ ამ შარლატანს სპენსერზე ასეთი კილოთი საუბრის კი არა, მისი ფეხსაცმლის ლანჩის კოცნის უფლებაც არა აქვს. ჩხრიკოს და ქექოს ცივილიზაცია, ავტორიტეტები, სხვათა საკურთხევლები, ირგვლივ ყაროს ტალახის შხეფები, ტაკიმასხრულად თვალით მიანიშნოს ყველაფერ ამისკენ მხოლოდ იმიტომ, რომ გაამართლოს და დაფაროს თავისი უძლურება, თავისი ზნეობირივი უბადრუკობა, შეუძლია მხოლოდ ფრიად და ზედმეტად თავმოყვარე, მდაბალ და ბილწ ცხოველს.

— არ ვიცი, კოლია, რას ერჩი ამ კაცს, — თქვა სამოილენკომ და ზოოლოგს, ამჯერად ბრაზით კი არა, დამნაშავესავით

შეხედა, — ისეთივე ადამიანია, როგორიც – ყველა. ნაკლი, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ თანამედროვე იდეების დონეზეა, მსახურობს, სამშობლოსათვის სარგებელი მოაქვს. ათი წლის წინ ჩვენთან აგენტად ერთი ბერიკაცი მუშაობდა, უდიდესი გონების პატრონი... იცი, რა გვითხრა...

— კმარა, საკმარისია! — შეაწყვეტინა ზოოლოგმა. — ახლახანს სთქვი, მსახურობსო. მაგრამ როგორ მსახურობს? იმის გამო, აქ რომ ჩამობრძანდა, წესრიგი გამოკეთდა, ჩინოვნიკები გამოსწორდნენ და პატიოსანი და თავაზიანები გახდნენ? პირიქით, თავისი ინტელიგენტი, საუნივერსიტეტო ადამიანის ავტორიტეტით, მან სანქცია მისცა აქაურების აღვირახსნილობას. წესიერი ის მხოლოდ ყოველი თვის ოც რიცხვშია, როცა ხელფასს იღებს. დანარჩენ რიცხვებში შინ ფეხსაცმელებს აფრატუნებს და ცდილობს, ისეთი გამომეტყველება მიიღოს, თითქოს რუსეთის მთავრობას ამადლის, კავკასიაში რომ ცხოვრობს. არა, ალექსანდრ დავიდიჩ, ტყუილად ნუ ექომაგები. თავიდან ბოლომდე არაგულწრფელი ხარ. მართლა რომ გიყვარდეს და მოყვასად მიგაჩნდეს, უპირველესად, მისი სისუსტეებისადმი გულგრილი არ უნდა იყო და არ უნდა შეიწყნარო; პირიქით, მისივე სასარგებლოდ უნდა უვნებელჰყო.

— ანუ?

— უნდა უვნებელჰყო. რადგანაც უიმედოდ გამოუსწორებელია, მისი უვნებელყოფა მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება...

ფონ კორენმა თითები ყელზე გაისვა.

— ან დააღრჩო, რა... — დაამატა მან. — კაცობრიობისა და თავიანთივე ინტერესებშია, რომ ასეთი ადამიანები უნდა განადგურდნენ. აუცილებლად.

— რას ამბობ?! — წაიბუტბუტა სამოილენკომ და წამოდგა. თან გაკვირვებით შესცქეროდა ზოოლოგის მშვიდ, ცივ სახეს. — რას ამბობს ეს კაცი, დიაკვანო?! შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

— სიკვდილის განაჩენს დაჟინებით არ ვითხოვ, — თქვა ფონ კორენმა. — მაგრამ თუ დაუმტკიცებიათ, რომ ეს მავნებლობაა, სხვა რამ მოიფიქრეთ. ლაევსკის განადგურება შეუძლებელია. მაშინ განაცალკევეთ, ინდივიდუალური პირობები შეუზღუდეთ ან სულაც

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა აიძულეთ.

— რას ამბობ? — შეშფოთდა სამოილენკო — ეგ წიწაკით უნდა, წიწაკით! — განწირული ხმით იყვირა ექიმმა, როცა შენიშნა, რომ დიაკვანი ფარშიან ყაბაყს ჭამდა, — უბრწყინვალესი ჭკუის პატრონი, ამას რას ამბობ?! ჩვენივე მეგობარი, ამაყი, ინტელიგენტი კაცი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში როგორ მივცეთ?

— თუ ისე ამაყია, რომ იუკადრისებს და შეგეწინააღმდეგებათ, ბორკილები დაადეთ!

სამოილენკო ისე გაშრა, ხმას ვეღარ იღებდა და მხოლოდ თითებს ათამაშებდა. დიაკვანმა მის თავზარდაცემულ და მართლაც სასაცილო სახეს შეხედა და გადაიხარხარა.

— მოვათავოთ ამაზე ლაპარაკი, — თქვა ზოოლოგმა. — მხოლოდ ერთი რამ დაიმახსოვრე, ალექსანდრ დავიდიჩ. პირველყოფილი საზოგადოება ლაერსკებისნაითაგან თავს არსებობისათვის ბრძოლითა და შერჩევით იცავდა; ამჟამად ჩვენმა კულტურამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ბრძოლაცა და შერჩევაც; ახლა ჩვენ თვითონვე უნდა ვიზრუნოთ სუსტებისა და არამზადების გასანადგურებლად, თორემ თუ ლაევსკები გამრავლდებიან, ცივილიზაცია დაიღუპება და კაცობრიობაც სრულიად გადაგვარდება. ამაში კი დამნაშავენი მხოლოდ ჩვენ ვიქნებით.

— ადამიანები თუ უნდა დავახრჩოთ და ჩამოვახრჩოთ, — თქვა სამოილენკომ, — მაშინ ეშმაკსაც წაუღია ეგ შენი ცივილიზაცია და კაცობრიობა! ეშმაკს წაუღია, ეშმაკს! აი, რას გეტყვი: შენ უგანათლებულესი, უდიდესი გონების ადამიანი და სამშობლოს სიამაყე ხარ, მაგრამ გერმანელებმა გაგაფუჭეს. დიახ, გერმანელებმა! გერმანელებმა!

მას შემდეგ, რაც სამოილენკო გამოემგზავრა დერპტიდან, სადაც მედიცინას ეუფლებოდა, ძალზე იშვიათად ხვდებოდა გერმანელებს და გერმანულად არცერთი წიგნი არ წაეკითხა, მაგრამ ყოველგვარ ბოროტებასა და უკეთურებას პოლიტიკასა და მეცნიერებაში გერმანელებს აბრალებდა. საიდან გაუჩნდა ეს აზრი, თვითონაც ვერ გეტყოდათ, მაგრამ ვერაფრით გადაათქმევინებდით.

— დიახ, გერმანელებმა! — კიდევ ერთხელ გაიმეორა. — წავიდეთ,

ჩაი დავლიოთ.

სამივენი ადგნენ, ქუდები მოირგეს, ბაღჩაში გადავიდნენ და მკრთალი ნეკერჩხლის, მსხლისა და წაბლის ჩრდილში მოთავსდნენ. ზოოლოგი და დიაკვანი მაგიდასთან სკამებზე დასხდნენ, სამოილენკო კი დაწნულ სავარძელში ჩაესვენა და დახრილ საზურგეს გადააწვა. დენშჩიკმა ჩაი, მურაბა და ბოთლით სიროფი მოართვა.

ძალიან ცხელოდა. ჩრდილში, ასე, ოცდაათი გრადუსი იქნებოდა. ხვატისაგან ჰაერი გაშეშებულიყო, უმოძრაოდ იდგა და წაბლიდან მიწამდე დაშვებული აბლაბუდა უღონოდ ეკიდა, არც ირხეოდა.

დიაკვანმა აიღო გიტარა, მაგიდასთან მუდმივად მიწაზე რომ ედოთ, ააწყო და ჩუმად, წვრილი ხმით დაამღერა: "Отрецы семинарстии у кабака стояху..." მაგრამ სიცხემ მაშინვე შეაჩერა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ლურჯ გახურებულ ზეცას ახედა. სამოილენკომ ჩათვლიმა; სიცხის, სიჩუმისა და ნასადილევი ტკბილი თვლემისაგან, რომელიც მალე მისი სხეულის ყველა ნაწილს მოედო, მისუსტდა და დათვრა; ხელები დაეკიდა, თვალები დაუწვრილდა, თავი მკერდისაკენ ჩაუგორდა, მან ცრემლიანი სიამით გახედა ფონ კორენსა და დიაკვანს და ჩაიბუტბუტა:

— ახალგაზრდა თაობა... მეცნიერების ვარსკვლავი და ეკლესიის კელაპტარი, ერთიც ვნახოთ და, ეს გრძელკაბიანი ალილუია მიტროპოლიტი გახდა! ალბათ, მომიწევს, ხელები დავუკოცნო... რას იზამ... ღმერთმა ქნას...

მალე ხვრინვა გაისმა. ფონ კორენმა და დიაკვანმა ჩაი ბოლომდე დალიეს და ქუჩაში გამოვიდნენ.

— თქვენ ისევ ნავსადგურში ღორჯოების დასაჭერად წახვალთ? — იკითხა ზოოლოგმა.

— არა. ძალიან ცხელა.

— ჩემთან წამოდით. ამანათი ჩამილაგეთ და კიდევ რაღაც მაქვს გადასაწერი. თან იმაზეც ვილაპარაკოთ, რითაც დაკავდებით. უნდა იმუშაოთ, დიაკვანო. ასე არ შეიძლება.

— თქვენი სიტყვები სამართლიანი და ლოგიკურია. — თქვა დიაკვანმა, — მაგრამ ჩემი სიზარმაცე პატიებას ითხოვს ჩემივე

ამჟამინდელი ცხოვრების გარემოებათა გამო. კარგად მოგეხსენებათ, მდგომარეობის გაურკვევლობა ცეცხლზე ნავთს უსხამს ადამიანთა აპათიურობას. აქ დროებით მომავლინეს თუ სამუდამოდ, ერთმა ღმერთმა უწყის; გაუგებრობაში ვარ, ჩემი ცოლიც უშინაარსოდ და უმიზნოდ ცხოვრობს მამამისთან და ვენატრები. თანაც, უნდა ვაღიარო, სიცხისაგან ტვინი ამიდუღდა.

— სისულელეა, — უპასუხა ზოოლოგმა, — სიცხესაც მიეჩვევი და უცოლობასაც. უსაქმურობას კი ნუ მიეჩვევი. თავს უნდა მოერიო.

თავი V

დილით ნადეჟდა ფედოროვნა საცურაოდ გაეშურა. მას უკან თუნგით, სპილენძის ტაშტით, ღრუბლითა და ზეწრებით ახუნძლული მზარეული ოლგა მიჰყვებოდა. რეიდზე იდგა ორი რაღაცნაირი გემი, თეთრი მილები გაჭუჭყიანებოდათ. უცხო ქვეყნების გემები იყო, ალბათ, სატვირთო. ნავსადგურში თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი თეთრფეხსაცმლიანი კაცები მოძრაობდნენ და ფრანგულად ხმამაღლა ყვიროდნენ; და იმ გემებიდან ამათ პასუხობდნენ. ქალაქის პატარა ეკლესიაში გაცხოველებით რეკდნენ ზარები.

''დღეს კვირადღეა!''— კმაყოფილებით მოაგონდა ნადეჟდა ფედოროვნას.

ის თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა და მხიარულ, საზეიმო, ამაღლებულ განწყობაზე იყო. ახალ შილიფ კაბაში, რომელიც კაცის ხამი ჩეჩუნჩისაგან შეიკერა და დიდ ჩალის ქუდში, რომლის ფარფლებიც ყურებამდე ისე დაეღუნა, გეგონებოდათ, მისი სახე პატარა კოლოფიდან იმზირებაო, ნადეჟდას საკუთარი თავი ძალიანაც სანდომიანად ეჩვენებოდა. ფიქრობდა, რომ ქალაქში ცხოვრობს მხოლოდ ერთი ახალგაზრდა, ლამაზი, ინტელიგენტი ქალი და ეს თვითონ არის; და რომ მხოლოდ მას ხელეწიფება ასე იაფად, შნოიანად და გემოვნებით შეიმოსოს. მაგალითად, ეს კაბა მხოლოდ 22 მანეთი ღირს და შეხედეთ, რა მშვენიერია! მთელ ქალაქში ის არის ერთადერთი ქალი, რომელიც კაცს მოეწონება და

მამაკაცები კი ამ ქალაქში ბლომად არიან. ამიტომაც, ნებავთ თუ არა, იძულებულნი არიან ლაევსკისა შურდეთ.

მას უხაროდა, რომ ბოლო დროს ლაევსკი მის მიმართ ცივი, თავშეკავებულად ზრდილობიანი და დროდადრო მოურიდებელი და უხეშიც კი იყო; მის ყოველ გამოხდომაზე და აგდებულ, ზიზღიან, აბუჩად ამგდებ, ცივ და უცნაურ, მისთვის გაუგებარ შემოხედვაზე ადრე ცრემლებით პასუხობდა, ამუნათებდა, ემუქრებოდა – მიგატოვებ ან შიმშილით მოვიკლავ თავსო; ახლა კი ყოველივე ამის საპასუხოდ წითლდებოდა, დამნაშავესავით შესიციცინებდა და უხაროდა, რომ ალერსით არ ეტენებოდა. რომ ელანძღა და დამუქრებოდა, უფრო კარგი და სასიამოვნო იქნებოდა, რადგანაც მის წინაშე თავს ყოველმხრივ დამნაშავედ გრძნობდა. მას ეგონა, დამნაშავე იყო იმაში – პირველი: რომ არ აუბა მხარი შრომით ცხოვრებასა და საქმიანობაში, რისთვისაც ლაევსკიმ პეტერბურგი მიატოვა და აქ, კავკასიაში, გადმობარგდა; ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ის ამ ბოლო დროს სწორედ ამიტომ უბრაზდებოდა. როცა თვითონ კავკასიაში მიემგზავრებოდა, ეგონა, სანაპიროზე პირველ დღესვე იპოვნიდა მყუდრო კუთხეს, ჩრდილით ავსებულ მოხერხებულ ბაღს – თავისი წყაროებითა და ჩიტებით, სადაც ბოსტნეულსა და ყვავილებს დარგავდა, იხვებსა და ქათმებს გაამრავლებდა, მეზობლებს უმასპინძლებდა, ღარიბ გლეხებს უმკურნალებდა და წიგნებს დაურიგებდა; აღმოჩნდა, რომ კავკასია მოტიტვლებული მთები, ტყეები და თვალუწვდენელი ველებია, სადაც საჭიროა დიდხანს ძებნო, არჩიო, იხლაფორთო, აშენო და რომ არც მეზობლებია, მაგრადაც ცხელა და ქურდობენ კიდეც. ლაევსკი ნაკვეთის ყიდვას არ ჩქარობდა; ნადეჟდას ეს უხაროდა და ორივენი თითქოს გულში შეთანხმდნენ, ეს შრომითი ცხოვრება არ ეხსენებინათ. ლაევსკი სდუმს, ფიქრობდა ნადეჟდა, ეს ნიშნავს, ჩემზე იმიტომ არის გაბრაზებული, რომ მეც ჩუმად ვარ.

მეორე: ისე, რომ ლაევსკისთვის არ უთქვამს, ამ ორი წლის მანძილზე, სხვადასხვა წვრილმანის შესაძენად, აჩმიანოვის მაღაზიის სამას მანეთამდე ვალი დაიდო. ხან ცოტა ქსოვილს, ხან აბრეშუმს, ხან ქოლგას იღებდა და შეუმჩნევლად, ასეთი ვალი დაუგროვდა.

— ამას დღესვე ვეტყვი... — გადაწყვიტა, მაგრამ მაშინვე მოისაზრა, რომ ასეთ უგვანო ხასიათზე როცაა, უხერხულია ლაევსკის ვალებზე ესაუბრო.

მესამე: მან უკვე ორჯერ, ლაევსკის არყოფნისას, პოლიციის ბოქაული კირილინი მიიღო. ერთხელ დილით, როცა ლაევსკი საცურაოდ იყო და მეორედ შუაღამისას, როცა ლაევსკი კარტს თამაშობდა. ეს რომ გაიხსენა, ცეცხლი მოედო და მზარეულს გახედა, თითქოს შეეშინდა, ფიქრი არ გაიგონოსო. გრძელმა, აუტანლად ცხელმა, მოსაწყენმა, დახუთულმა ღამეებმა და, საერთოდ, მთელმა ასეთმა ცხოვრებამ, როცა დილიდან დაღამებამდე არ იცი, რას მოახმარო უსარგებლო დრო, აკვიატებულმა აზრმა იმაზე, რომ შენ ამ ქალაქში ყველაზე ლამაზი და ახალგაზრდა ქალი ხარ და ეს შენი ახალგაზრდობა ფუჭად მიაქვს ქარს, თავად ლაევსკიმაც, პატიოსანმა, იდეურმა, მაგრამ ერთფეროვანმა – მარად მოფარფატე ფეხსაცმელებით, ფრჩხილების კვნეტითა და გულის შემაღონებელი კაპრიზებით – ჰქმნეს ის, რომ ნადეჟდა ფედოროვნა თანდათან ვნება–სურვილმა აიტანა და როგორც გიჟი, დღედაღამ სულ ერთიდაიმავეზე ფიქრობდა. საკუთარ სუნთქვაში, გამოხედვაში, ხმის ტემბრში, სიარულშიც კი მხოლოდ სურვილსა გრძნობდა; ზღვის ხმაური ეუბნებოდა – სიყვარულის დროაო, საღამოს ბინდიც ამასვე ეჩურჩულებოდა, მთებიც... მთებიც... და როცა კირილინმა არშიყობა დაუწყო, არც ღონე ჰქონდა, არც უნდოდა და არც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია და დანებდა მას...

უცხოური გემები და თეთრტანსაცმლიანი ხალხი ახლა, რატომღაც, დიდ დარბაზს აგონებდა; ფრანგულ კილოკავთან ერთად ყურში ვალსის მელოდია აუჟღერდა და უმიზეზო სიხარულით აუთრთოლდა გული. მას ცეკვა და ფრანგულად საუბარი მოუნდა.

მან სიხარულით გაითვალისწინა, რომ ამ ღალატში საშიში არაფერია. ამ ღალატში სული არ მონაწილეობდა; ლაევსკი ძველებურად უყვარდა და ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ეჭვიანობდა, ეცოდებოდა და ენატრებოდა, როცა შინ არ იყო. კირილინი კი ისე რა, უხეში, თუმცა ლამაზი იყო. მასთან ყველაფერი დამთავრებულია და აღარაფერი მოხდება. რაც მოხდა, მოხდა. ამ საქმესთან არავის

არაფერი ესაქმება და ლაევსკიმაც რომ შეიტყოს, არ დაიჯერებს.

სანაპიროზე ქალთათვის მხოლოდ ერთი საბანაო იყო; კაცები ღია ცის ქვეშ ცურავდნენ. საცურაო დარბაზში ნადეჟდა ფედოროვნას ჩინოვნიკის ხანდაზმული ცოლი მარია კონსტანტინოვნა ბიტიუგოვა და მისი 15 წლის გიმნაზისტი გოგონა კატია დახვდნენ; მერხზე ისხდნენ და ტანსაცმელს იხდიდნენ. მარია კონსტანტინოვნა კეთილი, აღტაცებული და თავაზიანი პიროვნება იყო და ტკეპნითა და პათოსით ლაპარაკობდა. 32 წლამდე გუვერნიორობდა, მერე ტანმორჩილ, მელოტ, საფეთქლამდე თმაგადავარცხნილ და ძალიან თვინიერ ჩინოვნიკს ბიტიუგოვს გაჰყვა ცოლად. დღემდე შეყვარებული იყო მასზე. ეჭვიანობდა, სიტყვა "სიყვარულის" ხსენებაზე წითლდებოდა და ყველას არწმუნებდა, რომ ძალიან ბედნიერი იყო.

— ჩემო ძვირფასო! — თქვა მან, დაინახა თუ არა ნადეჟდა ფედოროვნა და სახეზე აღებეჭდა ის გამომეტყველება, რომელსაც ყველა მისი ნაცნობი "ნუშისებრს" უწოდებდა. — საყვარელო, ფრიად მესიამოვნა, რომ მოხვედით! ერთად ვიცურავებთ, გადასარევია!

ოლგამ სწრაფად გაიხადა კაბა და პერანგი და ქალბატონს გახდა დაუწყო.

— დღეს ისე არ ცხელა, როგორც გუშინ, ხომ ასეა? — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ და თან ტიტველი მზარეულის უხეში შეხებისაგან იშმუშნებოდა. — გუშინ სიცხისაგან კინაღამ გარდავიცვალე.

— მართალსა ბრძანებთ, ჩემო საყვარელო! მეც კინაღამ დავიხუთე. დამიჯერებთ, სამჯერ ვიბანავე... წარმოგიდგენიათ, საყვარელო, სამჯერ! ნიკოდიმ ალექსანდრიჩიც კი აფორიაქდა.

"შეიძლება ადამიანი ასეთი ულამაზო იყოს?" — გაიფიქრა ნადეჟდა ფედოროვნამ ოლგასა და ჩინოვნიკის ცოლს რომ შეხედა; მერე კატიას გადახედა და ისევ გაიფიქრა: "საკმაოდ კარგი სხეული აქვს". — თქვენი ნიკოდიმ ალექსანდრიჩი ძალიან, ძალიან კარგი კაცია! — თქვა მან. — მასზე, უბრალოდ, შეყვარებული ვარ.

— ხა, ხა, ხა! — ნაძალადევად გაიცინა მარია კონსტანტინ-ოვნამ. — გადასარევია!

ტანსაცმლისგან განთავისუფლდა თუ არა, ნადეჟდა ფედოროვნამ

ფრენის სურვილი იგრძნო. მას ეჩვენებოდა, ხელებს თუ დაიქნევდა, აუცილებლად აფრინდებოდა მაღლა. როცა გაიხადა, შენიშნა, რომ ოლგა ზიზღით უცქერდა მის თეთრ სხეულს. ოლგა, სალდათის ახალგაზრდა ცოლი, კანონიერ ქმართან ცხოვრობდა და ამიტომაც საკუთარი თავი ნადეჟდაზე უკეთესად და მაღლა მდგომად მიაჩნდა. ნადეჟდა ფედოროვნა იმასაც გრძნობდა, რომ მარია კონსტანტინოვნა და კატია პატივს არ სცემდნენ და ეშინოდათ მისი. ეს არ სიამოვნებდა და მათ თვალში რომ ამაღლებულიყო, თქვა:

— ჩვენთან, პეტერბურგში, ახლა გაცხარებული სააგარაკო სეზონია. მე და ჩემს მეუღლეს უამრავი ნაცნობი გვყავს! ერთი უნდა ჩავიდეთ და მოვინახულოთ.

— თქვენი მეუღლე, მგონი, ინჟინერია, არა? — ფრთხილად იკითხა მარია კონსტანტინოვნამ.

— ლაევსკიზე მოგახსენებთ. ვანიას უამრავი ნაცნობი ჰყავს. მაგრამ, სამწუხაროდ, დედამისი, ეს ამაყი არისტოკრატი, ცოტა გონებაშეზღუდული...

მან სათქმელი არ დაამთავრა და წყალში გადაეშვა; მარია კონსტანტინოვნა და კატიაც მას მიჰყვნენ.

— ჩვენ, მაღალ საზოგადოებას, უამრავი ცრურწმენა გვაქვს, — განაგრძო ნადეჟდა ფედოროვნამ. — ისე იოლად ვერ ვცხოვრობთ, როგორც ბევრს ჰგონია.

მარია კონსტანტინოვნამ, რომელიც ბევრ არისტოკრატულ ოჯახში გუვერნიორობდა და მაღალი საზოგადოებისა თითქმის ყველაფერი იცოდა, თქვა:

— მართალია! თუ დამიჯერებთ, გარატინსკებთან საუზმესა და ვახშამზეც საგანგებო ტუალეტს ითხოვდნენ; ასე რომ, მე, მსახიობივით, ხელფასის გარდა, გარდერობისთვისაც მიხდიდნენ.

ის ნადეჟდა ფედოროვნასა და კატიას შორის ჩადგა, თითქოს უნდოდა შვილი იმ წყლისაგან დაეცვა, რომელიც ნადეჟდა ფედოროვნას ევლებოდა. საცურაო დარბაზის ღია კარიდან ჩანდა, ზღვაში, დაახლოებით ას მეტრში, ვიღაც რომ მიცურავდა.

— დედა, ეს ჩვენი კოსტიაა! — თქვა კატიამ.

— ოხ, ოხ! — აკანკალდა შეშინებული მარია კონსტანტინოვნა, —

კოსტია! — დაიყვირა მან, — დაბრუნდი, ახლავე დაბრუნდი, კოსტია!

14 წლის კოსტიამ, დედისა და დისთვის თავისი გამბედაობა რომ დაემტკიცებინა, ჩაყვინთა და ცურვა განაგრძო, მაგრამ დაიღალა და სასწრაფოდ მობრუნდა. სერიოზულ, დაძაბულ სახეზე ეტყობოდა, საკუთარ ძალაში მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული.

— პირდაპირ უბედურებაა ამ ბიჭების გაზრდა! — თქვა მარია კონსტანტინოვნამ, როცა დამშვიდდა. — შეიძლება, უცებ კისერი მოიტეხოს. ოხ, საყვარელო, რა სიამოვნებაა და, ამავ დროს, რა მძიმეა დედობა! ყველაფრის უნდა გეშინოდეს.

ნადეჟდა ფედოროვნამ თავისი ჩალის ქუდი დაიხურა და პირდაპირ ზღვაში გადაეშვა, ოთხიოდე საჟენი გაცურა და ზურგზე გაწვა. აქედან ის ჰორიზონტამდე ხედავდა ზღვას, გემებს, ხალხს სანაპიროზე, ქალაქს და ეს ყველაფერი – ხვატთან და გამჭვირვალე ცქრიალა ტალღებთან ერთად, აღაგზნებდა და ჩასჩურჩულებდა: უნდა იცოცხლო, სიცოცხლე გჭირდება, გაუმარჯოს სიცოცხლეს!.. სულ ახლოს ჩაუქროლა იალქნიანმა ნავმა, ტალღებსა და ჰაერს ენერგიულად რომ კვეთდა. მესაჭე მამაკაცი ნადეჟდას მიშტერებოდა და მასაც ესიამოვნა, რომ უყურებდნენ...

ცურვა რომ მოამთავრეს, ქალებმა ჩაიცვეს და ერთად წამოვიდნენ.

— დღეგამოშვებით მემართება ეს ოხერი ციებ-ცხელება და მაინც ვერა ვხდები. — ამბობდა ნადეჟდა ფედოროვნა და ზღვის წყლით დამლაშებულ ტუჩებს ილოკავდა, თან ნაცნობებს სალამზე ღიმილით პასუხობდა. — ყოველთვის პუტკუნა ვიყავი, ახლა კი, მგონი, უფრო გავსუქდი.

— ეს, ჩემო კარგო, მიდრეკილებაზეა დამოკიდებული. თუ სიმსუქნისკენ მიდრეკილი არა ხარ, მაგალითად, ჩემსავით, არავითარი კვება არ გიშველის. საყვარელო, ქუდი დაგსველებია.

— არა უშავს, გაშრება.

ნადეჟდა ფედოროვნამ ისევ შენიშნა თეთრტანსაცმლიანი ადამიანები, სანაპიროზე რომ დადიოდნენ და ფრანგულად ლაპარაკობდნენ. გული რატომღაც ისევ აუფორიაქა სიხარულმა და ბუნდოვნად გაახსენდა რომელიღაც დიდი დარბაზი, სადაც ოდესღაც იცეკვა თუ, შესაძლოა, სიზმარში ნახა; და სადღაც, სულის

უკიდურეს სიღრმეში, რაღაც ყრუდ და ბუნდოვნად უჩურჩულებდა, რომ უვარგისი ქალია, მდაბალი, უხამსი, არაფრის მაქნისი და არარაობაა!..

მარია კონსტანტინოვნა თავის ჭიშკართან შეჩერდა და შეიპატიჟა.

— შემოდით, ჩემო ძვირფასო! — თქვა მან მუდარით და თან სახეში შეაცქერდა ნადეჟდა ფედოროვნას მწუხარედ და იმედიანად, ეგებ, იუაროს და არ შემოვიდესო!

— დიდი სიამოვნებით! — დათანხმდა ნადეჟდა ფედოროვნა, — ხომ იცით, როგორ მიყვარს თქვენთან სტუმრობა.

და სახლში შევიდა, მარია კონსტანტინოვნამ დასვა, ყავა მიართვა, ერბოშეზელილი ფუნთუშა აჭამა; მერე უჩვენა სურათები თავის ყოფილი აღზრდილების – გარატინსკის ქალიშვილებისა, რომლებიც უკვე დათხოვდნენ; შემდეგ ანახა კატიას და კოსტიას საგამოცდო ფურცლები, ორივეს ძალიან კარგი ნიშნები ჰქონდათ, მაგრამ ბავშვების მონდომება უფრო რომ დაეფასებინა, ამოოხვრით დასძინა, რომ გიმნაზიებში ახლა ბევრად უფრო ძნელია სწავლა... სტუმარს თავს კი ევლებოდა, მაგრამ ამავე დროს ეცოდებოდა და იტანჯებოდა იმის გაფიქრებითაც კი, რომ ნადეჟდა ფედოროვნას აქ ყოფნითაც კი შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა კოსტიასა და კატიაზე და უხაროდა, რომ ნიკოდიმ ალექსანდრიჩი შინ არ იყო. მისი აზრით, რადგანაც ყველა მამაკაცს უყვარს "იმნაირები", ნადეჟდა ფედოროვნას შეეძლო ნიკოდიმ ალექსანდრიჩზედაც მოეხდინა ცუდი გავლენა.

სტუმართან საუბრისას მარია კონსტანტინოვნას სულ ახსოვდა, რომ დღეს საღამოს პიკნიკი ჰქონდათ და რომ ფონ კორენმა ყველას უმორჩილესად სთხოვა მაკაკებისთვის ანუ ლაევსკისა და ნადეჟდა ფედოროვნასთვის არ ეთქვათ, მაგრამ უნებურად წამოცდა, მთლად აჭარხლდა და შემცბარმა უთხრა:

— იმედია, თქვენც იქნებით!

თავი VI

შეთანხმდნენ სამხრეთის გზას ქალაქიდან შვიდ ვერსზე გაყოლოდნენ, შავი და ყვითელი მდინარეების შესაყართან, დუქნის მახლობლად გაჩერებულიყვნენ და იქ მოეხარშათ უხა. ექვსი საათი რომ დაიწყო, გაემგზავრნენ. ყველაზე წინ შარაბანით მგზავრობდნენ სამოილენკო და ლაევსკი, შემდეგ სამცხენიან ეტლში მარია კონსტანტინოვნა, ნადეჟდა ფედოროვნა, კატია და კოსტია ისხდნენ. მათთან ეწყო სურსათ–სანოვაგით სავსე კალათა და ჭურჭელი. შემდეგ ეკიპაჟში ისხდნენ ბოქაული კირილენკო და ახალგაზრდა აჩმიანოვი, შვილი სწორედ იმ ვაჭარ აჩმიანოვისა, რომლისაც ნადეჟდა ფედოროვნას სამასი მანეთი ემართა; ამათ წინ სკამზე მოკუნტული და ფეხებშეკეცილი, პატარა, აკურატული, საფეთქლებზე თმებგადავარცხნილი ნიკოდიმ ალექსანდრიჩი იჯდა. და ყველაზე უკან ფონ კორენი და დიაკვანი მორახრახებდნენ. დიაკვანს ფეხებშუა თევზით სავსე კალათა ედგა.

— მარრრჯვნივ! — მთელი ძალით გაჰყვიროდა სამოილენკო, როცა შემხვედრი ურემი ან ვირზე შემჯდარი აფხაზი ეღობებოდათ.

— ორი წლის შემდეგ, როცა გუნდს მოვამზადებ და სახსრები მექნება, ექსპედიციას მოვაწყობ, — უყვებოდა ფონ კორენი დიაკვანს, — ვლადივოსტოკიდან ნაპირ–ნაპირ ბერინგის სრუტემდე და შემდეგ, ამ სრუტიდან ენისეის შესართავამდე მივალთ. ზუსტ რუქას შევადგენთ, ფლორასა და ფაუნას შევისწავლით და საფუძვლიანად შევუდგებით გეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფულ კვლევას. მხოლოდ თქვენზეა არჩევანი, წამომყვებით თუ არა.

— შეუძლებელია, — თქვა დიაკვანმა.

— რატომ?

— ოჯახზე ვარ დამოკიდებული.

— ცოლი გამოგიშვებთ. ყველაფრით უზრუნველვყოფთ. ამას აჯობებს, დაარწმუნოთ და ეს ყველასათვის ხელსაყრელი იქნება, მონაზვნად აღიკვეცოს; ეს საშუალებას მოგცემდათ, თავადვე აღკვეცილიყავით და ექსპედიციას მღვდელ-მონაზვნად გამოჰყოლოდით. ამ საქმეში დაგეხმარებით.

დიაკვანი სდუმდა.

— თქვენ თქვენი საღვთისმეტყველო ნაწილი კარგად იცით? — ჰკითხა ზოოლოგმა.

— ისე, რა...

— ჰმ... ამის თაობაზე ვერავითარ მითითებას ვერ მოგცემთ, რადგან ღვთისმეტყველება არც მე ვიცი; მომეცით თქვენთვის საჭირო წიგნების სია და ზამთარში პეტერბურგიდან გამოგიგზავნით. თქვენ, აგრეთვე, სულიერ მოგზაურ მამათა ჩანაწერები უნდა წაიკითხოთ. მათ შორის კარგ ეთნოლოგებსა და აღმოსავლური ენების მცოდნეებს წააწყდებით. მათ მანერას როცა გაეცნობით, საქმის დაწყება გაგიიოლდებათ. სანამ წიგნები არა გაქვთ, დროს უბრალოდ ნუ დახარჯავთ, ჩემთან იარეთ და კომპასსა და მეტეოროლოგიას შეგასწავლით, ეს აუცილებელია.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ... — ჩაიდუდუნა დიაკვანმა და გაიცინა. — მე შუა რუსეთში ვითხოვე ადგილი, ბიძა დეკანოზი მყავს და დამპირდა, ხელს გაგიმართავო. თქვენ რომ გამოგყვეთ, გამოვა, რომ ყველა ტყუილ - უბრალოდ შევაწუხე.

— თქვენი ჭოჭმანისა არ მესმის. თუ ასე დარჩებით ჩვეულებრივ დიაკვნად, რომელიც ვალდებულია მხოლოდ დღესასწაულებზე სწიროს და დანარჩენი დღეები უზრუნველად ატაროს, მაშინ ათი წლის შემდეგ იმ წოდებაზევე დარჩებით, რომელზედაც ახლა ხართ და მხოლოდ წვერი და ულვაში მოგემატებათ, მაშინ, როდესაც, იმავე ათი წლის შემდეგ, ექსპედიციიდან დაბრუნებული, სულ სხვა ადამიანი იქნებით – გამდიდრებული იმის შეგნებით, რომ რაღაც უკვე გააკეთეთ.

ქალთა ეკიპაჟიდან ჯერ თავზარდაცემისა და შემდეგ აღტაცების კივილი მოისმა. ეკიპაჟები მირბოდნენ უკიდურესად დამრეცი კლდოვანი ნაპირის გასწვრივ და ყველას ეგონა, რომ მიქრიან თაროზე, რომელიც უმაღლეს კედელზე მიუშენებიათ და საცაა უფსკრულში გადაიჩეხებიან. მარჯვნივ ზღვა გადაშლილიყო, მარცხნივ – უსწორმასწორო ყავისფერი კედელი შავი ლაქებით, წითელი ძარღვებითა და დაკლაკნილი ფესვურებით; ზემოდან ამას თითქოს შიშითა და ცნობისმოყვარეობით გადმოხრილი წიწვოვანი

ხეები გადმოჰყურებდნენ. წუთიც არ იყო გასული, ისევ წივილი და სიცილი გაისმა; ამჯერად, უზარმაზარი დაკიდული ლოდის ქვეშ გაძვრნენ.

— ვერ გამიგია, რა ჯანდაბა მინდა, თქვენთან ერთად რომ მოვდივარ, — თქვა ლაევსკიმ. — ეს სისულელე და უგვანო საქციელია! იმის მაგივრად, ჩრდილოეთისკენ მივემგზავრებოდე, მივრბოდე, თავსა ვშველოდე, რატომღაც ამ ტუტუცურ პიკნიკზე მოვდივარ.

— შენც მიმოიხედე; ხედავ, რა პანორამაა! — უპასუხა სამოილენკომ, როცა ცხენებმა მარცხნივ გაუხვიეს, ყვითელი მდინარის ხეობა გამოჩნდა და თავად ყვითელი მდინარე ალაპლაპდა — ყვითელი, მღვრიე, გადარეული...

— ვერაფერს კარგს, საშა, ირგვლივ ვერ ვხედავ, — უპასუხა ლაევსკიმ. — სულ, მუდამ ბუნებით აღფრთოვანება წარმოსახვის სიმწირის ნიშანია. შედარებით იმასთან, რაც ჩემს წარმოსახვას შეუძლია მომცეს, ეს ნაკადულები და კლდეები ხარახურაააა და მეტი არაფერი.

ეტლები უკვე მდინარის ნაპირს მიუყვებოდნენ. მაღალი მთაგორიანი ნაპირები თანდათან ერთდებოდა, ველი ვიწროვდებოდა და ხეობაში გადადიოდა. კლდოვანი მთა, რომელთანაც ახლოს მგზავრობდნენ, ბუნების მიერ უზარმაზარი ლოდებით იყო შემდგარი და ეს ლოდები ისეთი საშინელი ძალით სრესდნენ ერთმანეთს, რომ სამოილენკო ყოველ შეხედვაზე ხვნეშოდა და ოხრავდა. პირქუში და ლამაზი მთა ალაგ-ალაგ იკვეთებოდა ვიწრო ნაპრალებითა და ხეობებით, საიდანაც მგზავრებს სინესტე და იდუმალება ეფინებოდა; ხეობებს მიღმა ჩანდა სხვა ვარდისფერი, მურა, იისფერი, დაბინდული და მკვეთრად განათებული მთები. როცა ხეობებს ჩაუვლიდნენ, იშვიათად, მაგრამ მაინც ისმოდა, რომ სადღაც მაღლიდან ვარდებოდა წყალი და ქვებს ეთხლიშებოდა.

— ოხ, ეს დაწყევლილი მთები, — ამოიოხრა ლაევსკიმ, — როგორ მომაბეზრეს თავი!

იქ, სადაც შავი მდინარე უერთდებოდა ყვითელს და მელანივით შავი წყალი აჭუჭყიანებდა და ებრძოდა ყვითელს, გზიდან

მოშორებით იდგა თათარ ქერბალაის დუქანი. დუქნის სახურავზე რუსეთის დროშა ფრიალებდა და ფირნიშზე ცარცით ეწერა: "საამო დუქანი"; იქვე იყო ტყრუშული ღობით გარშემორტყმული არც თუ ისე დიდი ბაღი, სადაც მაგიდა და სკამები დაედგათ და უბადრუკ ეკლიან ბუჩქნარიდან ამოზიდულიყო ერთადერთი კიპარისი, ლამაზი და შავი.

ტანმორჩილი მარდი თათარი ქერბალაი, ლურჯ პერანგზე თეთრი წინსაფარი რომ გადმოეფინა, გზისპირას იდგა, ხელები მუცელზე დაეწყო, თავს მიწამდე უხრიდა ეკიპაჟებს და იღიმებოდა – თავის თეთრ ბრწყინავ კბილებს აჩენდა.

— სალამი, ქერბალაიკა! — დაუყვირა სამოილენკომ. — ცოტა განზე გავალთ და სამოვარი და სკამები იქ მოგვიტანე! აბა, ცოცხლად!

ქერბალაი თმაგაკრეჭილ თავს უქნევდა და რაღაცას ბურტყუნებდა; მხოლოდ უკანა ეკიპაჟებში მსხდომთ შეეძლოთ გაეგონათ: "გვაქვს, კალმახი გვაქვს, თქვენო აღმატებულებავ."

— მოიტა, მოიტა, მოგვიტანე! — უთხრა ფონ კორენმა.

დუქნიდან ხუთას ნაბიჯზე ეკიპაჟები გაჩერდნენ. სამოილენკომ ამოარჩია პატარა მდელო, რომელზედაც დასაჯდომად გამოსადეგი ქვები იყო გაფანტული; იქვე ეგდო ქარიშხალისაგან ამოგლეჯილი ხე, ამოტრიალებული ბანჯგვლიანი ფესვებითა და გამხმარი გაყვითლებული წიწვებით. იქვე მდინარეზე გადაეკიდათ მორების უბადრუკი ხიდი, რომლის პირდაპირაც, მეორე ნაპირზე ოთხ არც თუ ისე მაღალ ხიმინჯზე იდგა სიმინდის გასაშრობი ნალია, ქათმის ფეხზე მდგარ ზღაპრულ ქოხს რომ მოჰგავდა; ნალიის კარიდან მიწაზე პატარა კიბე ეშვებოდა.

პირველი აზრი, ყველას რომ დაეუფლა, იყო ის, რომ აქედან ვერცერთი მათგანი ვეღარასოდეს გააღწევდა. საითკენაც უნდა გაგეხედათ, ყოველი მხრიდან სწრაფად, სწრაფად მოქროდა საღამოს ჩრდილი და ამის გამო ვიწრო, მრუდე შავი მდინარის ველი უფრო ვიწრო გეჩვენებოდა, მთები კი – უფრო მაღალი. ისმოდა, მდინარე როგორ დუდღუნებდა და გაუთავებლად როგორ ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები.

— გადასარევია! — თქვა მარია კონსტანტინოვნამ და აღფრთოვანებულმა ღრმად ჩაისუნთქა. — ბავშვებო, შეხედეთ, რა კარგია! რა სიჩუმეა!

— დიახ, მართლაც კარგია, — დაეთანხმა ლაევსკი, რადგანაც ხედი მოეწონა, მაგრამ, როცა ზეცას ახედა და მერე ცისფერ კვამლს, დუქნის მილიდან რომ ამოდიოდა, რატომღაც უცბად მოიწყინა. — დიახ, მართლაც კარგია! — გაიმეორა მან.

— ივან ანდრეიჩ, აგვიწერეთ ეს ხედი! — სთხოვა ცრემლმორეულმა მარია კონსტანტინოვნამ.

— რატომ? — იკითხა ლაევსკიმ — შთაბეჭდილება ყოველ აღწერასა სჯობს. ფერთა და ბგერათა ამ სიმდიდრეს, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი ბუნების წყალობით ვეზიარებით, მწერლები ისე უგვანოდ ამახინჯებენ, ვერც კი იცნობთ.

— ვითომ? — ცივად იკითხა ფონ კორენმა, რომელსაც წყლის პირას ყველაზე დიდი ლოდი ამოერჩია და ასვლას ცდილობდა, რომ დამჯდარიყო. — ვითომ? — გაიმეორა და თან ლაევსკის დაეძგერა თვალებით. — რომეო და ჯულიეტა? ან, მაგალითად, უკრაინის ღამე პუშკინისა? ბუნებამ ქედი უნდა მოიხაროს მათ წინაშე.

— მართლაც ასე უნდა იყოს... — დაეთანხმა ლაევსკი, რადგანაც აზროვნებაც და შეწინააღმდეგებაც დაეზარა. — თუმცა, — ცოტა ხნის შემდეგ დაამატა, — არსებითად რა გახლავთ რომეო და ჯულიეტა? ლამაზი, პოეტური, ღვთიური სიყვარული ანუ ვარდები, რომლითაც უნდათ სიდამპლე დაფარონ. რომეო ისეთივე ცხოველია, როგორიც ყველა.

— რაზედაც არ უნდა გესაუბროთ, თქვენ ყველაფერი... იმისკენ... — ფონ კორენმა კატიას შეხედა და სათქმელი არ დაამთავრა.

— რისკენ მიმყავს? — იკითხა ლაევსკიმ.

— თქვენ გეუბნებიან, მაგალითად: "შეხედეთ, რა ლამაზი მტევანია!" თქვენი პასუხი: "დიახ, ლამაზია, მაგრამ რა საზიზღრობაა, როცა ღეჭავენ და მუცელში ინელებენო." ამას რა თქმა უნდა? არც სიახლეა და არც... საოცარი და უცნაური მანერაა.

ლაევსკიმ იცოდა, ფონ კორენს რომ არ უყვარდა; ამიტომაც

ეშინოდა მისი და მისი თანდასწრებით თავს ისე გრძნობდა, თითქოს ყველასთან ერთად მასაც სული ეხუთებოდა და ზურგს უკანაც ვიღაც ედგა. არაფერი უპასუხა, განზე გადგა და ისევ ინანა, რომ წამოვიდა.

— ბატონებო, ნაბიჯით იარ, კოცონისთვის ფიჩხის მოსაგროვებლად! — ბრძანება გასცა სამოილენკომ.

ყველა თავისი გზით წავიდა. ადგილზე დარჩნენ მხოლოდ კირილინი, აჩმიანოვი და ნიკოდიმ ალექსანდრიჩი. ქერბალაიმ სკამები მოიტანა, მიწაზე ხალიჩა გაშალა და ზედ რამდენიმე ბოთლი ღვინო დადგა. მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ბოქაული კირილინი, ყოველგვარ ამინდში კიტელზე ფარაჯას რომ იცვამდა, მედიდური სიარულითა და დაბალი, ოდნავ ხრინწიანი ხმით, პროვინციელ ახალგაზრდა პოლიცმაისტერს მოგაგონებდათ. სევდიანი და ნამძინარევი გამომეტყველება ჰქონდა; თითქოს არ უნდოდა და ახლახანს ძალით გააღვიძესო.

— ეს რა მოიტანე, შე პირუტყვო? — ჰკითხა მან ქერბალაის, თან სიტყვებს ნელა ღეჭავდა. — მე ხომ გიბრძანე ყვარელი მოიტანე— მეთქი, შენ რა მოიტანე, შე თათარო, შენა! მითხარი, რა მოიტანე?

— ჩვენ ისედაც ბევრი ღვინო გვაქვს, ეგორ ალექსეიჩ, — მოკრძალებით და თავაზიანად სთქვა ნიკოდიმ ალექსანდრიჩმა.

— რაო? მე მინდა, რომ ჩემი ღვინოც იყოს, პიკნიკში ვმონაწილეობ და, ვიმედოვნებ, სრული უფლება მაქვს წილი შემოვიტანო. ვი – მე – დოვ – ნებ! ათი ბოთლი ყვარელი მოიტანე!

— ამდენი რად გვინდა? — გაიკვირვა ნიკოდიმ ალექსანდრიჩმა, რადგანაც იცოდა, კირილინს ფული რომ არ ჰქონდა.

— ოცი ბოთლი! არა, ოცდაათი! — იყვირა კირილინმა.

— მოეშვით, შეუკვეთოს, — უჩურჩულა აჩმიანოვმა ნიკოდიმ ალექსანდრიჩს, — მე გადავიხდი.

ნადეჟდა ფედოროვნა მხიარულ, ანცობის ხასიათზე იყო. მას უნდოდა ეხტუნა, ეცინა, ეყვირა, ვიღაც გაებრაზებინა ან ვიღაცას გაპრანჭვოდა. იაფფასიან ცისფერთვლებიან ჩითის კაბაში, წითელ ფეხსაცმელსა და იმავე ჩალის ქუდში საკუთარი თავი პეპელასავით

პატარა, უბრალო, მსუბუქი და ჰაეროვანი ეჩვენებოდა. მან გადაირბინა ის უდღეური ხიდი და წუთით ჩააცქერდა წყალს, თავბრუ რომ დახვეოდა; მერე წამოიყვირა და სიცილით მიაშურა გაღმა ნაპირს, ნალიას და ამ ხნის მანძილზე სულ ეგონა, რომ ყველა მამაკაცი, ქერბალაიც კი, ტკბებოდა მისი მზერით. როცა უსწრაფესად დაშვებულ წყვდიადში ხეები – მთებს, ცხენები ეკიპაჟებს შეერწყნენ, ხოლო დუქნის ფანჯრებში სინათლე გამოჩნდა, ნადეჟდა ქვებსა და ეკლიან ბუჩქნარს შორის დახვეულ ბილიკს აუყვა, გორაკზე ავიდა და ქვაზე ჩამოჯდა. ქვემოთ კოცონი უკვე ენთო. ცეცხლთან სახელოებდაკაპიწებული დიაკვანი მოძრაობდა. მისი გრძელი შავი ჩრდილი რადიუსივით ტრიალებდა კოცონის გარშემო; ცეცხლში ფიჩხს უმატებდა და გრძელ ჯოხზე დამაგრებული კოვზით ქვაბში რაღაცას ურევდა. სამოილენკო, სპილენძისფერ–მოწითალო სახით ცეცხლთან რაღაცას ხლაფორთობდა, როგორც თავის სამზარეულოში და მრისხანედ ყვიროდა:

— მარილი სად არის, ბატონებო? დაგავიწყდათ? რა ხდება? ყველა ბატონებივით რომ ჩამომსხდარხართ, მარტომ უნდა ვიშრომო?

ლაევსკი და ნიკოდიმ ალექსანდრიჩი მოგლეჯილ ხეზე ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და ცეცხლს ჩაფიქრებული მიშტერებოდნენ. მარია კონსტანტინოვნა, კატია და კოსტია კალათებიდან ჩაის ჭურჭელსა და თეფშებს ალაგებდნენ. გულხელდაკრეფილი ფონ კორენი ნაპირზე, თითქმის წყალთან იდგა, ცალი ფეხი ქვაზე დაედო და რაღაცას ფიქრობდა. კოცონის წითელი ლაქები, თავის ჩრდილებიანად, ადამიანთა შავ ფიგურებთან ახლოს მიწაზე კანკალებდნენ, ხტებოდნენ გორაკზე, ხეებზე, ხიდზე, ნალიაზეც; გაღმა მხარეს ფლატეებიანი, ოღროჩოღრო სანაპირო მთლად განათებული იყო, ციმციმებდა და მდინარეში ირეკლებოდა; სწრაფი, მჩქეფარე, დაუდგრომელი მდინარე კი ამ ანარეკლს ნაფლეთებად გლეჯდა. დიაკვანი თევზის მოსატანად წავიდა. თევზს ქერბალაი სანაპიროზე ასუფთავებდა და რეცხავდა. დიაკვანი შუა გზაში შედგა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ღმერთო ჩემო, რა სილამაზეა! — გაიფიქრა მან. — ადამიანები, ქვები, ცეცხლი, მწუხრი, მახინჯი ხე – აი, სულ ეს არის, მაგრამ რა

კარგია!

მეორე ნაპირზე ნალიასთან ვიღაც უცნობები გამოჩნდნენ. იმის გამო, რომ ცეცხლი კრთოდა და ნიავს კოცონის კვამლი იქითკენ მიჰქონდა, ერთდროულად ყველას დანახვა შეუძლებელი იყო. ხან ბანჯგვლიანი ქუდი და ჭაღარა წვერი გამოჩნდებოდა, ხან ლურჯი პერანგი, ხან ძონძები მხრებიდან მუხლებამდე, მუცლის განივ გარჭობილი ხანჯლით, ხან ახალგაზრდა შავგვრემანი სახე, ისეთი მკვეთრ და სქელწარბიანი, თითქოს ნახშირით მიახატესო. ხუთი მათგანი მიწაზე წრიულად დასხდნენ, დანარჩენი ხუთი კი ნალიისკენ წავიდნენ. ერთი მათგანი ნალიის კარში კოცონისკენ ზურგშექცევით დადგა, ხელები უკან დაილაგა და დანარჩენებს რაღაცას უყვებოდა – ეტყობა, ფრიად საინტერესოს, რადგანაც, როცა სამოილენკომ ფიჩხი შეუმატა და კოცონი ალაპლაპდა, ნაპერწკლები გაჰყარა და ნალია ძალზე გაანათა, გამოჩნდა, კარიდან როგორ მშვიდად, ღრმა ყურადღებით იცქირებოდა ორი ფიზიონომია და რომ ისინიც, წრეში ვინც ისხდნენ, როგორ შებრუნდნენ და როგორ უგდებდნენ ყურს ნაამბობს. ცოტა ხნის შემდეგ, წრეში ვინც ისხდნენ იმათ, გაბმული, მელოდიური, დიდმარხვის საეკლესიო გალობის მსგავსი რაღაც სიმღერა წამოიწყეს... ამათ რომ უსმენდა, დიაკვანმა წარმოიდგინა, რა ელოდება მას ათი წლის შემდეგ ექსპედიციიდან დაბრუნებულს; ის უკვე ახალგაზრდა მღვდელმონაზონი – მისიონერია, ღირსეული წარსულის მქონე სახელგანთქმული ავტორი; მას არქიმანდრიტად აკურთხებენ, შემდგომ – მღვდელმთავრად, არქიელად; საკათედრო ტაძარში სწირავს. ოქროს მიტრით თავდახურული, პანაღიათი ამბიონზე შედგება და კირიელეისონის ორგზისა და სამგზის გალობით ნათლით მსჭვალავს მრევლს და ღმერთს შეჰღაღადებს: ”გადმოგვხედე ზეცით, უფალო, და იხილე და აკურთხე ვაზი ესე, შენი მარჯვენით გაახარე იგი”.

— თევზი სად არის, დიაკვანო? — გაისმა სამოილენკოს ხმა.

კოცონთან რომ დაბრუნდა, დიაკვანმა წარმოიდგინა, ივლისის ცხელ დღეს მტვრიან გზაზე როგორ მოდის ლიტანია. კაცები ბაირაღებს აფრიალებენ, ქალებსა და გოგონებს ხატები მოაქვთ.

ამათ მგალობელი ბიჭუნები და ყბაახვეული, თმაში ჩალაგაჩრილი მედავითნე მოყვებიან, შემდეგ, როგორც წესია, მოდიან თვითონ, დიაკვანი, მღვდელი – არახჩინითა და ჯვრით, უკან კაცები, ქალები და ბიჭები მოსდევენ. იქვე ხალხში გარეულან თავშალიანი ფოფოდია და დიაკვნის ცოლი. მგალობლები მღერიან, ბავშვები ღრიალებენ, მწყრები ღუღუნებენ, ტოროლები გალობენ... აი, შეჩერდნენ და წმინდა წყალი აპკურეს ფარას... გზა განაგრძეს და მუხლმოდრეკილებმა ითხოვეს წვიმა. მერე წახემსება, განსჯანი, ბაასი...

”ამასაც არა უშავს...” — გაიფიქრა დიაკვანმა.

თავი VII

კირილინი და აჩმიანოვი ბილიკით გორაკს აუყვნენ. აჩმიანოვი ჩამორჩა და გაჩერდა, კირილინი კი ნადეჟდა ფედოროვნასთან მივიდა.

— საღამო მშვიდობისა! — თქვა მან და მხედრულად მიესალმა.

— საღამო მშვიდობისა.

— დიახ-ს? — თქვა კირილინმა და ცას ახედა; თან ფიქრობდა.

— რა დიახ-ს? — იკითხა ნადეჟდა ფედოროვნამ, მცირე ხანს გაყუჩდა და შენიშნა, აჩმიანოვი ორივეს რომ უთვალთვალებდა.

— მაშასადამე, როგორც ჩანს, — დინჯად ალაპარაკდა ოფიცერი, — ჩვენი სიყვარული დაჭკნა ისე, რომ აყვავებაც ვერ მოასწრო, ასე ვთქვათ! თუ შეიძლება, გვიბრძანეთ, ეს როგორ გავიგოთ? ერთგვარად კეკლუცობთ, თუ ისეთ უქნარად მიგაჩნივართ, რომელსაც, როგორც გნებავთ, ისე მოექცევით?

— ეს შეცდომა იყო! მომწყდით თავიდან! — მკვახედ მიუგო ნადეჟდა ფედოროვნამ. ამ მშვენიერ, საუცხოო საღამოს, კირილინს შიშით უმზერდა და საკუთარ თავს გაოცებული ეკითხებოდა: ნუთუ ნამდვილად არსებობდა წუთი, როცა ეს კაცი მოსწონდა და ახლო ურთიერთობაც ჰქონდა?

— ასეე! — თქვა კირილინმა; მცირე ხანს დუმდა, იფიქრა, იფიქრა და თქვა: — რას ვიზამთ?! მოვიცდით, ვიდრე უკეთეს ხასიათზე

მოხვალთ. მანამ კი გავბედავ, დაგარწმუნოთ, რომ წესიერი ადამიანი გახლავართ და უფლებას არავის მივცემ, ამაში ეჭვი შეეპაროს. ჩემი გათამაშება არ შეიძლება! Adieu!

ისევ მხედრულად გამოესალმა, ბუჩქები გადათელა და გაშორდა. ცოტა ხნის შემდეგ ნადეჟდას გაუბედავად მიუახლოვდა აჩმიანოვი.

— მშვენიერი საღამოა! — მსუბუქი სომხური აქცენტით თქვა მან.

აჩმიანოვი სანდომიანი ახალგაზრდა იყო, მოდურად იცვამდა, თავი უბრალოდ ეჭირა, როგორც კეთილშობილურად აღზრდილს შეეფერება, მაგრამ ნადეჟდა ფედოროვნას არ უყვარდა იმიტომ, რომ მამამისის სამასი მანეთი ემართა; არც ის სიამოვნებდა, პიკნიკზე მედუქნე რომ დაპატიჟეს; არც ის, მასთან რომ მოვიდა სწორედ, მაინცდამაინც ამ საღამოს, როცა სული სიფაქიზითა და სიწმინდით ჰქონდა სავსე.

— პიკნიკიც გამოგვივიდა, — თქვა და ისევ დადუმდა.

— დიახ, — დაეთანხმა ქალი და თითქოს ვალი ამ წამს გაახსენდაო, დაუდევრად დასძინა: — ჰო, მართლა, თქვენს მაღაზიაში გადაეცით, რომ ამ დღეებში ივან ანდრეიჩი შემოივლის და ვალს გადაიხდის... სამასია თუ რამდენი, აღარ მახსოვს.

— სამასს იქით მოგცემდით, ყოველდღე რომ არ გაიხსენოთ თქვენი ვალი. რა საჭიროა ეს პროზა?

ნადეჟდა ფედოროვნამ ჩაიკისკისა; სასაცილო აზრი გაუჩნდა; უზნეო რომ ყოფილიყო და მოენდომებინა, ვალს ერთ წუთში მოიშორებდა. რა მოხდებოდა, მაგალითად, ეს ლამაზი, ახალგაზრდა სულელი რომ მოეხიბლა! არსებითად ეს იქნებოდა სასაცილო, საზარლად უცნაური უაზრობა! უცებ, მოუნდა თავი შეეყვარებინა, გაეღლიტა, მიეგდო და მერე დაენახა, აქედან რაც გამოვიდოდა.

— ნება მიბოძეთ, ერთი რამ გირჩიოთ, — მორიდებით თქვა აჩმიანოვმა. — გთხოვთ, მოერიდეთ კირილინს. თქვენზე ყველგან რაღაც საშინელებებს ჰყვება.

— სულაც არ მაინტერესებს, ვინმე სულელი ჩემზე რას ამბობს, — ცივად მიუგო ნადეჟდა ფედოროვნამ და აფორიაქდა; მოფიქრებულმა სასაცილო მოსაზრებამ გაეთამაშებინა ახალგაზრდა, კეთილი და კარგი აჩმიანოვი, წამსვე დაკარგა ხიბლი.

— უნდა ჩავიდეთ, — თქვა ქალმა, — გვეძახიან.

ქვემოთ უხა უკვე მზად იყო. წვნიანს თეფშებში ისხამდნენ და ისე მიირთმევდნენ, თითქოს მღვდელმსახურებას ეწევიანო – როგორც ეს მხოლოდ პიკნიკებზე ხდება; ყველა აღნიშნავდა, უხა ძალიან გემრიელიაო და შინ ასეთი გემრიელი არასოდეს არაფერი ეჭამათ. როგორც ყოველ პიკნიკზე ხდება, ამ უამრავ ხელსაწმენდებში, ფუთებში, ნახმარ, ქარისაგან ამოძრავებულ გაქონილ ქაღალდებში, არავინ იცოდა, ვისი ჭიქა ვის ეჭირა, ვისი პური სად იდო; ღვინო ესხმებოდათ ხალიჩაზედაც და მუხლებზეც, მარილი, რა თქმა უნდა, დაეპნათ; ირგვლივ კი ძალიან ბნელოდა, რადგანაც კოცონი ძველებურად აღარ კიაფობდა და ფიჩხი რომ შეეკეთებინათ, ადგომა ყველას ეზარებოდა. ღვინოს ყველა სვამდა. კოსტიასა და კატიასაც დაალევინეს ნახევარ–ნახევარი ჭიქა. ნადეჟდა ფედოროვნამ ჯერ ერთი ჭიქა შესვა, მერე – მეორე, შეთვრა და კირილინი გადაავიწყდა.

— ჩინებული პიკნიკია, საღამოც მომაჯადოვებელია, — თქვა ღვინით გამხიარულებულმა ლაევსკიმ, — მაგრამ ამ ყველაფერს კარგი, მაგარი ზამთარი მირჩევნია. "და მის საყელოს ფიფქი დაყრილი ავერცხლისფერებს თახვის ბეწვიანს".

— თითოეულ ჩვენგანს თავისი აზრი და გემოვნება აქვს, — შენიშნა ფონ კორენმა.

ლაევსკიმ უხერხულობა იგრძნო: ზურგს კოცონის სიმხურვალე უწვავდა, გულსა და სახეს კი – ფონ კორენის სიძულვილი. წესიერი, ჭკვიანი კაცის ეს სიძულვილი, რომელშიაც, ალბათ, დაპირისპირების ძირითადი მიზეზი იმალებოდა, ამდაბლებდა და ასუსტებდა მას და, რადგანაც წინააღმდეგობა აღარ შეეძლო, ლაქუცით თქვა:

— ბუნება გაგიჟებით მიყვარს და ვნანობ, ბუნებისმეტყველი რომ არ ვარ. მშურს თქვენი.

— მე კი არცა ვნანობ და არცა მშურს, — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ. — ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, სერიოზულად ამტვრიო თავი ხოჭო იქნება თუ მწერი, როცა ხალხი ასე იტანჯება.

ლაევსკი მის აზრს იზიარებდა. ის სრულებით არ იცნობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და ამიტომაც ვერასოდეს

შეეგუებოდა ვერც საერთო ავტორიტეტულ კილოსა და ვერც მეცნიერებს – ამ ღრმადმოაზროვნე გამომეტყველების მქონე ადამიანებს, რომლებიც ჭიანჭველების ულვაშებსა და ტარაკანების ფეხებს სწავლობენ; ის სულ ჯავრობდა, რომ ეს ხალხი ულვაშებზე, ფეხებსა და რაღაც პროტოპლაზმაზე (ეს რატომღაც ხამანწკა ეგონა) დაყრდნობით, თავს ნებას აძლევენ ადამიანის წარმოშობისა და სიცოცხლის საკითხები გადაჭრან. მაგრამ ნადეჟდა ფედოროვნას სიტყვებში სიყალბე მოესმა და ეს მხოლოდ იმიტომა თქვა, მას შეწინააღმდეგებოდა:

— მთავარი ხოჭოები კი არა, დასკვნებია!

თავი VIII

შინ დასაბრუნებლად ეკიპაჟებში ჩასხდომა გვიან დაიწყეს, ასე მეთერთმეტე საათი იქნებოდა. ყველა ჩასხდა ნადეჟდა ფედოროვნასა და აჩმიანოვის გარდა, რომლებიც მდინარის გაღმა ნაპირზე დარბოდნენ და ხარხარებდნენ.

— იჩქარეთ, ბატონებო! — დაუყვირა მათ სამოილენკომ.

— ქალებისთვის ღვინო არ უნდა მიგვეცა. — ჩუმად ჩაილაპარაკა ფონ კორენმა.

პიკნიკით, ფონ კორენის სიძულვილითა და საკუთარი ფიქრებით დაღლილი ლაევსკი ნადეჟდა ფედოროვნას შესახვედრად გაეშურა. როცა მხიარულმა, გახარებულმა ქალმა, თავს ბუმბულივით მჩატედ რომ გრძნობდა, აქოშინებულმა და ახარხარებულმა ორივე ხელი ხელებში ჩასჭიდა და თავი მკერდზე მიაყრდნო, ლაევსკიმ ნაბიჯი უკან გადადგა და მკაცრად წამოიძახა:

— როგორ იქცევი... ქათამივით ნუ კრიახობ!

ეს ისე უხეშად გამოუვიდა, შეეცოდა კიდევაც ქალი. კაცის გაბრაზებულ, გადაღლილ სახეზე ნადეჟდამ სიძულვილი, სიბრალული, სამდურავი ამოიკითხა და წამსვე სულით დაეცა. მიხვდა, რომ გადაამლაშა, რომ უბოდიშოდ იქცეოდა; მოეჩვენა, თითქოს მძიმე, მსუქანი, სქელ-სქელი, უხეში და მთვრალი იყო და დამწუხრებული პირველივე ცარიელ ეკიპაჟში ჩაჯდა აჩმიანოვთან

ერთად. ლაევსკი კირილინს ჩაუჯდა, ზოოლოგი – სამოილენკოს, დიაკვანი – ქალებს და მეპიკნიკეთა ქარავანი დაიძრა.

— აი, ხომ ხედავთ, როგორები არიან მაკაკები... — დაიწყო ფონ კორენმა, ლაბადაში გაეხვია და თვალები დახუჭა. — ხომ გესმოდა, იმ ქალბატონს არა სდომებია ხოჭოებისა და მწერების შესწავლა, რადგანაც ხალხი იტანჯება. აი, ასე სჯიან ჩვენისთანებს ყველა მაკაკები. ეს არის მონების, მზაკვრების, მათრახითა და მუშტით ათთაობადაშინებულების მოდგმა. ეგენი ცახცახებენ და გული უჩუყდებათ მხოლოდ ძალადობის წინაშე. ეგენი გუნდრუკს უკმევენ მხოლოდ ძალადობას. მაგრამ თუ მაკაკა შეუშვი თავისუფალ გარემოში, სადაც ქეჩოში ხელს არავინ ჩაავლებს, მაშინვე გალაღდება და გიჩვენებს, ვინც არის. შეხედე, რა გაბედულია სურათების გამოფენაზე, მუზეუმებში, თეატრებში ან მეცნიერებაზე საუბრისას: იფხორება, ყალყზე დგება, ილანძღება და აკრიტიკებს... დიახ, დიახ, აუცილებლად აკრიტიკებს – ეს მონათა თვისებაა! აბა, დააკვირდი: თავისუფალი პროფესიის ადამიანებს უფრო ხშირად აკრიტიკებენ, ვიდრე – თაღლითებს. ეს იმიტომ ხდება, რომ საზოგადოების სამი მეოთხედი მონებისაგან შედგება. აი, სწორედ ამგვარი მაკაკებისაგან. არასოდეს მომხდარა, მაკაკამ ხელი გამოგიწოდოს და გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ მუშაობ და შრომობ.

— არ მესმის, რა გინდა! — მთქნარებით წაილუღლუღა სამოილენკომ. — საწყალ ქალს გულუბრყვილობით მოუნდა შენთან რაიმე ჭკვიანურზე ესაუბრა და შენ უკვე დასკვნები მზადა გაქვს. მის კაცზე რატომღაც გაბრაზებული ხარ და ეგაც მიაყოლე. ის კი მშვენიერი ქალია!

— ეი, კმარა, კმარა! ჩვეულებრივი ხასაა, გარყვნილი, უგვანო და უხამსი. ყური დამიგდე, ალექსანდრ დავიდიჩ, როცა ხვდები უბრალო დედაკაცს, რომელიც ქმართან არ ცხოვრობს, არაფერს აკეთებს და მხოლოდ ხა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი გაუდის, ხომ ყოველთვის ეუბნები: ქალო, იმუშავეო! ამ შემთხვევაში რატომ ფრთხილობ და რად გეშინია, სიმართლე თქვა? მხოლოდ იმიტომ, რომ ნადეჟდა ფედოროვნა მეზღვაურთან კი არა, ჩინოვნიკთან ცხოვრობს?

— მე რა ვქნა? — გაბრაზდა სამოილენკო. — გავლახო?

— გარყვნილებას ნუ ეპირფერები. გარყვნილებას ჩვენ მხოლოდ ზურგს უკან ვწყევლით. ეს კი მუშტის ჯიბიდან მოღერებასა და უძლური კაცის მუქარასა ჰგავს. მე ზოოლოგი ვარ, თუ სოციოლოგი, სულ ერთია, შენ – ექიმი; საზოგადოებას ჩვენი სჯერა; ჩვენ ვალდებულნი ვართ, მივუთითოთ მათ იმ საშინელ ვნებასა და ზიანზე, რაც ემუქრებათ მათაც და მომავალ თაობებსაც იმის გამო, რომ არსებობენ ნადეჟდა ივანოვნასნაირი ქალბატონები.

— ფედოროვნაა ის ქალი, — შეუსწორა სამოილენკომ. — საზოგადოებამ რაღა უნდა ქნას?

— საზოგადოებამ? ეს მისი საქმეა. მე თუ მკითხავთ, ყველაზე პირდაპირი და სწორი გზა ძალადობაა. Manu militari უნდა დააბრუნო ქმართან და თუ მეუღლე არ მიიღებს, ან კატორღაში უნდა გააგზავნო ან რომელიმე შრომა-გასწორების დაწესებულებაში.

— უჰ! — ამოიოხრა სამოილენკომ, მცირე ხანს გაჩერდა და მერე ჩუმად იკითხა: — ამას წინათ ამბობდი, ისეთი ადამიანები, როგორიც ლაევსკია, უნდა განადგურდნენო... მითხარი, ის რომ იყოს... ვთქვათ, სახელმწიფომ ან საზოგადოებამ დაგავალა, ეგ კაცი გაანადგურეო, რას იზამდი... დათანხმდებოდი?

— ხელიც არ ამიკანკალდებოდა.

თავი IX

შინ რომ დაბრუნდნენ, ლაევსკი და ნადეჟდა ფედოროვნა თავიანთ ბნელ, ჩახუთულ, მოსაწყენ ოთახებში შევიდნენ. ორივე დუმდა. ლაევსკიმ სანთელი აანთო, ნადეჟდა ფედოროვნა კი, ისე რომ მანტო და ქუდი არ გაუხდია, დაჯდა და სევდიანი, დამნაშავის თვალებით შეაცქერდა მას.

კაცი მიხვდა, რომ მისგან ახსნა–განმარტებას ელიან; მაგრამ ეს მოსაწყენი, უსარგებლო და დამქანცველი იქნებოდა, თანაც სული დაუმძიმდა იმისგან, თავი რომ ვერ შეიკავა და უხეშად მიმართა. შემთხვევით ჯიბეში ხელი შეეხო წერილს, რომლის წაკითხვასაც მისთვის ყოველდღე აპირებდა და გაიფიქრა, ახლავე თუ აჩვენებდა,

მისი ყურადღება სულ სხვა მხარეს გაიფანტებოდა.

”დროა ურთიერთობა გაირკვეს, — გადაწყვიტა მან. — მივცემ წერილს. მოხდეს, რაც მოსახდენია”.

მან წერილი ამოიღო და გაუწოდა.

— წაიკითხე. შენ გეხება.

უთხრა თუ არა, თავის კაბინეტში შევიდა და დივანზე დაწვა იმ სიბნელეში უბალიშოდ. ნადეჟდა ფედოროვნამ წერილი წაიკითხა და მოეჩვენა, რომ ჭერი ქვემოთ დაეშვა და კედლები მოუახლოვდნენ. უცებ დამდგარმა სივიწროვემ და სიბნელემ დახუთა. შიშმა აიტანა. პირჯვარი სამგზის გადაიწერა და წაჩურჩულა:

— უფალო, შემიწყალე... უფალო, შემიწყალე...

და ატირდა.

— ვანია! — დაიძახა მან. — ივან ანდრეიჩ!

პასუხი არ ისმოდა, რადგანაც ეგონა, რომ ლაევსკი შემოვიდა და მის სკამთან იდგა, ბავშვივით აზლუქუნდა და სთქვა:

— რატომ ადრე არ მითხარი, რომ მოკვდა? პიკნიკზე არ წამოვიდოდი, ასე საშინლად არ ვიხარხარებდი. კაცები უხამსობას მეუბნებოდნენ. რა ცოდვაა, როგორ შევცოდე! მიშველე, ვანია, მიშველე... გავგიჟდი, ჭკუიდან გადავდექი... დავიღუპე...

ლაევსკის ესმოდა მისი ზლუქუნი, აუტანლად ეხუთებოდა სული და გული ძლიერ უცემდა. სევდიანი წამოდგა, ოთახის შუაში დადგა, სიბნელეში მაგიდასთან ხელით სავარძელი იპოვა და ჩაჯდა.

”ეს ხომ ციხეა... — უნდა გავიქცე... აღარ შემიძლია...”

კარტის სათამაშოდ წასვლა უკვე გვიან იყო, ქალაქში რესტორნები არ იყო. ისევ დაწვა და ყურები დაიხშო, ქვითინი რომ არ გაეგონა და უცებ გაახსენდა, რომ შეიძლებოდა სამოილენკოსთან წასულიყო. ნადეჟდა ფედოროვნას გვერდით რომ არ ჩაევლო, ფანჯრიდან ბაღში გადახტა, ღობეზე გადაძვრა და ქუჩას გაუყვა. ბნელოდა. ახლახანს ჩამოდგა რომელიღაც გემი. განათების სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, გემი დიდი და სამგზავრო იყო... ღუზის ჯაჭვის გრუხუნი გაისმა. ნაპირიდან გემისაკენ სწრაფად მოძრაობდა წითელი წერტილი: ეს მებაჟეთა ნავი იყო.

”მგზავრებს ტკბილად და არხეინად სძინავთ”... — გაიფიქრა

ლაევსკიმ და სხვისი სიმშვიდისა შეშურდა.

სამოილენკოს სახლის ფანჯრები ღია იყო. ლაევსკიმ ჯერ ერთ ფანჯარაში შეიხედა, მერე – მეორეში: ოთახებში ბნელოდა და სიჩუმე იდგა.

— ალექსანდრ დავიდიჩ, გძინავთ? — დაუძახა მან.

— ალექსანდრ დავიდიჩ!

ჯერ ხველა მოისმა და მერე – შეშფოთებული პასუხი:

— ვინ არის? რა ჯანდაბაა!

— მე ვარ, ალექსანდრ დავიდიჩ. მომიტევე.

ცოტა ხნის შემდეგ კარი შეიღო; ლამპარის თბილმა სინათლემ გაიელვა და გამოჩნდა უზარმაზარი სამოილენკო თეთრებში, თეთრი ჩაჩით თავზე.

— რა გნებავს? — იკითხა მან; ახლადგაღვიძებული მძიმედ სუნთქავდა და მუცელს იფხანდა. — მოიცა, ახლავე გაგიღებ.

— ნუ წუხდები, ფანჯრიდან შემოვალ.

ლაევსკი ოთახში ფანჯრიდან გადაძვრა, სამოილენკოს მიეჭრა და ხელში ჩააფრინდა.

— ალექსანდრ დავიდიჩ, — აკანკალებული ხმით წამოიძახა, — გადამარჩინე!! გაფიცებ, გევედრები, გემუდარები, გამიგე! ვიტანჯები. ერთი–ორი დღე ასევე თუ გაგრძელდა, თავს დავიხრჩობ... ძაღლივით!

— მოიცა, მოიცა... კაცმა რომ თქვას, ამას რის თაობაზე მეუბნები?

— სანთელი აანთე.

— ოხ, ოხ... — ხვნეშით აანთო სანთელი, — ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... უკვე მეორე საათი დაწყებულა, ძმაკაც.

— მაპატიე, მაგრამ შინ ჯდომა არ შემიძლია, — თქვა ლაევსკიმ, სინათლისა და სამოილენკოს თანდასწრებით გულზე რომ მოეშვა, — ალექსანდრ დავიდიჩ, შენ ჩემი ერთადერთი, ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ... მხოლოდ შენი იმედი მაქვს. შეგიძლია თუ არა, გინდა თუ არა, თუ ღმერთი გწამს, მიხსენი! რადაც უნდა დამიჯდეს, აქედან უნდა გავემგზავრო. ფული მასესხე!

— ოხ, ღმერთო, ღმერთო! — ამოიხვნეშა სამოილენკომ და მუცელი ისევ მოიფხანა. — ის-ის იყო ვიძინებდი და სასტვენის ხმა

გავიგონე – გემი ჩამოდგა, მერე შენ გამოჩნდი... ბევრი გჭირდება?

— უკიდურეს შემთხვევაში სამასი მანეთი. იმას ასი უნდა დავუტოვო, მე კი გზაში ორასი დამჭირდება. შენი უკვე ოთხასამდე მმართებს, მაგრამ ყველაფერს, სულ გამოგიგზავნი... სულ.

სამოილენკომ ცარიელი ხელით ორივე საფეთქელი მოისრისა, ფეხები გადგა და ჩაფიქრდა.

— ასე... — ჩაიბუტბუტა ჩაფიქრებულმა. — სამასი... ჰო... ამდენი არა მაქვს. ვინმეს უნდა ვესესხო.

— ესესხე, თუ ღმერთი გწამს! ღვთის გულისათვის, ესესხე! — თქვა ლაევსკიმ, რადგანაც შეატყო, რომ სამოილენკოს უნდოდა ფული მიეცა და მისცემდა კიდეც. — ისესხე. აუცილებლად დავუბრუნებ. პეტერბურგიდან გამოვაგზავნი, როგორც კი ჩავალ. ამაზე არც იფიქრო! მშვიდად იყავი, საშა, — თქვა გამოცოცხლებულმა. — მოდი, დავლიოთ!

— ასე... კარგი, დავლიოთ.

ორივენი სასადილო ოთახში შევიდნენ.

— ნადეჟდა ფედოროვნას რაღას უპირებ? — ჰკითხა სამოილენკომ, თან მაგიდაზე სამი ბოთლი და ატმებით სავსე თეფში დააწყო. — ის განა დარჩება?

— ყველაფერს მოვაგვარებ, ყველაფერს მოვაგვარებ... — თქვა ლაევსკიმ და სიხარულის მოზღვავება იგრძნო. — იმას ფულს მერე გამოვუგზავნი და ჩემთან ჩამოვა... და იქვე გავარკვევთ ჩვენს ურთიერთობას. შენი სადღეგრძელო იყოს, ძმაო.

— მოიცა, მოიცა! — შესძახა სამოილენკომ. — ჯერ ეს დალიე. ეგ ჩემი ვენახისაა. ეს ბოთლი კი ნავარიძის ვენახისაა, ეს მესამე — ახატულოვისა. სამივე გასინჯე და გულახდილად მითხარი... მჟავიანობა ჩემსას უკეთესი აქვს. რას იტყვი?

— დიახ. დამამშვიდე, ალექსანდრ დავიდიჩ. გმადლობ. გამაცოცხლე.

— ხომ ნორმალური მჟავიანობა აქვს?

— ეშმაკმა უწყის. მე რა ვიცი... შენ კი არაჩვეულებრივი, საოცარი ადამიანი ხარ!

მის ფერმკრთალ, აღგზნებულ, კეთილ სახეს რომ შეხედა, ფონ

კორენის ნათქვამი გაახსენდა, ასეთები უნდა განადგურდნენო და უცებ ლაევსკი მოეჩვენა სუსტ, უმწეო ბავშვად, რომელსაც, ვისაც მოესურვება, დაჩაგრავს და გაანადგურებს.

— როცა ჩახვალ, დედას შეურიგდი, — ურჩია სამოილენკომ, — ასე არ ვარგა.

— დიახ, დიახ... აუცილებლად.

ცოტა ხანს დადუმდნენ. პირველი ბოთლი რომ გამოცალეს, სამოილენკომ თქვა:

— ეგებ, ფონ კორენსაც შეურიგდე, ორივე უმშვენიერესი, უჭკვიანესი კაცები ხართ, ერთმანეთს კი მგლებივით უღრენთ.

— ის მართლაც უმშვენიერესი, უჭკვიანესი კაცია, — დაეთანხმა ლაევსკი, რადგანაც ახლა უკვე მზად იყო ყველა ექო და შეენდო. — ის შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ მასთან დამეგობრება ჩემთვის შეუძლებელია. არ შეიძლება, არა! ჩვენი ბუნება ძალიან განსხვავებულია. მე დუნე, სუსტი, დაქვემდებარებული ნატურისა ვარ. დასაშვებია, რომელიღაც საუკეთესო ჟამს ხელიც კი გამეწოდებინა მისთვის, მაგრამ ის ნამდვილად ზურგს შემაქცევდა... თანაც ზიზღით.

ლაევსკიმ ღვინო მოსვა, გაიარ–გამოიარა, შუა ოთახში შედგა და განაგრძო:

— ფონ კორენისა კარგად მესმის. ის მტკიცე, უდრეკი ნატურის კაცია, ძლიერი, დესპოტური. გაიგონებდი, სულ ექსპედიციაზე ლაპარაკობს. ლიტონი სიტყვები არ გეგონის. უდაბნო ეძახის, მთვარიანი ღამე: ირგვლივ კარვებსა და ღია ცის ქვეშაც სძინავთ მის მშიერ, ავადმყოფ, უმძიმესი გადასვლებით გაწამებულ კაზაკებს, გამცილებლებს, მტვირთავებს, ექიმს, მღვდელს. მხოლოდ მას არ სძინავს. უდიდეს მოგზაურ სტენლივით ჩამომჯდარა დასაკეც სკამზე და უდაბნოს მეფე და ამ ხალხის პატრონი ჰგონია თავი. ის მიდის, მიდის, მიდის სადღაც; ადამიანები კვნესენ და მიყოლებით იხოცებიან, ის კი მიდის და მიდის. ბოლოს და ბოლოს, თვითონაც იღუპება, მაგრამ დესპოტად და უდაბნოს მეფედ მაინცა რჩება, რადგანაც მექარავნენი ოცდაათი–ორმოცი მილის მანძილზე ხედავენ მისი საფლავის ჯვარს, უდაბნოზე რომ ხელმწიფობს.

ძალიან ვნანობ, ეგ კაცი სამხედრო სამსახურში რომ არ არის. მისგან ჩინებული, გენიალური მხედართმთავარი დადგებოდა. ის მდინარეში დაუფიქრებლად ჩაახრჩობდა საკუთარ კავალერიას და ცხედრებისაგან ხიდს გამართავდა. ასეთი გამბედაობა კი ყოველგვარ ფორტიფიკაციასა და ტაქტიკაზე უფრო საჭიროა ომში. ო, რა კარგად მესმის მისი! მითხარი: აქაურობას რატომ შეაჭმევინა თავი? აქ რა უნდა?

— ზღვის ფაუნას სწავლობს.

— არა, ძმაო, არა და არა! — აღმოხდა ლაევსკის. — გემზე ერთი მეცნიერი გვიყვებოდა, რომ შავი ზღვა ფაუნით საკმაოდ ღარიბია, რადგანაც სიღრმეში უხვად არის გოგირდმჟავა, რის გამოც ორგანული ცხოვრება შეუძლებელიაო. ყველა სერიოზული ზოოლოგი ბიოლოგიურ სადგურში მუშაობს ნეაპოლში ან Villefriche. მაგრამ ფონ კორენი დამოუკიდებელი და ჯიუტია: ის მუშაობს შავ ზღვაზე, რადგანაც აქ სხვა არავინ მუშაობს; უნივერსიტეტთან კავშირი გაწყვიტა, არ ცნობს არც მეცნიერებს და არც ამხანაგებს, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, დესპოტია და მხოლოდ შემდგომ – ზოოლოგი. აი, ნახავ, თუ დიდ სარგებელს არ მოიტანს. ის უკვე, ახლავე ოცნებობს იმაზე, ექსპედიციიდან რომ დაბრუნდება, ჩვენი უნივერსიტეტებიდან გააძევებს ინტრიგას, უნიჭობას და მეცნიერებს სიცოცხლეს ანანებს, ვაცის რქებივით დაგრეხს. დესპოტიზმი მეცნიერებაშიც ისეთივე სიმძლავრეა, როგორც ომში. ამ აყროლებულ ქალაქში კი ორი წელი იმიტომ ცხოვრობს, რომ სოფლად პირველობა ურჩევნია ქალაქში მეორეობას. აქ ხელმწიფე და არწივია; ქალაქელებს შიშის ზარსა სცემს და თავისი ავტორიტეტით სრესს. ყველა გამოჭერილი ჰყავს, ყველას საქმეში ეჩრება, ყველაფერი მისი საქმეა და ყველას ეშინია მისი; მხოლოდ მე ვუსხლტები კლანჭებიდან. ამას გრძნობს და ამიტომ ვეჯავრები. შენთვის ხომ არ უთქვამს, ეგ უნდა გავანადგუროთ ან საზოგადოებრივ სამუშაოდ გავამწესოთო

— მითხრა, — გაეცინა სამოილენკოს.

ლაევსკიმ გაიცინა და ღვინო შესვა.

— იდეალებიც დესპოტური აქვს, — სიცილითვე დაამატა და

ატამი ჩაკბიჩა. — ჩვეულებრივ მომაკვდავთ, საერთო სარგებლობის მოსატანად თუ მუშაობენ, მხედველობაში ჰყავთ მოყვასნი თვისნი: მე, შენ, ერთი სიტყვით, ადამიანი. ფონ კორენისთვის კი ადამიანები ლეკვები და არარაობანი არიან, ფრიად უმნიშვნელონი იმისათვის, მისი ცხოვრების მიზნად რომ იქცნენ. ის მუშაობს, ექსპედიციაშიც წავა და კისერსაც მოიტეხავს, ოღონდ, მოყვასის სიყვარულისთვის კი არა, არამედ ისეთი აბსტრაქციებისათვის, როგორიც კაცობრიობა, მომავალი თაობა და ადამიანთა იდეალური მოდგმაა. ის ჩალიჩობს ადამიანის ჯიშის გასაუმჯობესებლად. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მისთვის მხოლოდ მონები, საზარბაზნე ხორცი და სასაპალნე საქონელი ვართ. აქედან ზოგს გაანადგურებდა, ან სულს კატორღაში აღმოხდიდა, სხვებს დისციპლინით დათრგუნავდა და არაკჩეევივით აიძულებდა, დოლის ხმაზე გაეღვიძათ და დაეძინათ. ჩვენი უბიწოებისა და ზნეობრიობის დასაცავად საჭურისებს დააყენებდა და უბრძანებდა, ესროლათ ყველასთვის, ვინც ჩვენი ვიწრო, კონსერვატული მორალის წრეს გასცდებოდა. და ამას ყველაფერს ჩაიდენდა ადამიანთა ჯიშის გასაკეთილშობილებლად... კი, მაგრამ რა არის ეს ადამიანთა ჯიში? ილუზია, მირაჟი... დესპოტები ყოველთვის ილუზიონისტები იყვნენ. მე, ჩემო ძმაო, ძალიან კარგად მესმის მისი, ვაფასებ და მის მნიშვნელობასაც ვაღიარებ. მაგისნაირებზე დგას ეს ქვეყანა; და თუ მთელ ქვეყანას მხოლოდ ჩვენისთანებს ჩააბარებ, ჩვენ, ჩვენი სიკეთითა და კეთილი განზრახვებით, იმასვე დავმართებდით მას, რაც აი, ბუზებმა უქნეს ამ სურათს. დიახ!

ლაევსკი სამოილენკოს მიუჯდა და გულწრფელი გატაცებით უთხრა:

— მე თავქარიანი, ზნედაცემული, არარაობა ვარ! ჰაერი, რომელიც მასულდგმულებს, ღვინო და სიყვარულია. ერთი სიტყვით, დღევანდლამდე სიცოცხლეს სიცრუის, უსაქმურობისა და სულმდაბლობის ხარჯზე ვყიდულობდი. დღევანდლამდე ადამიანებს და საკუთარ თავს ვატყუებდი და ამის გამო ვიტანჯებოდი, თუმცა ეს ტანჯვაც იაფფასიანი და უხამსი იყო. ფონ კორენის სიძულვილის წინაშე მოკრძალებით ვიხრი ქედს, რადგანაც დროდადრო თვითონვე მძულდა და მეზიზღებოდა საკუთარი თავი.

აღელვებულმა ისევ გაიარ–გამოიარა ოთახში და თქვა:

— მიხარია, ნათლად რომ ვხედავ საკუთარ ნაკლს და შეგნებული მაქვს მისი მნიშვნელობა. ეს მომეხმარება მკვდრეთით აღვსდგე და სულ სხვა ადამიანად ვიქცე. ჩემო კარგო, ნეტა იცოდე, რა გაგიჟებითა და სევდით მწყურია განახლება. გეფიცები, ნამდვილად ვიქცევი ადამიანად! ნამდვილად! არ ვიცი, ღვინომ ამალაპარაკა, თუ ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ მგონია, რომ უკვე დიდი ხანია ასეთი ნათელი, წმინდა წუთები არ განმიცდია, როგორსაც განვიცდი აქ, ახლა, შენთან!

— ძილის დროა, ძმაკაც... — თქვა სამოილენკომ.

— დიახ, დიახ... მომიტევე, მომიტევე... ახლავე.

ლაევსკიმ ავეჯსა და ფანჯარას შორის ქუდს დაუწყო ძებნა.

— გმადლობ. — ბურტყუნებდა და ოხრავდა, — გმადლობ... ალერსი და კეთილი სიტყვა მოწყალებაზე მაღლა დგას.

ქუდი იპოვა, შეჩერდა და დამნაშავესავით შეაცქერდა სამოილენკოს.

— ალექსანდრ დავიდიჩ! — მუდარით წარმოსთქვა.

— რა გნებავს?

— თუ შეიძლება, ღამეს შენთან გავათენებ, ჩემო კარგო!

— რატომაც არა.. მოიღეთ მოწყალება.

ლაევსკი დივანზე დაწვა და კიდევ დიდხანს ემუსაიფებოდა ექიმს.

თავი X

პიკნიკიდან მესამე დღეს ნადეჟდა ფედოროვნას მოულოდნელად ეწვია მარია კონსტანტინოვნა; არც მისალმებია, არც ქუდი მოუხდია, ორივე ხელში სტაცა ხელები, გულში ჩაიკრა და ძლიერ აღელვებულმა უთხრა:

— ჩემო ძვირფასო, ძალზე აღელვებული და განცვიფრებული ვარ. ჩვენმა კეთილმა, სანდომიანმა ექიმმა გუშინ ჩემს ნიკოდიმ ალექსანდრიჩს უთხრა, თითქოს თქვენი ქმარი გარდაიცვალა. მითხარი, ძვირფასო... მითხარი, გეთაყვა, ეს სიმართლეა?

— დიახ, სიმართლეა... გარდაიცვალა. — უპასუხა ნადეჟდა ფედო-

როვნამ.

— რა საშინელებაა, რა საშინელებაა, ძვირფასო! მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. თქვენი ქმარი, ალბათ, საუცხოო, შესანიშნავი, წმინდანი ადამიანი იყო. ასეთები ზეცას უფრო სჭირდება, ვიდრე მიწას.

მარია კონსტანტინოვნას სახეზე ყველა ხაზი და წერტილი აუკანკალდა, თითქოს კანქვეშ პატარ-პატარა ნემსები ახტუნავდნენო. მან ნუშისებრ გაიღიმა და აღფრთოვანებულმა ქოშინით წარმოსთქვა:

— ესე იგი, ახლა თავისუფალი ხართ, ჩემო კარგო. ახლა შეგიძლიათ წელგამართულმა ყელი მოიღეროთ და თამამად შეხედოთ ხალხს თვალებში. დღეიდან ღმერთი და ხალხიც დალოცავს თქვენს კავშირს ივან ანდრეიჩთან. გადასარევია!! სიხარულით ვკანკალებ, სიტყვები არ მყოფნის, აღტაცება გამოვხატო; საყვარელო, თქვენი მაშვალი ვიქნები... მე და ნიკოდიმ ალექსანდრიჩს ისე გვიყვარხართ... ხომ ნებას მოგვცემთ, ვაკურთხოთ თქვენი კანონიერი, წმინდა კავშირი? როდის, როდის იქორწინებთ?

— ამაზე არც მიფიქრია, — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ და ხელები გაითავისუფლა.

— შეუძლებელია! რა თქმა უნდა, იფიქრეთ! ხომ იფიქრეთ?

— ღმერთმანი, არ მიფიქრია, — გაეცინა ნადეჟდა ფედოროვნას, — ქორწინება რაში გვჭირდება? ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ისე ვიცხოვრებთ, როგორც ვცხოვრობდით.

— ამას რას ამბობთ! — შეშფოთდა მარია კონსტანტინოვნა. — ღმერთო, ამას რას მეუბნებით?!

— ქორწინება კარგს რას მოგვიტანს? პირიქით, ორივეს თავისუფლებას დაგვაკარგვინებს!

— საყვარელო! ჩემო კარგო, ამას ნუ იტყვით! — წამოიყვირა მარია კონსტანტინოვნამ, უკან დაიხია და ხელი ხელს შემოჰკრა. — თქვენ ექსტრავაგანტული ქალი ხართ! გონს მოდით! დაცხრით, დამშვიდდით!

— როგორ თუ დავცხრე? ჯერ ცხოვრება არ დამიწყია და

დაცხრითო, მეუბნები?

ნადეჟდა ფედოროვნას გაახსენდა, რომ ჯერ მართლაც არ უცხოვრია. ინსტიტუტი რომ დაამთავრა, მაშინვე უსიყვარულოდ გათხოვდა, მერე ლაევსკის შეეყარა და მას შემდეგ სულ აქ, მოსაწყენ, უდაბნოდქცეულ სანაპიროზე ცხოვრობდა რაღაც უკეთესის მოლოდინში. მაშ, ეს ცხოვრებაა?

"ისე კი, უნდა დავქორწინებულიყავი". — გაიფიქრა, მაგრამ წამსვე კირილინი და აჩმიანოვი გაახსენდა, გაწითლდა და თქვა:

— არა, შეუძლებელია. ივან ანდრეიჩმა მუხლმოყრილმა რომ მთხოვოს ხელი, მაშინაც უარზე დავდგები.

მარია კონსტანტინოვნა, დანაღვლიანებული და სერიოზული, ერთხანს ჩუმად იჯდა დივანზე და რაღაც წერტილს მიშტერებოდა, მერე ადგა და ცივად გამოსცრა:

— მშვიდობით, საყვარელო! მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. ეს ჩემთვის არც ისე ადვილია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დღეიდან ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია. ივან ანდრეიჩს ღრმა პატივსა ვცემ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი სახლის კარი თქვენთვის ჩაირაზა.

ეს რაღაც საზეიმოდ წარმოსთქვა და თვითონვე დაითრგუნა ამ საზეიმო კილოთი; სახე ისევ აუცახცახდა, რბილი, ნუშისებრი გამომეტყველება დაედო, შეშინებულ, გაწბილებულ ნადეჟდა ფედოროვნას ორივე ხელი გაუწოდა და ვედრებით უთხრა:

— ჩემო საყვარელო, ნება მიბოძეთ, ერთი წუთით გავხდე თქვენი დედა ან უფროსი და! დედასავით გულახდილად უნდა გითხრათ რაღაც.

ნადეჟდა ფედოროვნამ გულში ისეთი სითბო, სიხარული და თანაგრნობა იგრძნო, თითქოს დედა მართლა აღდგა და პირისპირ ედგა. სხარტად მოეხვია მარია კონსტანტინოვნას და სახით მხარზე მიეკრო. ორივე ატირდა. ისინი დივანზე დასხდნენ. ერთმანეთს არ უცქერდნენ, ერთი სიტყვის წარმოთქმაც კი არ შეეძლოთ, რამდენიმე წუთს ისე ზლუქუნებდნენ.

— საყვარელო, ჩემო შვილიკო, — დაიწყო მარია კონსტანტინ-ოვნამ. — ახლა უმოწყალო ჭეშმარიტებას გეტყვით; იცოდეთ, არ

დაგინდობთ!!

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ღვთის გულისათვის!

— მენდეთ, საყვარელო. აბა, გაიხსენეთ, აქაურ გათხოვილ ქალებს შორის მხოლოდ მე ერთი გღებულობდით სტუმრად. თქვენ პირველი შეხვედრისთანავე თავზარი დამეცით, მაგრამ მე არ შემეძლო სხვებივით უპატივცემულოდ მოგპყრობოდით. მე ვიტანჯებოდი კარგი, კეთილი ივან ანდრეიჩისათვის, როგორც საკუთარი ვაჟიშვილისთვის. ახალგაზრდა კაცია, უცხო ქვეყანაში, გამოუცდელი, სუსტი, უდედოდ... და ეს მტანჯავდა და მტანჯავდა... ჩემ ქმარს არ უნდოდა გაეცნო, მაგრამ ვაიძულე, დავიყოლიე, დავარწმუნე. ჩვენ კარი გავუღეთ ივან ანდრეიჩს და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, თქვენც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდა. მე მყავს ქალიშვილი, ბიჭიც... ხომ გესმით, ბავშვის ფაქიზი ტვინი, ალალი გული... "ხოლო ვინც ამ ერთს მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ..." კარი კი გაგიღეთ, მაგრამ ბავშვების გამო ვკანკალებდი. აი, დედა რომ გახდებით, მაშინ გაიგებთ ჩემ შიშს. ყველას უკვირდა, ისე რომ გიღებდით, როგორც, უკაცრავად, პატიოსან ქალს, ათასნაირ გადაკრულ სიტყვას მომაძახებდნენ ხოლმე... ჭორები და ჰიპოთეზები თავისთავად იგულისხმება. სულის სიღრმეში დაგძრახეთ და გაგკიცხეთ, მაგრამ ისეთი უბედური, საბრალო, ექსტრავაგანტული იყავით,რომ თქვენი ცოდვით ვიტანჯებოდი.

— კი, მაგრამ რატომ? რატომ? — იკითხა მთელი სხეულით აცახცახებულმა ნადეჟდა ფედოროვნამ.

— თქვენ საშინელი ცოდვა გადევთ. ქმრისთვის საკურთხეველთან მიცემული აღთქმა დაარღვიეთ. თქვენ შეაცდინეთ მშვენიერი ახალგაზრდა, რომელიც, შესაძლოა, თქვენ რომ არ შეგხვედროდათ, ცხოვრების კანონიერ მეგობრად თავის შესაფერ კარგ ოჯახის შვილს აირჩევდა და ყველასავით მშვიდად იცხოვრებდა, თქვენ მისი ახალგაზრდობა დაღუპეთ. ნურაფერს მეტყვით, ნურაფერს მეტყვით, საყვარელო! ვერ დამაჯერებთ, ჩვენ ცოდვებში კაცი იყოს დამნაშავე. დამნაშავე ყოველთვის ქალია. ოჯახურ ცხოვრებაში

კაცები ქარაფშუტები არიან, გონების კარნახით ცხოვრობენ და არა — გულის. ბევრი რამ არ ესმით. ქალებს კი ყველაფერი ესმით. და ამიტომაც ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. ქალს ბევრი მიეცემა, სამაგიეროდ, ბევრიც მოეთხოვება. ო, ჩემო კარგო, ამ თვალსაზრისით ქალი კაცზე უჭკუო და სუსტი რომ იყოს, ღმერთი ბიჭებისა და გოგონების აღზრდას არ დააკისრებდა. ამას გარდა, საყვარელო, თქვენ ცოდვის გზას დაადექით, ყოველგვარი სირცხვილი დაივიწყეთ; სხვა თქვენს ადგილას ხალხს მოერიდებოდა, იჯდებოდა კარჩაკეტილი და ძაძებით მოსილი, ფერმკრთალი და მტირალი მხოლოდ ღვთის სახლში ეჩვენებოდა ადამიანებს და ყოველი მათგანი გულწრფელი ჭმუნვით იღაღადებდა: "ღმერთო, ცოდვილი ანგელოზი ისევ გიბრუნდებაო..." თქვენ კი, ჩემო კარგო, დაივიწყეთ ყოველგვარი მოკრძალება, გულღიად, აშკარად ექსტრავაგანტულად ცხოვრობდით, თითქოს ცოდვით ამაყობდით, ნავარდობდით, ხარხარებდით; მე კი, თქვენი შემხედვარე, შიშისგან ვკანკალებდი და მეშინოდა, ცის რისხვა და მეხი არ დასცემოდა ჩვენ სახლს, როცა გვსტუმრობდით. ნურაფერს მეტყვით, საყვარელო, დადუმდით! — შესძახა მარია კონსტანტინოვნამ, როცა შეატყო, ნადეჟდა ფედოროვნას რაღაცის თქმა სურდა. — მენდეთ და არ მოგატყუებთ, თქვენი სულის მზერას არცერთ ჭეშმარიტებას არ დავუმალავ. ყური დამიგდეთ, ძვირფასო... ღმერთი ყოველთვის რაღაცით გამოარჩევს ხოლმე ცოდვილთა შორის ცოდვილებს. ღმერთს თქვენც გამორჩეული ჰყავხართ. გაიხსენეთ, თქვენ ყოველთვის საშინელი სამოსი გაცვიათ!

ნადეჟდა ფედოროვნამ, რომელსაც თავისი ტანსაცმელი ყოველთვის საუკეთესო და გემოვნებით შერჩეული ეგონა, ტირილი შეწყვიტა და სტუმარს გაკვირვებული მიაჩერდა.

— დიახ, საშინელი! — განაგრძო მარია კონსტანტინ-ოვნამ, — თქვენი სამოსის დახვეწილობითა და სიჭრელით ყველას შეუძლია დაასკვნას, რა ყოფაქცევისაა პატრონი. თქვენი შემხედვარე, ყველა დაგცინოდათ და მხრებს იჩეჩავდა, მე კი ისევ ვიტანჯებოდი და ვიტანჯებოდი... მომიტევეთ, ჩემო საყვარელო, მაგრამ უსუფთაო ხართ!! საცურაო დარბაზში რომ შევხვდით, გულმა კანკალი დამიწყო. ზედა კაბას, თითქოს, არა უშავდა რა,

მაგრამ ქვედატანი, პერანგი... საყვარელო, ახლაც კი ვწითლდები! საცოდავ ივან ანდრეიჩსაც არავინ უკრავს კოხტად ჰალსტუხს და თეთრეულსა და ჩექმებზე ეტყობა, რომ შინ იმ საწყალზე არავინ ზრუნავს. მერე... სულ მშიერია, ჩემო მტრედო, და თუ შინ არავინ არის სამოვარი გააჩაღოს ან ყავა მოხარშოს, გინდა თუ არა, ნახევარ ხელფასს პავილიონში მიაჭყლიტავ. ახლა აქაურობას გადახედეთ. საშინელებაა, საშინელება! სანთლით რომ ეძებო, მთელ ქალაქში ბუზს ვერ ნახავ, თქვენთან კი ლამის შეგვჭამონ ბუზებმა. ყველა ლამბაქი და თეფში შავია. ფანჯრის რაფებზე და მაგიდებზე, შეხედეთ, მტვერი, მკვდარი ბუზები და ჭიქებია. რა უნდა აქ ჭიქებს? და, ჩემო კარგო, აქამდე მაგიდა არ აგილაგებიათ. საძილე ოთახში რომ შეხვიდე, შეგრცხვება: ყველგან თეთრეული ყრია, კედლებზე ეგ თქვენი ნაირნაირი კაუჩუკები ჰკიდია, რაღაც ჭურჭელი ალაგია... საყვარელო! ქმარმა ვერც უნდა შეგამჩნიოს, ისე ანგელოზივით სუფთა და წკრიალა უნდა გამოეცხადო! ყოველ სისხამ დილით, ინათებს თუ არა, ვდგები, სახეს ცივი წყლით ვიბან, ჩემმა ნიკოდიმ ალექსანდრიჩმა ნამძინარევი თვალები რომ არ შემამჩნიოს.

— ეგ არაფერია, მოგვარდება, — ატირდა ნადეჟდა ფედორ-ოვნა. — მოგვარდება, ბედნიერი რომ ვიყო, მაგრამ ისეთი უბედური ვარ!...

— დიახ, დიახ, ძალიან უბედური ხართ! — ამოიოხრა მარია კონსტანტინოვნამ და ცრემლი ძლივს შეიკავა. — და მომავალშიც საშინელი სიმწარე გელით! მარტოხელა სიბერე, ავადმყოფობა და მერე — განკითხვის დღე... საშინელებაა, საშინელება! ახლა... ახლა თვითონ ბედისწერა დახმარების ხელს გიწვდით და თქვენ კი უგუნურად ხელსა ჰკრავთ, უარყოფთ. დაქორწინდით, დაქორწინდით, სასწრაფოდ ჯვარი დაიწერეთ!

— დიახ, დიახ, მართალია, საჭიროა, — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ. — მაგრამ შეუძლებელია!

— კი, მაგრამ რატომ?

— შეუძლებელია! ოხ, ყველაფერი რომ იცოდეთ...

ნადეჟდა ფედოროვნას უნდოდა ეთქვა კირილინზე და იმაზეც, გუშინ საღამოს ნავმისადგომზე ახალგაზრდა, ლამაზ აჩმიანოვს რომ

შეხვდა; უნდოდა ეთქვა, როგორ მოუვიდა გიჟური, სასაცილო აზრი სამასმანეთიანი ვალისაგან ეხსნა თავი. ეს ძალიან ახალისებდა, შინაც გვიან საღამოს დაბრუნდა, თუმცა საბოლოოდ ზნედაცემულ და გარყვნილ ქალად მიაჩნდა თავი. თვითონაც არ იცოდა, ეს როგორ მოხდა. და ახლა მოუნდა მარია კონსტანტინოვნასთვის ფიცი მიეცა, რომ ვალს აუცილებლად დაუბრუნებდა... მაგრამ ქვითინი და სირცხვილი ხელს უშლიდა, ეთქვა ეს...

— წავალ, აქედან გავემგზავრები. — თქვა მან. — ივან ანდრეიჩი დარჩეს, მე გავემგზავრები.

— სად?

— რუსეთში.

— მერე, იქ რითი იცხოვრებთ? თქვენ ხომ არაფერი გაბადიათ.

— მთარგმნელად ვიმუშავებ ან... ბიბლიოთეკას გავხსნი.

— ფანტაზიებს შეეშვით, ჩემო კარგო. ბიბლიოთეკას ფული სჭირდება. კარგი, ახლა დაგტოვებთ, თქვენ კი დამშვიდდით და იფიქრეთ. ხვალ მხიარულსა და მშვიდს გელოდებით. ეს გადასარევი იქნება! აბა, ნახვამდის, ჩემო ანგელოზო. მოდი, გაკოცებთ.

მარია კონსტანტინოვნამ ნადეჟდა ფედოროვნას შუბლზე აკოცა, პირჯვარი გადასწერა და ჩუმად გავიდა. უკვე ბნელდებოდა და ოლგამ სამზარეულოში ცეცხლი დაანთო. ნადეჟდა ფედოროვნამ ტირილით მიაშურა საძილე ოთახს და ლოგინზე წამოწვა. აკანკალდა, ძლიერმა ციებამ დარია ხელი. წამოწოლილმა გაიხადა კაბა, ფეხებთან ჩაიჭყლიტა და საბნის ქვეშ გორგალივით მოიკუნტა. სწყუროდა, მაგრამ არავინ იყო წყლის მიმწოდებელი.

— დავუბრუნებ! — უძახდა საკუთარ თავს, აბოდებდა და ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც ავადმყოფს სასთუმალთან უჯდა და ეს ავადმყოფი თვითონ იყო. — დავუბრუნებ. სისულელეა იმის გაფიქრებაც კი, თითქოს ფულის გულისთვის... პეტერბურგს რომ გავემგზავრები, იქიდან გამოვუგზავნი. ჯერ ასს... მერე ასს... და კიდევ – ასს.

ლაევსკი გვიან ღამით მოვიდა.

— ჯერ ასს... — უთხრა მას ნადეჟდა ფედოროვნამ, — მერე ასს...

— ქინაქინა მაინც დაგელია, — უთხრა ლაევსკიმ და გაიფიქრა:

”ხვალ ოთხშაბათია, გემი გადის და მე არ მივემგზავრები. ესე იგი, აქ ცხოვრება შაბათამდე მომიწევს”.

ნადეჟდა ფედოროვნამ ლოგინში მუხლებზე წამოიჩოქა.

— ახლახანს რამე გითხარი? — იკითხა გაღიმებულმა, თან სანთლის ალზე თვალებს ჭუტავდა.

— არა. ხვალ დილით ექიმს მოგიყვან. დაიძინე.

ბალიში აიღო და კარისკენ გაეშურა. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გადაწყვიტა გამგზავრებულიყო და ნადეჟდა ფედოროვნა მიეტოვებინა, ეს ქალი მასში სიბრალულს და თან დანაშაულის შეგრძნებას იწვევდა. მისი სიახლოვე სინიდისს უქენჯნიდა, თითქოს იდგა დაავადებულ, ბებერ ცხენთან, რომელიც უნდა მოკლან. ის კართან შეჩერდა და ქალს მოხედა.

— პიკნიკის დროს გაღიზიანებული ვიყავი და უხეშად მოგმართე. ღვთის გულისათვის, მომიტევე.

ეს რომ თქვა, თავის კაბინეტში შევიდა, დაწვა და დიდხანს ვეღარ დაიძინა.

მეორე დღეს, დილით, როცა, უქმე დღის გამო ეპოლეტებიან, ორდენებიან, სრულ საპარადო ფორმაში გამოწკეპილ სამოილენკოს, ნადეჟდა ფედოროვნას პულსი და ენა რომ გაუსინჯა და საძილე ოთახიდან გამოვიდა, ლაევსკი დახვდა და განგაშით ჰკითხა:

— აბა, როგორ არის საქმე?

მისი სახე შიშს, უკიდურეს ნერვიულობასა და იმედს გამოხატავდა.

— დამშვიდდი, საშიში არაფერია, — უპასუხა სამოილენკომ. — ჩვეულებრივი ციებ-ცხელებაა.

— მაგას არ გეკითხები, — მოუთმენლად დაიჭმუჭნა ლაევსკი. — ფული იშოვე?

— ჩემო სულიკო, მაპატიე, — წაიჩურჩულა სამოილენკომ, თან გაწბილებული საძილე ოთახის კარს უცქერდა. — ღვთის გულისათვის, მაპატიე! თავისუფალი ფული არავის აღმოაჩნდა. ხუთ-ხუთ და ათ-ათ მანეთობით შევაგროვე, სულ – ასათი. დღესაც ვიღაც-ვიღაცებს დაველაპარაკები. მოითმინე.

— ბოლო ვადა შაბათია! — ჩურჩულითვე უპასუხა ლაევსკიმ, თან მოუთმენლობისგან ცახცახებდა. — ყველა წმინდანს გავედრებ,

შაბათამდე გიცდი. შაბათს თუ არ გავემგზავრე, აღარაფერი აღარ მჭირდება... აღარაფერი! არ მესმის, ექიმს ფული როგორ არ უნდა ჰქონდეს!

— ო, ღმერთო, ყველაფერი შენი ნებაა, — სწრაფად და დაძაბულად აჩურჩულდა სამოილენკო, თითქოს ყელში რაღაცამ დაიწრიპინა კიდეც. — რაც მქონდა, დაირიგეს. ჩემი შვიდი ათასი მართებთ, მე კი ყველას ვალში ვარ. აბა, მე რა დამნაშავე ვარ?

— ესე იგი, შაბათამდე მიშოვნი, ხომ?

— ვეცდები.

— გევედრები, ჩემო კარგო! პარასკევს, დილით, ფული ხელში უნდა მქონდეს.

სამოილენკო დაჯდა და გამოწერა: ქინაქინის ხსნარი, kalii bromate, რევენდის ნაყენი, tinetuzae gentianae, aquae fieniculi – ყველაფერი ერთ მიქსტურაში, დაუმატა ვარდის სიროფი, მწარე რომ არ ყოფილიყო და წავიდა.

თავი XI

— ისე შემოხვედი, თითქოს ჩემს დაპატიმრებას აპირებ, — თქვა ფონ კორენმა, საპარადო ფორმაში გამოწყობილი სამოილენკო რომ დაინახა.

— ახლოს ჩავიარე და ვიფიქრე: მოდი, შევალ, ზოოლოგიას მოვინახულებ - მეთქი. — უპასუხა სამოილენკომ და მიუჯდა დიდ მაგიდას, ზოოლოგს თავისი ხელით უბრალო ფიცრებისგან რომ შეეკრა. — გამარჯობა, წმინდაო მამაო! — თავი დაუკრა დიაკვანს, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და რაღაცას იწერდა. — ერთ წუთს ჩამოვჯდები და მერე სადილის თადარიგის დასაჭერად შინ უნდა გავქანდე; დროა... ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— სრულიადაც არა, — უპასუხა ზოოლოგმა, თან მაგიდაზე წვრილი ასოებით ნაწერ ქაღალდებს აწყობდა. — მიმოწერას ვაწესრიგებთ.

— კარგია... ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... — ამოიოხრა სამოილენკომ; მაგიდაზე დაგდებული მტვრიანი წიგნი მიიწია.

წიგნზე გამხმარი მკვდარი ფალანგი იდო. — იცით, რა მაინტერესებს? წარმოვიდგინოთ, რაღაცნაირი მწვანე ხოჭო თავის საქმეებზე მიდის. უცებ, გზაზე ასეთი ფალანგისნაირი ანათემა თუ შეჩვენება შეხვდა. ხომ გაგიჟდება!

— წარმომიდგენია, რა დღეშიც ჩავარდება.

— მაგათ შხამი იმისთვის მიეცათ, რომ მტრისგან დაიცვან თავი, არა?

— დიახ. თავდასაცავად და, აგრეთვე, თავდასასხმელად.

— ასე... ასეეე... ბუნებაში ყველაფერი, ჩემო კარგებო, მიზანშეწონილი და ადვილად ასახსნელია. — ამოისუნთქა სამოილენკომ. — მხოლოდ იცით, რა არ მესმის. აი, შენ, უდიდესი გონების პატრონო, ამიხსენი, თუ შეიძლება: ხომ არიან პაწია მხეცები, ვირთხებზე პატარები, ლამაზები, მაგრამ უაღრესად, გეტყვი მე შენ, საზიზღარი და უზნეო. ვთქვათ, მიდის ეს მხეცი ტყეში და დაინახა ჩიტი, მივარდა, დაიჭირა და შეჭამა. გზა განაგრძო. ბალახებში დაინახა კვერცხებით სავსე ბუდე; შიმშილით აღარა შია, მაძღარია, მაგრამ ერთ კვერცხს მაინც ჩაკბიჩავს და დანარჩენებს თათით ბუდიდან გადმოყრის. მერე ბაყაყს შეხვდება და ათამაშებს; მიასიკვდილებს და ტუჩების ლოკვით გზას განაგრძობს. ახლა ხოჭო შემოხვდება. თათს მოუქნევს და... ერთი სიტყვით, გზაზე ყველაფერს ანგრევს და აფუჭებს. სხვის სოროში ძვრება, ჭიანჭველების ბუდეს უმიზეზოდ გადათხრის, ლოკოკინებს ახრამუნებს... ვირთხა თუ შეხვდა, ებრძვის; თაგვსა და გველს თუ ნახავს, უნდა მიახრჩოს. და ასეა მთელი დღე. ერთი მითხარი, რა საჭიროა ასეთი მხეცი? რისთვის შექმნა უფალმა?

— არ ვიცი, რომელ მხეცზე ლაპარაკობ, — უპასუხა ფონ კორენმა, — ალბათ, რომელიმე მწერიჭამიაზე. ახლავე მოგახსენებ. ჩიტი იმიტომ შემოეჭამა, რომ იმ უბედურმა სიფრთხილე დაივიწყა; კვერცხებიანი ბუდე იმიტომ დაანგრია, რომ ფრინველი დახელოვნებული არ იყო, ბუდე უხეიროდ ააშენა და ვერ შეძლო, რიგიანად შეენიღბა; ბაყაყს, ალბათ, შეფერილობაში ჰქონდა რაიმე ზადი, თორემ ვერ დაინახავდა და ასე შემდეგ. ეგ შენი ნადირი ანადგურებს მხოლოდ სუსტებს, სიფრთხილეს მოკლებულებს,

გაუწაფავ, ერთი სიტყვით, ისეთ ნაკლიანებს, რომლის გადაცემაც შთამომავლობისათვის ბუნებას საჭიროდ არ მიაჩნია. ცოცხლად რჩებიან მხოლოდ უფრო მოხერხებულები, ფრთხილი, ძლიერი და განვითარებულები. ასე და ამგვარად, შენი მხეცუნა, ეს ფიქრადაც რომ არ მოსდის, სრულყოფილებას ქმნის, უდიდეს მიზნებს ემსახურება.

— გასაგებია... სიტყვამ მოიტანა და, ძმაკაც, — თამამად წამოიძახა სამოილენკომ, — ერთი... ასი მანეთი მასესხე.

— კარგი. მწერიჭამიათა შორის საკმაოდ საინტერესო სუბიექტები გვხვდებიან. მაგალითად, თხუნელა. თხუნელაზე ამბობენ, დიდი სარგებელი მოაქვს, რადგანაც მავნე მწერებს ანადგურებსო. ჰყვებიან, თითქოს ვიღაც გერმანელს იმპერატორ ვილჰელმ პირველისათვის თხუნელის ტყავებისგან შეკერილი ქურქი გაუგზავნია. იმპერატორს უბრძანებია, მავანს საყვედური გამოუცხადეთ იმისთვის, ამდენი მარგებელი ცხოველი რომ გაუნადგურებიაო. სხვათა შორის, თხუნელა იმ შენს მხეცს სისასტიკეში არაფრით ჩამოუვარდება. და ძალიანაც მავნეა, რადგანაც ველ-მინდვრებს საშინლად აფუჭებს.

ფონ კორენმა ზარდახშა გახსნა და ასმანეთიანი ამოიღო.

— თხუნელას ღამურასავით ძლიერი გულმკერდი აქვს. — განაგრძო მან და ზარდახშა ჩაკეტა. — ძლიერ განვითარებული კუნთები და ძვლები, არაჩვეულებრივად შეიარაღებული პირი. სპილოსხელა რომ იყოს, ყოველივეს შემმუსვრელი და დაუმარცხებელი ცხოველი იქნებოდა. საინტერესო რამე უნდა გითხრათ: როცა მიწისქვეშ ორი თხუნელა შეხვდება, ორივე, თითქოს მოილაპარაკესო, მოედნის თხრას იწყებს. ეს მოედანი სჭირდებათ იმისთვის, რომ მარჯვედ შეებრძოლონ ერთმანეთს. როგორც კი მოედანს მოამზადებენ, სასტიკ ბრძოლას იწყებენ და მანამ იბრძვიან, ვიდრე სუსტი არ დაეცემა. გამომართვი ეს ასი მანეთი, — ხმა შეარბილა ფონ კორენმა, — მაგრამ იმ პირობით, თუ ლაევსკისთვის არ გინდა.

— თუნდაც ლაევსკისთვის მინდოდეს, — აენთო სამოილენკო, — რა შენი საქმეა?

— ლაევსკისთვის ვერ მოგცემ, არ შემიძლია. ვიცი, ფულის გასესხება რომ გიყვარს. შენ იმ ყაჩაღ ქერიმსაც კი ასესხებ, რომ გთხოვოს, მაგრამ, მაპატიე, ამ მიმართულებით ვერ დაგეხმარები, არ შემიძლია.

— დიახ, ლაევსკისთვის მინდა! — თქვა სამოილენკომ, ადგა და მარჯვენა ხელი აიქნია. — დიახ! ლაევსკისთვის გთხოვ! და არც ეშმაკს და არც დემონს არა აქვს უფლება, მასწავლოს, როგორ მოვექცე საკუთარ ფულს. თქვენ არა გნებავთ მომცეთ? არ გნებავთ?

დიაკვანი ახარხარდა.

— ნუ ცხარობ, მშვიდად განსაჯე. — უპასუხა ზოოლოგმა. — მწყალობლად მოევლინო ბატონ ლაევსკის, ჩემის აზრით, ისეთივე უგუნურებაა, როგორც სარეველა ბალახის მორწყვა და კალიების გამოკვება.

— ჩემი აზრით კი, ვალდებულნი ვართ მოყვასს ხელი გავუმართოთ? — იყვირა სამოილენკომ.

— თუ ასეა, ღობის ძირას რომ გდია, იმ მშიერ თურქს დაეხმარე! ეს მუშა კაცია, შენს ლაევსკიზე უფრო საჭირო. ამას მიეცი ეგ ასი მანეთი ან ექსპედიციის საჭიროებისათვის მე შემომწირე.

— გეკითხები, მომცემ თუ არა?

— გულწრფელად მითხარი: რად უნდა?

— საიდუმლო არ არის. შაბათს პეტერბურგს უნდა გამგზავრება.

— რას მეუბნები! — გააბა ფონ კორენმა. — აჰა... გასაგებია. ის ქალიც მიჰყავს, თუ?

— ჯერჯერობით, დარჩება. პეტერბურგში თავის საქმეებს მოაწყობს თუ არა, ფულს გამოუგზავნის და მაშინ გაემგზავრება.

— ყოჩაღ! — თქვა ზოოლოგმა და ტენორივით მოკლედ გაიცინა. — ყოჩაღ! მარჯვედ მოუფიქრებია.

ის სწრაფად მიეჭრა სამოილენკოს, პირისპირ დაუდგა და თვალი თვალში გაუყარა.

— გულწრფელად მითხარი: შეიძულა? ასეა? მითხარი: შეიძულა? ხომ ასეა?

— ჰო. — ამოშაქრა სამოილენკომ და გაოფლიანდა.

— რა სისაძაგლეა, საზიზღრობა! — თქვა ფონ კორენმა და სახეზეც

აღებეჭდა ეს ზიზღი. — ორიდან ერთია, ალექსანდრ დავიდიჩ, ან მასთან შეთქმული ხარ ან დოყლაპია. ნუთუ არ გესმის, რომ პატარა ბიჭივით უნამუსოდ გაბრიყვებს. დღესავით ნათელია, რომ ქალის მოშორება და აქ დაგდება სურს. შენს კისერზე სტოვებს. დღესავით ნათელია, რომ შენ მოგიწევს შენივე ხარჯით პეტერბურგს გაამგზავრო. ნუთუ შენმა მშვენიერმა მეგობარმა თავისი ღირსებებით ისე დაგაბრმავა, რომ სულ უბრალო, მარტივ რაღაცას ვერ ხვდები?

— ეგ მხოლოდ ვარაუდია. — თქვა სამოილენკომ და დაჯდა.

— ვარაუდი? მაშ, მარტო რატომ მიდის და არა ქალთან ერთად? ერთი ჰკითხე. ჯერ ქალს რატომ არ უშვებს და მერე თვითონ არ მიდის? გაიძვერა, გაქნილი!

თავისი მეგობრის გამო მოულოდნელად შეჭოჭმანებული და დაეჭვებული, დათრგუნული სამოილენკო დაცხრა და ხმას დაუწია.

— ეგ შეუძლებელია! — თქვა მან და ის ღამე გაახსენდა, ლაევსკიმ მასთან რომ გაათენა. — ძალიან იტანჯება!

— მერე რა? ქურდები და ყაჩაღებიც იტანჯებიან!

— დავუშვათ, მართალი ხარ. — თქვა დაფიქრებულმა სამოილენკომ. — დავუშვათ... ის ხომ ახალგაზრდაა, უცხო მხარეშია... სტუდენტია, ჩვენც ხომ სტუდენტები ვიყავით. აქ, ჩვენს გარდა, ვერავინ დაეხმარება.

— საზიზღრობის ჩადენაში დაეხმარო მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა დროს უნივერსიტეტში იყავით და არაფერს აკეთებდით? ამაზე დიდი სისულელე გაგონილა?

— მოიცა, მოდი, მშვიდად განვსაჯოთ. იმედი მაქვს, შესაძლოა, ასე მოვიქცეთ... — მსჯელობდა სამოილენკო და თითებს ათამაშებდა. — მე, ხომ გესმის, ფულს მივცემ, მაგრამ პატიოსანი, კეთილშობილი კაცის სიტყვას ჩამოვართმევ, რომ ერთი კვირის თავზე ნადეჟდა ფედოროვნას გზის ფულს გამოუგზავნის.

— მერე? პატიოსან სიტყვასაც მოგცემს, აცრემლდება კიდეც და საკუთარ ნათქვამსაც დაიჯერებს, მაგრამ რად გინდა? რა ფასი აქვს მის სიტყვას? დანაპირებს, რა თქმა უნდა, არ შეასრულებს და როცა ერთი-ორი წლის შემდეგ ნევის პროსპექტზე შეხვდები,

აუცილებლად შემდეგ საყვარელთან ერთად, თავს იმით გაიმართლებს, რომ ცივილიზაციამ დაგვამახინჯა და რუდინის ჩამონატეხი ვარო. შეეშვი, თუ ღმერთი გწამს! მოშორდი მაგ სიბინძურეს და ორივე ხელით ნუ იქექები შიგ!

სამოილენკო წუთით დაფიქრდა და გადაწყვეტით თქვა:

— ფულს მაინც მივცემ. შენ როგორც ინებებ, ისე მოიქეცი!! მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე კაცს უარს ვერ ვეტყვი.

— საუცხოოა! აკოცე, არ დაგავიწყდეს.

— ბარემ მომეცი ასი მანეთი, — მოკრძალებით ითხოვა სამოილენკომ.

— არ მოგცემ.

სიჩუმე ჩამოვარდა. სამოილენკო სულ მოდუნდა: სახეზე დამნაშავის, მოლაქუცის, პირფერის გამომეტყველება დაედო. როგორღაც უცნაურად მოჩანდა ეს საცოდავი, ბავშვურად შემცბარი სახე ამ ეპოლეტებიან, ორდენებიან უზარმაზარ კაცს რომ ჰქონდა.

— აქაური უსამღვდელოესობა თავის ეპარქიას კარეტით კი არა, ცხენზე ამხედრებული მწყემსავს, — თქვა დიაკვანმა და კალამი დადო, — ცხენზე შემჯდარი უკიდურესად გულისამაჩუყებელი სანახავია. მისი უბრალოება და თავმდაბლობა ბიბლიური სიდიადით არის სავსე.

— კარგი ადამიანია? — იკითხა საუბრის თემის შეცვლით გახარებულმა ფონ კორენმა.

— აბა, რა! კარგი რომ არ იყოს, არქიელად ვინ აკურთხებდა?

— არქიელებს შორისაც არიან კარგები და ნიჭიერები. — თქვა ფონ კორენმა, — დასანანი ის არის, ბევრ მათგანს ერთი ნაკლი გააჩნია — სახელმწიფო მოღვაწედ მოაქვს თავი. ერთი გარუსებას ემსახურება, მეორე მეცნიერებას აკრიტიკებს. ეს მათი საქმე არ არის. აჯობებს, კონსისტორიაში უფრო ხშირად ჩაიხედონ.

— საერო კაცს არქიელის განსჯა არ შეუძლია.

— რატომ, დიაკვანო, რატომ? არქიელიც ისეთივე ადამიანია, როგორც მე.

— ისეთივეა და არც არის, — იწყინა დიაკვანმა და კალამს წაავლო ხელი. — ისეთივე რომ იყოთ, თქვენზე ღვთის წყალობა

გადმოვიდოდა და არქიელი თქვენ იქნებოდით და რადგანაც არქიელი არა ხართ, ესე იგი, ისეთივეც ვერ იქნებით.

— ნუ გააბი, დიაკვანო! — თქვა სევდიანად სამოილენკომ. — მომისმინე, აი, რა მოვიფიქრე, — მიმართა ფონ კორენს. — შენ მე იმ ას მანეთს ნუ მომცემ. შენ ზამთრამდე კიდევ სამ თვეს ისადილებ ჩემთან, ჰო და, წინასწარ გადამიხადე იმ სამი თვისა.

— არ მოგცემ.

სამოილენკომ თვალები აახამხამა და გაწითლდა; ფალანგიანი წიგნი მექანიკურად, ანგარიშმიუცემლად, უნებლიედ თავის მხარეს მიიწია, დახედა, მერე ადგა და ქუდს წაავლო ხელი. ფონ კორენს შეეცოდა.

— მოდი, ახლა, იცხოვრე და საქმე აკეთე ასეთ ბატონებთან ერთად! — თქვა ფონ კორენმა და გაბრაზებულმა კუთხეში ფეხი წაჰკრა რაღაც ქაღალდს. — შეიგნე, რომ ეს არც სიკეთეა, არც სიყვარული, არამედ ეს არის სულმოკლეობა, გარყვნილება და საწამლავი! რასაც გონება აშენებს, თქვენი დონდლო, არაფრის მაქნისი გულები ანგრევენ! გიმნაზიაში მუცლის ტიფი დამემართა. დეიდაჩემმა სიყვარულისა და თანაგრძნობის გამო მარინადში ჩადებული სოკოთი გამაძღო და კინაღამ მოვკვდი. შეიგნეთ შენცა და დეიდაჩემმაც, რომ სიყვარული არც გულშია, არც გულის კოვზის ქვეშ და არც წელში! აი, აქ არის!

ფონ კორენმა ხელი შუბლზე მიირტყა.

— აიღე! — სთქვა მან და ასმანეთიანი ისროლა.

— ტყუილად ბრაზობ, კოლია, — წყნარად თქვა სამოილენკომ და ფული დაკეცა. — შენი კარგად მესმის, მაგრამ... ჩემს მდგომარეობაშიც ხომ უნდა შეხვიდე, მეც ხომ უნდა გამიგო.

— ბებერი დედაკაცი ხარ, აი, რას გეტყვი!

დიაკვანი ახარხარდა.

— ყური მიგდე, ალექსანდრ დავიდიჩ, ეს ჩემი ბოლო თხოვნაა! — მხურვალედ წარმოსთქვა ფონ კორენმა. — იმ არამზადას ფულს რომ მისცემ, ასეთი პირობა შესთავაზე: ან თავის ქალბატონიანად გაემგზავროს, ან ჯერ ქალი გაუშვას, ისე ფულს ნუ მისცემ. არ მოგერიდოს. ზუსტად ასე უთხარი და თუ არ

ეტყვი, მაშინ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, მივალ მასთან და ყველას თვალწინ კიბეზე დავაგორებ; შენ კი ხმას აღარ გაგცემ, დაგკარგავ, იცოდე! ეს გაითვალისწინე.

— თუ ერთად გაემგზავრებიან ან ჯერ ქალს გაუშვებს, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება. — თქვა სამოილენკომ. — ალბათ, გაეხარდება კიდეც. აბა, წავედი, ნახვამდის.

სამოილენკო ნაზად გამოემშვიდობა ორივეს და კარისკენ წავიდა, მაგრამ ვიდრე კარს მიხურავდა, ფონ კორენს მიუბრუნდა და საზარელი სახით უთხრა:

— ეს, შენ, ძმაკაც, გერმანელებმა გაგაფუჭეს! დიახ! გერმანელებმა.

თავი XII

მეორე დღეს, ხუთშაბათს, მარია კონსტანტინოვნა თავისი შვილის კოსტიას დაბადების დღეს ზეიმობდა. ღვეზელის საჭმელად ყველა შუადღისას იყო დაპატიჟებული, საღამოს კი – შოკოლადის დასალევად. საღამოს, როცა ლაევსკი და ნადეჟდა ფედოროვნა მოვიდნენ, ფონ კორენმა, რომელიც უკვე სასტუმრო ოთახში იჯდა და შოკოლადს მიირთმევდა, სამოილენკოს ჰკითხა:

— ელაპარაკე?

— ჯერ არა.

— ნუ ერიდები, ხომ გაგაფრთხილე! ამ ბატონების სითავხედე ვერ გამიგია! მშვენივრად იციან ამ ოჯახის აზრი მათ თანაცხოვრებაზე და მაინც ეტენებიან.

— ყველა ცრურწმენას თუ გაითვალისწინებ, — თქვა სამოილენ-კომ. — ვეღარსად წასულხარ და ეგ არის!

— ხალხის სიძულვილი უქორწინო სიყვარულისა და გარყვნილების მიმართ ცრურწმენაა?

— აბა, რა! ცრურწმენა და მოძულეობაა. ჯარისკაცები, როგორც კი მსუბუქი ყოფაქცევის ქალს დაინახავენ, ახარხარდებიან და უსტვენენ. ერთი უნდა ვიკითხო, თვითონ ვინ არიან?

— ტყუილად უსტვენენ. ის, რომ ეგ გომბიოები თავის უკანონოდ შობილ შვილებს გუდავენ და კატორღაში მიდიან; ის, რომ

ანა კარენინა მატარებელს ჩაუვარდა; ის, რომ სოფლებში მათ ჭიშკრებს კუპრით თხუპნიან; ის, რომ მე და შენ, უცნობია, რატომ, მაგრამ მაინც მოგვწონს კატიას სიწმინდე; ის, რომ თითოეული ჩვენგანი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გრძნობს ამაღლებული სიყვარულის აუცილებლობას, თუმცა იცის, რომ ასეთი სიყვარული არ არსებობს, — ნუთუ ეს ყველაფერი ცრურწმენაა? ეს, ძმაო, ერთადერთია, რაც ბუნებრივ შერჩევას გადაურჩა და რომ არ არსებობდეს ეს შავი ძალა, რომელიც სქესთა ურთიერთობას აწესრიგებს, ბატონი ლაევსკები გიჩვენებდნენ სეირს და კაცობრიობაც ორიოდ წელიწადში გადაშენდებოდა.

ლაევსკი სასტუმრო ოთახში შევიდა, ყველას მიესალმა, ფონ კორენს ხელი ჩამოართვა და პირფერულად გაუღიმა. ხელსაყრელი წუთი როგორც კი დადგა, სამოილენკოს მიმართა:

— მომიტევე, ალექსანდრ დავიდიჩ, ორიოდ სიტყვა მინდა გითხრათ.

სამოილენკო წამოდგა, წელზე ხელი შემოხვია და ორივენი ნიკოდიმ ალექსანდრიჩის კაბინეტში შევიდნენ.

— ხვალ პარასკევია... — ფრჩხილების კვნეტით წარმოთქვა ლაევსკიმ. — იშოვე, რასაც დამპირდი?

— მხოლოდ ორას ათი ვიშოვე. დანარჩენს დღეს ან ხვალ ვიშოვი. მშვიდად იყავი.

— მადლობა ღმერთს!... — ამოისუნთქა ლაევსკიმ და სიხარულით ხელები აუკანკალდა. — შენ მე გადამარჩენ, ალექსანდრ დავიდიჩ. ღმერთს, ჩემს ბედ-იღბალს, რასაც გინდა გეფიცები, რომ ამ ფულს ჩასვლისთანავე გამოგიგზავნი. ძველ ვალსაც, რა თქმა უნდა.

— აი, რას გეტყვი, ვანია... — თქვა სამოილენკომ, ღილზე წაეთამაშა და გაწითლდა. — მაპატიე, შენს ოჯახურ საქმეებში რომ ვერევი, მაგრამ... რატომ ერთად არ გაემგზავრებით?

— უცნაური ვინმე ხარ... ეგ როგორ შეიძლება! ერთ-ერთი ჩვენთაგანი აუცილებლად უნდა დარჩეს, თორემ კრედიტორები გაგიჟდებიან. სავაჭროებისა და დუქნების შვიდას მანეთამდე ვალი მაქვს, მეტი თუ არა. მოითმინე, ამათ ფულს გამოვუგზავნი, პირს ამოვუკერავ და მერე ისაც გამოემგზავრება აქედან.

— ასე?.. კი, მაგრამ მაშინ ჯერ ნადეჟდა გაუშვი!

— ოხ, ღმერთო ჩემო, ეგ შეუძლებელია! — შეძრწუნდა ლაევსკი. — ქალია, იქ მარტომ რა უნდა აკეთოს? რა იცის? ეგ მხოლოდ დროის დაკარგვა და ფულის ზედმეტი ხარჯვაა და მეტი არაფერი.

"მართალია"... — გაიფიქრა სამოილენკომ, მაგრამ ფონ კორენთან ნათქვამი გაახსენდა, თავი დახარა და კუშტად გამოსცრა:

— ვერ დაგეთანხმები. ან ერთად გაემგზავრეთ, ან ჯერ ქალი გაუშვი, თორემ... თორემ ფულს არ მოგცემ. ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა...

სამოილენკომ დაიხია, ზურგით კარს მიეჯახა და აჭარხლებული და ძალზე შემცბარი სასტუმრო ოთახში გავიდა.

"პარასკევი... პარასკევი, — ფიქრობდა ლაევსკი, სასტუმრო ოთახში რომ ბრუნდებოდა. — პარასკევი..."

მას ჭიქით შოკოლადი მიართვეს. ცხელმა შოკოლადმა ტუჩები და ენაც დაუფუფქა, მაგრამ მაინც ფიქრობდა:

"პარასკევი... პარასკევი..."

სიტყვა "პარასკევი" რატომღაც არ სცილდებოდა თავიდან, პარასკევის გარდა სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა და მისთვის ცხადი იყო, მაგრამ თავში კი არა, სადღაც, გულის მიდამოებში, რომ შაბათს ვერ გაემგზავრებოდა. მის წინ იდგა აკურატული, საფეთქლებზე თმებგადავარცხნილი ნიკოდიმ ალექსანდრიჩი და სთხოვდა:

— მიირთვით, უმორჩილესად გთხოვთ...

მარია კონსტანტინოვნა სტუმრებს კატიას ნიშნებს უჩვენებდა და ტკეპნით ამბობდა:

— ახლა საშინლად, საშინლად გაძნელდა სწავლა! ძალზე ბევრს ითხოვენ...

— დედა! — კვნესოდა კატია და არ იცოდა, სად დამალვოდა სირცხვილსა და ქებას.

ლაევსკიმაც ჩახედა ნიშნებს და შეაქო. საღმრთო რჯული, რუსული ენა, ყოფაქცევა, ხუთები და ოთხები აუთამაშდა თვალებში. ეს ყველაფერი ერთად და აკვიატებული პარასკევი, საფეთქლებზე თმებგადაგლესილი ნიკოდიმ ალექსანდრიჩი, წითელლოყებიანი

კატია, ისეთ უშველებელ, უსაზღვრო, დაუმარცხებელ მოწყენილობად წარმოუდგა, რომ სასოწარკვეთილმა კინაღამ იყვირა და საკუთარ თავს ჰკითხა: "ნუთუ, ნუთუ ვერ გავემგზავრები?"

ლომბერის ორი მაგიდა მიადგეს და ფოსტის სათამაშოდ დასხდნენ. ლაევსკიც დაჯდა.

"პარასკევი... პარასკევი... — ფიქრობდა ის, იღიმებოდა და ჯიბიდან ფანქარს იღებდა. — პარასკევი..."

სურდა საკუთარი მდგომარეობა აეწონ-დაეწონა, მაგრამ ფიქრისა ეშინოდა. მას ეშინოდა ეღიარებინა, რომ ექიმმა გამოიჭირა ტყუილში, რომელსაც ასე დიდხანს და გულმოდგინედ უმალავდა საკუთარ თავს. ყოველთვის, როცა მომავალზე ფიქრობდა, საკუთარ აზრებს სრულ თავისუფლებას არ ანიჭებდა. ჩაჯდება ვაგონში და გაემგზავრება – აქ მისი ცხოვრების საკითხი წყდებოდა და ამის იქით ფიქრს არ უშვებდა. როგორც ვრცელ მინდორში მბჟუტავი შორეული ალი, ასე იშვიათად კრთებოდა მის თავში აზრი, რომ სადღაც, პეტერბურგის ერთ-ერთ შესახვევში, შორეულ მომავალში, იმისთვის, რომ ნადეჟდა ფედოროვნას გაშორდეს და ვალები გაისტუმროს, მას მოუწევს უმცირესი სიცრუე თქვას; ის მხოლოდ ერთხელ იცრუებს და მერე დაიწყება სრული განახლება. და ეს მშვენიერია, რადგანაც მცირე სიცრუის ფასად დიდ სიმართლეს შეიძენს.

ახლა კი, როცა ექიმმა უარი უთხრა და ამით მიანიშნა, რომ ტყუის, მისთვის გასაგები გახდა, რომ ტყუილი მხოლოდ შორეულ მომავალში კი არ დასჭირდება, არამედ დღესაც, ხვალაც, ერთი თვის მერე და, შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც. ამჟამად გასამგზავრებლად მას დასჭირდება მოატყუოს ნადეჟდა ფედოროვნა, კრედიტორები და უფროსობა; შემდეგ, პეტერბურგში ფულის საშოვნელად დასჭირდება მოატყუოს დედა, უთხრას, რომ უკვე დაშორდა ნადეჟდა ფედოროვნას; დედა ხუთას მანეთზე მეტს არ მისცემს. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მოატყუა ექიმი, რადგანაც ვერ შეძლებს უახლოეს მომავალში ფული გამოუგზავნოს. მერე, როცა ნადეჟდა ფედოროვნა პეტერბურგში ჩამოვა, დასჭირდება მთელი რიგი მცირე და დიდი ტყუილებისა, რომ გაშორდეს მას;

და ისევ დაიწყება ცრემლები, ტანჯვა, დარდი, ძაღლუმადური ცხოვრება, მონანიება, რაც ნიშნავს, რომ არავითარი განახლება არ შედგება. სიცრუე და მეტი არაფერი. ლაევსკის წარმოსახვაში სიცრუის მთელი მთა წამოიზარდა. ეს მთა ერთი ცდით რომ გადალახო და ნაწილ-ნაწილ არ იცრუო, სასტიკი ზომების მიღებაა გადასაწყვეტი; მაგალითად, ჩუმად ადგე, ქუდი დაიხურო და მაშინვე გაემგზავრო – უფულოდ და ულაპარაკოდ. მაგრამ ლაევსკი გრძნობდა, რომ ეს მისთვის შეუძლებელი იყო.

"პარასკევი, პარასკევი... — ფიქრობდა ის. — პარასკევი..."

ბარათებს წერდნენ, ორად კეცავდნენ და ნიკოდიმ ალექსანდრიჩის ძველ ცილინდრში ყრიდნენ. როცა წერილები საკმაოდ დაგროვდებოდა, კოსტია, ვითარცა ფოსტალიონი, მაგიდას გარს უვლიდა და არიგებდა. დიაკვანი, კატია და კოსტია, რადგანაც სასაცილო ბარათებს იღებდნენ და თვითონაც ცდილობდნენ, ასეთივე პასუხები გაეგზავნათ, აღფრთოვანებულები იყვნენ.

"უნდა ვილაპარაკოთ", — წაიკითხა ნადეჟდა ფედოროვნამ წერილში. მარია კონსტანტინოვნას გადახედა. მან ჯერ ნუშისებრ გაიღიმა და მერე თავი დაუკრა.

"რაზე უნდა ვისაუბროთ? — გაიფიქრა ნადეჟდა ფედოროვნამ. — ყველაფერს ვერ ვუამბობ და სალაპარაკოც არაფერია".

ვიდრე სტუმრად წავიდოდნენ, მან ლაევსკის ჰალსტუხი შეუკრა და ამ უბრალო საქმემ სული სინაზითა და სევდით აუვსო. მღელვარება კაცის სახეზე, დაბნეული გამოხედვა, გაფითრება და ბოლოდროინდელი გაუგებარი ცვლილებები, ისიც, რომ საშინელ, უსაზიზღრეს საიდუმლოს უმალავდა, ის, რომ ჰალსტუხის შეკვრისას ხელები უკანკალებდა, — ეს ყველაფერი რატომღაც ეუბნებოდა, მათ თანაცხოვრებას დიდი დღე რომ აღარ ეწერა. იგი შესცქეროდა ლაევსკის როგორც ხატს – შიშით და სინანულით და ფიქრობდა: "მაპატიე, მაპატიე... " მაგიდასთან მის პირდაპირ აჩმიანოვი იჯდა და თავის შავ, შეყვარებულ თვალებს არ აშორებდა; ნადეჟდას სურვილი არ ასვენებდა, რცხვენოდა საკუთარი თავისა და ეშინოდა, რომ სევდა და წუხილიც კი ხელს ვერ შეუშლიდა დანებებოდა ბინძურ ვნებას

დღესვე თუ არა – ხვალ; და როგორც გაბმული სმით მთვრალი ლოთი, თავშეკავებასა და გაჩერებას ვეღარ შეძლებდა.

ასეთი ცხოვრება, თავისთვის სამარცხვინო და ლაევსკისთვის შეურაცხმყოფელი რომ აღარ გაეგრძელებინა, გადაწყვიტა, გამგზავრებულიყო. ტირილით შეევედრება, გაუშვას. და თუ ვანია შეეწინააღმდეგება, მისგან მალულად გაიპარება. არაფრით არ უამბობს, რაც მოხდა. დაე, მას სუფთა და წმინდა მოგონებები დარჩეს.

"მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ," — წაიკითხა. — ეს აჩმიანოვია.

მიყრუებულ, მივარდნილ ადგილას იცხოვრებს, იმუშავებს და ლაევსკის "უცნობისაგან" ფულს, მოქარგულ პერანგებს და თამბაქოს გაუგზავნის. მასთან მხოლოდ სიბერეში დაბრუნდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მძიმედ დაავადდება და მომვლელი ქალი დასჭირდება. როცა მოხუცი ლაევსკი შეიტყობს, ცოლობაზე რა მიზეზითაც უთხრა უარი და რად მიატოვა, დააფასებს მის მსხვერპლს და აპატიებს.

"რა გრძელი ცხვირი გაქვთ!" — ეს, ალბათ, დიაკვანი ან კოსტიაა.

ნადეჟდა ფედოროვნამ წარმოიდგინა, გამომშვიდობებისას როგორ მაგრა ჩაეხუტება, ხელზე აკოცებს და შეჰფიცებს, რომ სულ, სულ, სულ – მთელი სიცოცხლე ეყვარება. მერე კი იქ, მიყრუებულში, უცხო ხალხში, ყოველდღე იფიქრებს იმაზე, რომ სადღაც ჰყავს მეგობარი, საყვარელი ადამიანი, სუფთა, წმინდა, კეთილშობილი და ამაღლებული, რომელიც გულში მასზე უწმინდეს მოგონებებს ატარებს.

"თუ დღესვე პაემანს არ დამინიშნავთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, შესაფერ ზომებს მივიღებ. წესიერ ადამიანებს ასე არ ექცევიან, ეს უნდა შეიგნოთ". – ეს კირილინია.

თავი XIII

ლაევსკიმ ორი ბარათი მიიღო; ერთ-ერთი გახსნა და წაიკითხა: "ნუ გაემგზავრები რა, ჩემო მტრედო."

"ვინ უნდა იყოს? — გაიფიქრა მან. — სამოილენკო არ იქნება. არც დიაკვანი; მან არ იცის, წასვლა რომ მინდა. ნუთუ ფონ კორენია?"

თავდახრილი ზოოლოგი პირამიდას ხატავდა. ლაევსკის მოეჩვენა, თითქოს თვალები უცინოდა.

"ალბათ, სამოილენკომ წამოროშა"... — გაიფიქრა ლაევსკიმ.

მეორე ბარათში, რომელიც იგივე ღვლარჭნილი, გრძელკუდიანი ასოებით იყო ნაწერი, ეწერა: "ვიღაცა შაბათს ვერ გაემგზავრება".

"რა სულელური, ბოროტი დაცინვაა. — გაიფიქრა ლაევ-სკიმ. — პარასკევი, პარასკევი."

ყელში რაღაც მოაწვა. საყელო მოსინჯა, ჩაახველა, მაგრამ ხველების ნაცვლად სიცილი აღმოხდა.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა მან. — ხა-ხა-ხა? "რა მემართე-ბა?" — გაიფიქრა. — ხა-ხა-ხა!

შეეცადა თავი შეეკავებინა, პირზე ხელი აიფარა, მაგრამ სიცილი მკერდსა და ყელში აწვებოდა, ხელი კი პირს ვერა ფარავდა.

— "რა სისულელე მემართება! — ფიქრობდა და თან სიცილით იგუდებოდა. — ჭკუიდან შევიშალე თუ რა ხდება?"

ხარხარი მატულობდა, მატულობდა და ბოლოს ფინიას ყეფას დაემსგავსა. ლაევსკის მაგიდიდან წამოდგომა სურდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა; მარჯვენა ხელი უნებურად რაღაც უცნაურად ხტოდა მაგიდაზე, გაშმაგებით იღებდა ქაღალდებს და ჭმუჭნიდა. მან დაინახა სტუმრების გაკვირვებული სახეები, სერიოზულად შეშინებული სამოილენკო, ზოოლოგის გულცივი, დამცინავი და ზიზღით სავსე გამოხედვა და მიხვდა, რომ ისტერიკა დაემართა.

"რა საშინელებაა, რა სირცხვილია, — ფიქრობდა და თან სახეზე ცრემლების სითბოსა გრძნობდა... — ოხ, ოხ, თავი მომეჭრა! ასეთი რამ არასოდეს მომსვლია..."

აი, ხელკავი გაუყარეს, უკნიდან თავი დაუჭირეს და სადღაც წაიყვანეს; აი, ჭიქამ თვალწინ გაიბრწყინა, კბილებზე აკაკუნდა და მკერდზე წყალი ჩამოეღვარა; აი, პატარა ოთახი, შუაში საწოლი.

ერთ - ერთ მათგანზე დაეგდო და ატირდა.

— არა უშავს, არაფერია... — ეუბნებოდა სამოილენკო. — ხდება ხოლმე... ასეც ხდება ხოლმე...

შიშისაგან გაყინული, აკანკალებული ნადეჟდა ფედოროვნა რაღაც საშინელების მოლოდინში საწოლთან იდგა და კითხულობდა:

— რა მოგივიდა? რა ხდება? ღვთის გულისათვის, მიპასუხე...

"კირილინმა ხომ არაფერი მისწერა?" — ფიქრობდა ნადეჟდა.

— არაფერია... — თქვა ლაევსკიმ, თან იცინოდა და ტიროდა, — გადი აქედან... ძვირფასო.

მისი სახე არც სიძულვილს გამოხატავდა და არც ზიზღს; ესე იგი, არაფერი იცის; ნადეჟდა ფედოროვნა ოდნავ დამშვიდდა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

— ნუ ღელავთ, საყვარელო! — უთხრა მარია კონსტანტინოვნამ, გვერდით მიუჯდა და ხელი ხელში ჩაკიდა. — გაივლის, კაცებიც ისეთივე სუსტნი არიან, როგორც ჩვენ, ცოდვილები. ახლა ორივენი კრიზისს განიცდით... ეს გასაგებია! აბა, საყვარელო, პასუხს ველი! მოდი, მოვილაპარაკოთ.

— სალაპარაკო არაფერია... — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ, თან ლაევსკის გოდებას უსმენდა. — დარდი მომერია... ნება მომეცით, წავიდე.

— რას ამბობთ, რას ამბობთ, საყვარელო! — შეშფოთდა მარია კონსტანტინოვნა. — ეგ როგორ იფიქრეთ? უვახშმოდ ვერ გაგიშვებთ. წაიხემსეთ და მერე ღმერთი გფარავდეთ.

— დარდი მომერია... — წაიჩურჩულა ნადეჟდა ფედოროვნამ და რომ არ დაცემულიყო, სავარძლის ორივე სახელურს ჩაეჭიდა.

— საყმაწვილო დაემართა! — მხიარულად წარმოსთქვა ფონ კორენმა და სასტუმრო ოთახში შევიდა, მაგრამ ნადეჟდა ფედოროვნა რომ დაინახა, შეცბა და გამობრუნდა.

ისტერიკამ რომ გაუარა, ლაევსკი უცხო საწოლზე იჯდა და ფიქრობდა:

"თავი მომეჭრა, გოგოსავით ავღრიალდი! ალბათ, სასაცილო და საზიზღარი ვარ. სხვა კარიდან გავალ. თუმცა ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამ ისტერიკას სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებ.

აჯობებს, ხუმრობად გავასაღო...”

სარკეში ჩაიხედა, ცოტახანს ისევ იჯდა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

— აი, მეც მოვედი! — თქვა და გაიღიმა; ძალიან, ტკივილამდე რცხვენოდა და გრძნობდა, სხვებსაც როგორ რცხვენოდათ, მას რომ უცქერდნენ. — აი, ასეთი ამბებიც ხდება, — თქვა და დაჯდა. — ვიჯექი ჩემთვის და მოულოდნელად გვერდში, იცით, როგორი საშინელი ტკივილი ვიგრძენი... აუტანელი. ნერვებმაც მიმტყუნეს და... ასეთი სისულელე დამემართა. რას იზამ? ასეთია ჩვენი ნერვიული საუკუნე, ვერაფერს გააწყობ!

ვახშმად ღვინო დალია, მუსაიფობდა და ხანდახან გულამოსკვნით ოხრავდა, თან გვერდს იზელდა, თითქოს ტკივილი ისევ აწუხებდა. არავის, ნადეჟდა ფედოროვნას გარდა, ეს არ სჯეროდა და ლაევსკი ამას ხედავდა და გრძნობდა.

მეათე საათი რომ დაიწყო, ბულვარზე სასეირნოდ გავიდნენ. ნადეჟდა ფედოროვნას ეშინოდა, კირილინი არ დამელაპარაკოსო და ცდილობდა, მარია კონსტანტინოვნასა და ბავშვებთან ახლოს ევლო. შიშისა და დარდისაგან დასუსტდა, ციებ-ცხელების მოახლოვებასაც გრძნობდა, იტანჯებოდა და ფეხებს ძლივს მოათრევდა, მაგრამ შინ არ მიდიოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, კირილინი ან აჩმიანოვი, ან ორივენი აედევნებოდნენ. კირილინი ნიკოდიმ ალექსანდრიჩთან ერთად უკან მოდიოდა და ნელი ხმით მღეროდა:

— ნებას არ მოგ–ცემ გა–მა–თა–მა–შო! ნებას არ მოგცემ! ნებას არ მოგცემ!

ბულვარიდან პავილიონისკენ გაუხვიეს და ნაპირს გაჰყვნენ. ისინი დიდხანს უცქერდნენ ზღვის ფოსფორულ ციმციმს. ფონ კორენი მათ უხსნიდა, რა იწვევს ფოსფორულ ნათებას.

თავი XIV

— სამწუხაროდ, ვინტის სათამაშოდ უნდა წავიდე. მელოდებიან. — თქვა ლაევსკიმ. — ნახვამდის, ბატონებო!

— მეც მოვდივარ, მომიცადე. — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ და

ხელკავი გამოსდო.

ისინი ყველას დაემშვიდობნენ და წავიდნენ. კირილინმა, მეც თქვენსკენ მოვდივარო, დანარჩენებს გამოეთხოვა და მათ გვერდით გაჰყვა.

”მოხდეს, რაც მოსახდენია... — ფიქრობდა ნადეჟა ფედოროვნა, — მოხდეს”...

მას ეჩვენებოდა, თითქოს ყველა ცუდმა მოგონებამ თავის ქალა დატოვა. ისინი სიბნელეში გვერდით მიყვებოდნენ და მძიმედ სუნთქავდნენ. თვითონ კი, მელანში ჩავარდნილი ბუზივით, ქვაფენილზე ძლივს მიღოღავდა და ლაევსკის გვერდსა და მკლავს შავად სვრიდა. ფიქრობდა: თუ კირილინი რაიმე სისულელეს ჩაიდენს, ამაში ის კი არა, მხოლოდ მე ვიქნები დამნაშავეო. ხომ იყო ჟამი, როცა კირილინივით არცერთი მამაკაცი არ ელაპარაკებოდა და ისევ და ისევ თვითონ ძაფივით გაწყვიტა ეს დრო და დაუბრუნებლად დაღუპა. ვინ არის ამაში დამნაშავე? თავისი სურვილებით დაბანგული უღიმოდა სრულიად უცნობ მამაკაცს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მოხდენილი, ტანადი და მაღალი იყო. ორ პაემანში მოაბეზრა თავი და ქალმაც მიატოვა. და ნუთუ ამიტომ, — ფიქრობდა ახლა, — მას არა აქვს უფლება, ისე მოექცეს, როგორც მოესურვება?

— აქ, ჩემო კარგო, უნდა დაგშორდე, — თქვა ლაევსკიმ და შეჩერდა. — ილია მიხაილიჩი გაგაცილებს.

კირილინს თავი დაუკრა, სწრაფად გადაჭრა ბულვარი, ქუჩა გაიარა და შეშკოვსკის სახლს მიადგა. სახლის ფანჯრები განათებული იყო. შემდეგ ჭიშკრის ხმაურიც მოისმა.

— ნება მიბოძეთ, განგიმარტოთ, რაც მინდა, — დაიწყო კირილინმა. — არც პატარა ბიჭი ვარ, არც რომელიღაც აჩკასოვი ან ლაჩკასოვი, ზაჩკასოვი... სერიოზულ ყურადღებას მოვითხოვ!

ნადეჟდა ფედოროვნას გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. პასუხი არ გაუცია.

— ჩემთან ურთიერთობის მკვეთრ შეცვლას თავიდან თქვენი კოკეტობით ვხსნიდი, — განაგრძო კირილინმა, — ახლა კი ვხედავ, რომ თქვენ პატიოსან, წესიერ ადამიანებთან მოპყრობა არა

გცოდნიათ.. თქვენ, უბრალოდ, მოგინდათ წაგეთამაშათ ჩემთან, როგორც წაეთამაშეთ იმ სომეხ ყმაწვილს, მაგრამ მე წესიერი კაცი ვარ და მოვითხოვ ისე მომექცნენ, როგორც წესიერ ადამიანს. ახლა კი მზად ვარ გემსახუროთ.

— დარდი მომერია... — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ, ატირდა და ცრემლების დასაფარად, შებრუნდა.

— დარდი მეცა მაქვს, მაგრამ განა ეს გაგამართლებთ?

კირილინი ერთხანს გაჩუმდა და მერე მკაფიოდ, გამოთქმით თქვა: — ვიმეორებ, ქალბატონო: თუ თქვენ დღესვე არ დამინიშნავთ პაემანს, დღესვე დიდ სკანდალს მოგიწყობთ.

— დღეს გამიშვით, — თქვა ნადეჟდა ფედოროვნამ და თავისივე ხმა ვერ იცნო, იმდენად საცოდავი და წვრილი აღმოხდა.

— ჭკუა უნდა გასწავლოთ... მაპატიეთ ეს უხეში კილო, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია ჭკუა გასწავლოთ. დიახ-ს, სამწუხაროდ, ჭკუა უნდა გასწავლოთ. ორ პაემანს ვითხოვ: დღეს და ხვალ. ზეგიდან თქვენ სრულიად თავისუფალი იქნებით და შეგიძლიათ სადაც გნებავთ და ვისთანაც გნებავთ, წახვიდეთ. დღეს და ხვალ.

ნადეჟდა ფედოროვნა თავის ჭიშკართან მივიდა და შედგა.

— გამიშვით! — ჩურჩულებდა იგი, მთელი სხეული უცახ-ცახებდა და იმ სიბნელეში თეთრი კიტელის მეტს ვერაფერს ხედავდა. — მართალი ბრძანდებით, საზიზღარი ქალი ვარ... დამნაშავეც ვარ, მაგრამ გამიშვით... გთხოვთ... — ცივ ხელზე შეეხო და შეკრთა, — გემუდარებით...

— ვერა! — ამოისუნთქა კირილინმა. — ვერ გაგიშვებთ. ეს ჩემს გეგმებში არ გამითვალისწინებია. მხოლოდ მინდა ჭკუა გასწავლოთ, გაგარკვიოთ. ესეც არ იყოს, მადამ, ქალებს ნაკლებად ვენდობი.

— სევდა მტანჯავს...

ნადეჟდა ფედოროვნამ ყური მიუგდო ზღვის მშვიდ ხმაურს, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და ძალიან მოუნდა ყველაფერი მოემთავრებინა და განთავისუფლებულიყო სიცოცხლის წყეული შეგრძნებებისაგან თავისი ზღვით, ვარსკვლავებით, მამაკაცებით, ციებ-ცხელებით...

— ოღონდ ჩემთან არა... — ცივად გამოსცრა. — სადმე წამიყვანეთ.

— მიურიდოვთან წავიდეთ. ყველაზე კარგი ადგილია.

— ეგ სად არის?

— ძველი ზვინულის ახლოს.

ქალი სწრაფად გაუყვა ქუჩას, მერე შეუხვია და მთებისკენ მიმავალ გზას დაადგა. ბნელოდა. განათებული ფანჯრებიდან გადმოვარდნილი სინათლის მკრთალი ზოლები ქვაფენილზე ალაგ-ალაგ ჩანდა და მას ეგონა, რომ იმ ბუზივით ხან მელანში ვარდებოდა, ხან კი სინათლეზე ამოხოხდებოდა. კირილინი უკან მისდევდა, ერთგან წაბორძიკდა, კინაღამ დაეცა და გაეცინა.

"მთვრალია... — გაიფიქრა ნადეჟდა ფედოროვნამ. — სულერთია... სულერთია.. მოხდეს, რაც მოსახდენია."

აჩმიანოვიც მალე დაემშვიდობა კომპანიას და ნადეჟდა ფედოროვნას კვალს გაჰყვა, ნავით სასეირნოდ რომ დაეპატიჟებინა. მიუახლოვდა ნადეჟდას სახლს და ღობიდან გადაიხედა: ფანჯრები ღია იყო და ბნელოდა.

— ნადეჟდა ფედოროვნა! — დაუძახა.

წუთი გავიდა. ისევ დაუძახა.

— ვინ არის? — ოლგას ხმა გაისმა.

— ნადეჟდა ფედოროვნა შინ არის?

— არა. ჯერ არ მოსულა.

"უცნაურია... ძალიან უცნაური, — გაიფიქრა აჩმიანოვმა და ძალიან აღელდა. — თითქოს შინ წამოვიდა..."

ის ბულვარს გაუყვა, მერე — ქუჩას და შემკოვსკის ფანჯარაში შეიხედა, მაგიდასთან უსერთუკო ლაევსკი იჯდა და კარტს ყურადღებით ჩასცქეროდა.

— საკვირველია, საკვირველი... — წაიბურტყუნა აჩმიანოვმა, მერე ლაევსკის ისტერიკა გაახსენდა და შერცხვა. — შინ თუ არ არის, სად უნდა იყოს?

ისევ ნადეჟდა ფედოროვნას ბინასთან დაბრუნდა და ბნელ ფანჯრებს შეხედა.

"მომატყუა, მომატყუა"... — გაიფიქრა, როცა გაიხსენა, შუადღისას ბიტიუკოვებთან რომ შეხვდა, ის თვითონ დაპირდა, საღამოს ნავით ერთად ვისეირნოთო.

კირილინის სახლის ფანჯრებიც ჩაბნელებული იყო. ალაყაფის კართან მერხზე პოლიციელი იჯდა და ეძინა. პოლიციელი და ფანჯრები რომ დაინახა, აჩმიანოვისთვის ყველაფერი ცხადი გახდა. შინ წასვლა გადაწყვიტა, წავიდა კიდეც, მაგრამ ისევ ნადეჟდა ფედოროვნას სახლთან აღმოჩნდა. მაშინ მერხზე დაჯდა და ქუდი მოიხადა, რადგანაც იგრძნო, რომ ეჭვისა და შეურაცხყოფისაგან თავი უხურდა.

ქალაქის ეკლესიაში ზარს დღეში მხოლოდ ორჯერ არისხებდნენ: შუადღისას და შუაღამისას. ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც შუაღამისა ჩამოჰკრეს, ჩქარი ფეხის ხმა გაისმა

— ესე იგი, ხვალ საღამოს ისევ მიურიდოვთან! — მოესმა აჩმიანოვს და კირილინის ხმა იცნო. — რვა საათზე. ნახვამდის - თ!

ღობესთან ნადეჟდა ფედოროვნა გამოჩნდა. მერხზე მჯდომი აჩმიანოვი ვერც კი შენიშნა, ლანდივით ჩაუქროლა, ჭიშკარი გააღო, ღია დატოვა და სახლში შევიდა. თავის ოთახში სანთელი აანთო, სწრაფად გაიხადა, მაგრამ საწოლში კი არ დაწვა, სკამის წინ მუხლებზე დაეცა, ხელები მოხვია და შუბლით დეყრდნო.

მესამე საათი იქნებოდა, ლაევსკი შინ რომ დაბრუნდა.

თავი XV

რადგანაც გადაწყვიტა, ერთბაშად კი არა, ნაწილ - ნაწილ ეცრუა, ლაევსკი მეორე დღეს, დაახლოებით ორ საათზე სამოილენკოსთან ფულის სათხოვნელად მივიდა, შაბათს აუცილებლად რომ გამგზავრებულიყო. გუშინდელი ისტერიკის შემდეგ, რამაც მის მძიმე სულიერ მდგომარეობას სირცხვილის მწვავე შეგრძნებაც დაუმატა, ამ ქალაქში დარჩენა უაზრო იქნებოდა. თუ სამოილენკო თავისი პირობების შესრულებას დაჟინებით მოითხოვდა, ფიქრობდა ის, დათანხმდებოდა, ფულს გამოართმევდა და ხვალ, ზუსტად გამგზავრების წინ, ეტყოდა, რომ ნადეჟდა ფედოროვნამ გამგზავრებაზე უარი თქვა. ამ საღამოდანვე შესძლებს ნადეჟდა დაიყოლიოს, თუ დაარწმუნებს, რომ ყველაფერი მის სასარგებლოდ კეთდება. და თუ სამოილენკო, რომელიც ფონ კორენის უდაო

გავლენის ქვეშ არის, ფულზე სულაც უარს ეტყვის ან სხვა ახალ პირობებს წამოუყენებს, მაშინ თვითონ, ლაევსკი, დღესვე გაყვება ახალ ათონამდე ან ნოვოროსიისკამდე გემს, სატვირთოს ან იალქნიანსაც კი, იქიდან დედას თავისდამამცირებელ დეპეშას გაუგზავნის და იქ მანამ იცხოვრებს, ვიდრე დედა სამგზავრო ფულს არ გამოუგზავნის.

ლაევსკის სამოილენკოს სასტუმრო ოთახში ფონ კორენი დახვდა. ზოოლოგი ეს-ეს არის სასადილოდ მოვიდა და, ჩვეულებისამებრ, გადაშალა ალბომი და ცილინდრიანი კაცებისა და ჩაჩიანი ქალების სურათებს ათვალიერებდა.

"ო, რა უდროო დროს მოსულა, — გაიფიქრა ლაევსკიმ. — ხელს შეგვიშლის."

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ფონ კორენმა ისე, რომ არც კი შეხედა.

— ალექსანდრ დავიდიჩი შინ არის?

— დიახ. სამზარეულოშია.

ლაევსკი სამზარეულოსკენ წავიდა, მაგრამ კარიდანვე დაინახა სამოილენკო სალათს რომ აკეთებდა, სასტუმრო ოთახში შებრუნდა და დაჯდა.

— გუშინდლის შემდეგ თავს როგორა გრძნობთ?

— შესანიშნავად, — უპასუხა ლაევსკიმ და გაწითლდა. — სინამდვილეში განსაკუთრებული არც არაფერი ყოფილა...

— გუშინდლამდე მეგონა, ისტერიკა მხოლოდ ქალებს ემართებოდათ და ამიტომაც ვიფიქრე, "წმინდა ვიტას ცეკვა" ხომ არ დაემართა - მეთქი!

ლაევსკიმ პირფერულად გაიღიმა და გაიფიქრა: "როგორ არადელიკატურად იქცევა. ხომ ბრწყინვალედ იცის, როგორ მიმძიმს..." — დიახ, სასაცილო ამბავი მოხდა, — თქვა მან და ისევ იცინოდა, — დღეს მთელი დილა სიცილში გავატარე. ამ ისტერიკულ შეტევაში კურიოზული ის არის, რომ იცი, უაზრობაა, გულში დასცინი კიდეც, მაგრამ, ამავდროულად, ქვითინებ. ჩვენ ნერვიულ საუკუნეში საკუთარი ნერვების მონები ვართ; ისინი ჩვენი ბატონები არიან და თავის ნებაზე გვათამაშებენ. ამ შემთხვევაში

ცივილიზაციამ დათვური სამსახური გაგვიწია.

ლაევსკი ლაპარაკობდა, მაგრამ არ სიამოვნებდა ფონ კორენი ასე სერიოზულად, გულისყურით რომ უსმენდა და ისე თვალდაუხამხამებლად და ყურადღებით უცქერდა, თითქოს უნდა შეისწავლოსო; საკუთარ თავზე გული სწყდებოდა იმის გამო, რომ მიუხედავად ფონ კორენის სიძულვილისა, ვერაფრით ვერ შეძლო ლაქუცა ღიმილი სახიდან ჩამოეგდო.

— თუმცა უნდა ვაღიარო, — განაგრძო მან, — მქონდა უახლესი, თანაც საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზი, შეტევა მომსვლოდა, ამ ბოლო დროს ჯანმრთელობა ძალზე შემერყა. ამასთან ერთად მოწყენილობა, მუდმივი უფულობა... ადამიანთა და საერთო ინტერესების ნაკლებობა... მძიმე, გამოუვალი მდგომარეობაა...

— ასეა, თქვენ მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში ხართ. — თქვა ფონ კორენმა.

ამ ცივმა, მშვიდმა სიტყვებმა, რომლებიც დაცინვასა თუ დაუპატიჟებელ წინასწარმეტყველებას შეიცავდნენ, ლაევსკი შეურაცხყვეს. მას გაახსენდა ზოოლოგის გუშინდელი დაცინვითა და ზიზღით სავსე შემოხედვა, მცირე ხანს დადუმდა და უკვე ღიმილის გარეშე იკითხა:

— თქვენ რა იცით, ჩემი მდგომარეობის თაობაზე?

— ეს-ეს არის თავად ისაუბრეთ მასზე. თქვენი მეგობრებიც ისე მხურვალედ ზრუნავენ თქვენზე, რომ მთელი დღე მხოლოდ ეს გვესმის.

— რომელი მეგობრები? სამოილენკო?

— დიახ, ისიც.

— მე ძალიან ვთხოვდი სამოილენკოს და საერთოდ, ჩემს მეგობრებს, ნაკლებად შეიწუხონ თავი.

— აი, სამოილენკოც მობრძანდება და თავად სთხოვეთ, ნაკლებად იზრუნოს თქვენზე.

— არ მესმის თქვენი ტონისა... — წაიბურტყუნა ლაევსკიმ; ისეთმა გრძნობამ მოიცვა, თითქოს ამ წუთას მიხვდა, რომ ზოოლოგს სძულს, ეზიზღება და დასცინის მას და რომ ზოოლოგი მისი უსასტიკესი და შეურიგებელი მტერია. — ეგ თქვენი კილო

შეინახეთ, სხვებისთვის გამოგადგებათ. — ჩუმად თქვა მან, რადგანაც სიძულვილი, რომელიც გუშინდელი სიცილის სურვილივით მკერდსა და კისერს უკვე უხუთავდა, ხმამაღლა ლაპარაკს უშლიდა.

შემოვიდა სამოილენკო, უსერთუკო, სამზარეულოს სიცხისაგან აწითლებული.

— ეი, აქა ხარ? — თქვა მან. — გამარჯობა, ჩემო კარგო. ისადილე? ნუ გერიდება, მითხარი: ნასადილევი ხარ?

— ალექსანდრ დავიდიჩ, — თქვა ლაევსკიმ და ადგა. — თუ მე მოგმართე რაიმე ინტიმური თხოვნით, ეს იმას როდი ნიშნავს, თავდაჭერისა და სხვათა საიდუმლოს პატივისცემისაგან გათავისუფლებდე.

— ვერ გაგიგე? — გაიკვირვა სამოილენკომ.

— თუ ფული არა გაქვს, — განაგრძო ლაევსკიმ, ხმა აღიმაღლა და თან ნერვიულობისაგან ფეხიდან ფეხზე გადადიოდა. — ნუ მომცემ, უარით გამისტუმრე; მაგრამ რა საჭიროა, ქვეყანას მოსდო, გამოუვალი მდგომარეობა აქვსო და ასე შემდეგ? ეგეთ მოწყალებას და მეგობრულ სამსახურს, როცა კაპიკისას აკეთებ და მანეთისას ლაპარაკობ, ვერ ვიტან! შენი სიკეთითა და მოწყალებით, შეგიძლია, რამდენიც გნებავს იტრაბახო, მაგრამ ეს უფლებას არ გაძლევს, ჩემი საიდუმლო გაამჟღავნო.

— რა საიდუმლო? — იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა სამოილენკომ და გაბრაზება დაეტყო. — საჩხუბრად თუ მოხვედი, გირჩევ, წახვიდე. სხვა დროს გამოიარე!

სამოილენკოს გაახსენდა: თუ ახლობელზე ბრაზობ, გულში ასამდე უნდა დაითვალო და გაგივლისო; და სწრაფად დაიწყო თვლა.

— გთხოვთ, ჩემზე ნუ იზრუნებთ! — განაგრძო ლაევსკიმ, — ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ჩემთან ვის რა ესაქმება, მითუმეტეს, იმასთან, როგორ ვცხოვრობ? დიახ, გამგზავრება მსურს! დიახ, ვალი მაქვს, ვსვამ, სხვის ცოლთან ვცხოვრობ, ისტერიკიანი ვარ, უხამსი, არც ისეთი ღრმადმოაზროვნე, როგორც ზოგიერთი, მაგრამ ამ ყველაფერთან ვის რა ესაქმება? პატივი ეცით... ადამიანის პიროვნებას პატივი ეცით!

— დიდი ბოდიში, ძამიკო, — თქვა სამოილენკომ, ოცდათხუთ-

მეტამდე რომ დაითვალა, — მაგრამ...

— პიროვნებას პატივი ეცით! — შეაწყვეტინა ლაევსკიმ. — ეს გაუთავებელი საუბრები სხვათა ცხოვრებაზე, ოხვრა და ჭმუნვა, მუდმივი თვალთვალი, მიყურადება, ეს მეგობრული თანაგრძნობა... ეშმაკსაც წაუღია!! ფულს ვალად მაძლევენ და თან პატარა ბიჭივით პირობებს მთავაზობენ! აბუჩად მიგდებენ, როგორც... ეშმაკმა უწყის, როგორ! არაფერი არ მინდა! — იყვირა ლაევსკიმ, აღელვებული ბარბაცებდა და შიშობდა, ისტერიკა ისევ არ დამემართოსო. — "ესე იგი, შაბათს ვერ წავალ," — ფიქრებში გაუელვა. — არაფერი არ მინდა! ოღონდ გთხოვთ, თუ შეიძლება, ჩემზე ზრუნვას შეეშვით. არც ბავშვი ვარ და არც გიჟი და გთხოვთ, ჩემზე თვალთვალი შეწყვიტოთ!

დიაკვანი შემოვიდა და როცა დაინახა, გაფითრებული ლაევსკი როგორ იქნევდა ხელებს და თავისი უცნაური სიტყვით როგორ მიმართავდა თავად ვორონცოვის პორტრეტს, სარგადაყლაპულივით კართან გაშეშდა.

— ჩემს სულში გაუთავებელი ხელის ფათური, — განაგრძო ლაევსკიმ, — ჩემს ადამიანურ ღირსებას შეურაცხყოფს და მოხალისე მაძებრებს ვთხოვ, შეწყვიტონ ჯაშუშობა! კმარა! კმარა!

— რა თქვი... რა ბრძანეთ? — იკითხა სამოილენკომ, აჭარხლდა, თუმცა ასამდე უკვე მოასწრო დათვლა და ლაევსკის მიუახლოვდა.

— კმარა! — გაიმეორა ლაევსკიმ და სულშეხუთულმა ქუდს დაავლო ხელი.

— მე რუსი ექიმი გახლავართ, აზნაური და სტატსკი სოვეტნიკი! — თქვა დინჯად სამოილენკომ. — ჯაშუში არასდროს ვყოფილვარ და არავის მივცემ უფლებას შეურაცხმყოს! — იყვირა მან, ბოლო სიტყვა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოსთქვა და ხმა აუჟღრიალდა. — გაჩუმდით!

დიაკვანმა, რომელსაც არასოდეს ენახა სამოილენკო ასე დიდებული, გაბღენძილი, აჭარხლებული და საშინელი, პირზე ხელი აიფარა, წინკარში გავარდა და ახარხარდა. ლაევსკი თითქოს ბურუსში ხედავდა, შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ფონ კორენი როგორ ადგა და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ელოდება,

აბა, შემდეგ რა მოხდებაო: ეს მშვიდი პოზა ლაევსკის უკიდურესად თავხედურად და შეურაცხმყოფლად მოეჩვენა.

— კეთილი ინებეთ და ეგ თქვენი სიტყვები უკან წაიღეთ! — იყვირა სამოილენკომ.

ლაევსკიმ, რომელსაც უკვე აღარ ახსოვდა, რა თქვა, უპასუხა:

— თავი დამანებეთ! არაფერი აღარ მინდა! მხოლოდ ის მინდა, რომ გერმანიიდან წამოსულმა ურიათაგანმა თავი დამანებოს! თორემ სულ სხვა გზას დავადგები! სისხლი დაიღვრება!

— ახლა ყველაფერი გასაგებია, — თქვა ფონ კორენმა და მაგიდას მოცილდა. — ბატონ ლაევსკის სურს გამგზავრების წინ დუელით გაერთოს. მე შემიძლია ეგ სიამოვნება მოგანიჭოთ. ბატონო ლაევსკი, თქვენი გამოწვევა მიღებულია!

— გამოწვევა? — ჩუმად ჩაილაპარაკა ლაევსკიმ, ზოოლოგს მიუახლოვდა და შავგვრემან შუბლსა და ხუჭუჭ თმაზე სიძულვილით შეხედა, — გამოწვევა? ინებეთ! მე თქვენ მეზიზღებით! მეზიზღებით!

— მოხარული ვარ. ხვალ დილით, ადრე, ქერბალაისთან ახლოს, თქვენი გემოვნების ყოველგვარი წვრილმანი გათვალისწინებული იქნება. ახლა კი, გაეთრიეთ აქედან!

— მეზიზღებით! — იმეორებდა ლაევსკი ჩუმად და მძიმედ სუნთქავდა. — საუკუნეა მეზიზღებით! დუელი! დიახ, დუელი!

— ალექსანდრ დავიდიჩ, მომაშორე, თორემ მე წავალ, — თქვა ფონ კორენმა. — მეშინია, არ მიკბინოს.

ფონ კორენის მშვიდმა კილომ ექიმიც დაამშვიდა; როგორღაც, უცებ გონს მოეგო, დაწყნარდა, ლაევსკის ორივე ხელი წელზე მოხვია, ფონ კორენს მოაშორა და ალერსიანი, ღელვით აკანკალებული ხმით ჩაიბურტყუნა:

— ჩემო მეგობრებო... ჩემო კარგებო, ჩემო კეთილებო... გაცხარდით და იკმარეთ... კმარა... კმარა, ჩემო მეგობრებო...

ასეთი თბილი, მეგობრული ხმა რომ გაიგონა, ლაევსკიმ იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში, ეს წუთია, რაღაც გაუგონარი, საზარელი რამ მოხდა, თითქოს მატარებელმა კინაღამ გადაუარა; კინაღამ ატირდა, ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავარდა.

”საკუთარ თავზე გამოსცადო, სხვას რომ სძულხარ, მოძულე ადამიანის თვალწინ გამოჩნდე უაღრესად საცოდავი, საზიზღარი, უმწეო სახით, – ო, ღმერთო ჩემო, რა აუტანელია! — ფიქრობდა ის, ცოტა ხნის შემდეგ, პავილიონში რომ იჯდა და ახლახან განცდილ, ჟანგივით მთელ სხეულზე მოდებულ სიძულვილს გრძნობდა. — ო, რა აუტანელია! რა სიბრიყვეა, ღმერთო ჩემო!”

ცივმა წყალმა და კონიაკმა ცოტა გაამხნევა. ნათლად წარმოიდგინა ფონ კორენის მშვიდი, დამცინავი სახე. მისი გუშინდელი შემოხედვა, ხალიჩის მსგავსი პერანგი, ხმა, თეთრი ხელები და უმძიმესი, ჟინიანი, მშიერი ზიზღი ამოუბრუნდა მკერდში და დაკმაყოფილება ითხოვა. ფიქრში ფონ კორენი მიწაზე დასცა და ფეხებით თელავდა. მან უმცირეს წვრილმანამდე გაიხსენა რაც მოხდა და გაუკვირდა, როგორ შეეძლო, ლაქუცით გაეღიმა არარაობისთვის და საერთოდ, როგორ შეეძლო დაეფასებინა აზრი პაწია, უმნიშვნელო, ყველასათვის უცნობ კაცუნებისა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ უმნიშველო ქალაქში, რომელიც, მგონი, რუკაზეც არ არის დატანილი და რომელზედაც პეტერბურგის არცერთ წესიერ მოქალაქეს არაფერი გაუგონია. თუ ამ ქალაქს უცაბედად მიწა ჩაყლაპავს ან ცეცხლი გადაბუგავს, მაშინაც კი რუსეთში დეპეშას ამის თაობაზე ისეთივე მთქნარებით წაიკითხავენ, როგორც ნახმარი ავეჯის გასაყიდად დაბეჭდილ განცხადებას. ხვალ ფონ კორენს მოკლავს თუ ცოცხალს გაუშვებს – სულერთია, ეს ერთნაირად უსარგებლო და უინტერესოა. აჯობებს, ხელში ან ფეხში დაჭრას და მერე დასცინოს. როგორც ფეხმოგლეჯილი მწერი იკარგება ბალახებში, დაე, ისიც თავისი ყრუ სატანჯველითა და დრტვინვით ჩაიკარგოს ისეთივე არარაობების ბრბოში, როგორიც თვითონ არის.

ლაევსკი შემკოვსკისთან წავიდა, ყველაფერი უამბო და სთხოვა, სეკუნდანტად დასდგომოდა; მერე ორივენი ფოსტა–ტელეგრაფის კანტორის უფროსთან მივიდნენ, იმასაც სეკუნდანტობა სთხოვეს და სადილადაც მასთან დარჩნენ. სადილობისას ბევრს ხუმრობდნენ და იცინოდნენ. ლაევსკი ქილიკობდა, სროლა თითქმის არ ვიციო და თავს მეფის მსროლელსა და ვილჰელმ ტელს უწოდებდა.

— იმ ვაჟბატონს ჭკუას ვასწავლი. — ამბობდა ის.

სადილის შემდეგ კარტის სათამაშოდ დასხდნენ, ლაევსკი თამაშობდა, ღვინოს შეექცეოდა და ფიქრობდა, რომ დუელი სისულელე და უაზრობაა, რადგანაც დუელის მიზეზს კი არ აგვარებს, არამედ ართულებს; მაგრამ ხანდახან გვერდს ვერ აუვლი. მაგალითად, ამ შემთხვევაში: ფონ კორენზე საჩივარს მომრიგებელ— მოსამართლეს ხომ არ მიართმევ!! მომავალი დუელი კიდევ იმით არის კარგი, მას შემდეგ ქალაქში აღარ დაედგომება. ოდნავ შეთვრა, თამაშითაც გაერთო და თავს მშვენივრად გრძნობდა.

მაგრამ მზე რომ ჩაესვენა და დაბნელდა, შფოთმა დარია ხელი. ეს არ იყო სიკვდილის შიში, რადგანაც ვიდრე სადილობდა და კარტს თამაშობდა, რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ დუელი არაფრით დამთავრდებოდა; ეს იყო შიში რაღაც უცნობისა, რაც მის ცხოვრებაში პირველად ხვალ დილით უნდა მომხდარიყო და შიში დამდეგი ღამისა... მან იცოდა, რომ ეს ღამე უძილო და გრძელი იქნებოდა. და რომ მოუწევდა, ეფიქრა არა მარტო ფონ კორენსა და მის სიძულვილზე, არამედ სიცრუის იმ მთაზე, რომელიც აუცილებლად უნდა გადაევლო და რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა, რადგანაც ამდენი არც ძალა ჰქონდა, არც ცოდნა და არც გამოცდილება. ეს იმას ჰგავდა, კაცი მოულოდნელად ავად რომ გახდება; მან ერთ წამში დაკარგა ადამიანებისა და კარტის ინტერესი, აფორიაქდა და ითხოვა, შინ გამიშვითო. უნდოდა, რაც შეეძლო სწრაფად ლოგინში გაუნძრევლად ჩაწოლილიყო და მომავალი ღამისათვის თავისი აზრი და ფიქრი დაეხვედრებინა. შეშსკოვსკიმ და ფოსტის ჩინოვნიკმა სახლამდე მოაცილეს და მერე ფონ კორენთან წავიდნენ, დუელის თაობაზე რომ მოლაპარაკებოდნენ.

სახლთან ლაევსკის აჩმიანოვი შეხვდა. ახალგაზრდა კაცი ქოშინებდა და აღელვებული ჩანდა.

— მე კი თქვენ გეძებთ, ივან ანდრეიჩ! — თქვა მან. — გთხოვთ, სასწრაფოდ გამომყვეთ...

— სად?

— თქვენი ნახვა სურს უცნობს, რომელსაც თქვენთან ძალზე მნიშვნელოვანი საქმე აქვს. უმორჩილესად გთხოვთ, ერთი

წუთი დაუთმოთ. რაღაცაზე უნდა გელაპარაკოთ... მისთვის ეს სიკვდილ - სიცოცხლის საქმეა...

აღელვებულმა აჩმიანოვმა ეს ისეთი სომხური აქცენტით ჩაარაკრაკა, რომ "სიცოცხლის" მაგივრად "სიცეცხლე" გამოუვიდა.

— ვინ არის? — იკითხა ლაევსკიმ.

— მთხოვა, არ დავასახელო მისი ვინაობა.

— უთხარით, დაკავებულია— თქო. თუ ასე ძალიან სურს, ხვალ...

— რას ამბობთ! — შეშინდა აჩმიანოვი. — მას უნდა თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამ შეგატყობინოთ... ძალიან მნიშვნელოვანი! თუ არ წამობრძანდებით, შესაძლოა, უბედურება მოხდეს.

— საკვირველია. — ჩაილაპარაკა ლაევსკიმ და ვერ გაეგო, ან ეს აჩმიანოვი ასე რამ ააღელვა, ან რა საიდუმლო შეიძლება ყოფილიყო ასეთ ყველასათვის უსარგებლო ქალაქში. — საკვირველია, — გაიმეო რა მან დაფიქრებით. — თუმცა წავიდეთ. სულ ერთია.

აჩმიანოვი სწრაფად წავიდა, ლაევსკი უკან მისდევდა, ჯერ ქუჩა გაიარეს, მერე – შესახვევი.

— ვეღარ მივაღწიეთ? — იკითხა ლაევსკიმ.

— ახლავე მივალთ... ახლოა.

ძველ ზვინულთან, ორ შემოღობილ უშენ ადგილებს შორის ვიწრო შესახვევი გაიარეს, რაღაც დიდ ეზოში შევიდნენ და პატარა სახლისკენ გაეშურნენ...

— ეს მიურიდოვის სახლი არ არის? — იკითხა ლაევსკიმ.

— დიახ.

— კი, მაგრამ უკანა ეზოებით რატომ მატარებ, არ მესმის? ქუჩიდანაც შეგვეძლო მივსულიყავით, უფრო ახლოც არის.

— არა უშავს, არა უშავს...

ლაევსკის ისიც უცნაურად მოეჩვენა, აჩმიანოვმა უკანა კარისკენ რომ წაიყვანა; თან ხელს უქნევდა, თითქოს ანიშნებდა ფრთხილად და ჩუმად იარეო.

— აქეთ, აქეთ... — თქვა აჩმიანოვმა, კარი ფრთხილად შეაღო და წინკარში ფეხაკრეფით შევიდა. — ჩუმად, გთხოვთ, ჩუმად. თორემ გაიგებენ...

მიაყურადა, სული ძლივს მოითქვა და დაიჩურჩულა:

— აი, ეს კარი შეაღეთ და შედით. ნუ გეშინიათ.

გაშტერებულმა ლაევსკიმ კარი შეაღო და დაბალჭერიან, ფანჯრებზე ფარდაჩამოფარებულ ოთახში შევიდა. მაგიდაზე სანთელი ენთო.

— ვინ გინდა? — მეორე ოთახიდან იკითხეს. — მიურიდკა, შენა ხარ?

ლაევსკი იმ ოთახში შევიდა და კირილინი დაინახა. იქვე ნადეჟდა ფედოროვნა იდგა.

ლაევსკიმ უკან დაიხია, ვერ გაიგო, რა უთხრეს და ვერც ის შენიშნა, ქუჩაში როგორ აღმოჩნდა. ფონ კორენის სიძულვილი და შეშფოთება – ყველაფერი გაქრა სულიდან. შინ რომ ბრუნდებოდა, მარჯვენა ხელს უხერხულად იქნევდა და წინ ყურადღებით იცქირებოდა, გამართულად რომ ევლო. შინ, თავის კაბინეტში, ხელებს იფშვნეტდა, მხრებსა და კისერს მოუხეშავად ამოძრავებდა, თითქოს პერანგი და პიჯაკი ვიწრო ჰქონდა, ერთი-ორი ბოლთაც დაარტყა კუთხიდან კუთხემდე, მერე სანთელი აანთო და მაგიდას მიუჯდა.

თავი XVI

— ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებზედაც ლაპარაკობთ, მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებენ კაცობრიობის აზროვნებას, როცა თავის მოძრაობაში შეხვდებიან ზუსტ მეცნიერებებს და მათთან ერთად ივლიან. შეგვხვდებიან ისინი მიკროსკოპში, ახალი ჰამლეტის მონოლოგში, თუ ახალ რელიგიაში, არ ვიცი, მაგრამ მგონია, დედამიწა უფრო ადრე დაიფარება ყინულის ქერქით, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდება. ამ ჰუმანიტარული მეცნიერებებისგან ყველაზე მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი, რა თქმა უნდა, ქრისტეს სწავლებაა, მაგრამ შეხედეთ, ისიც კი სხვადასხვაგვარად ესმით! ერთნი გვასწავლიან, გიყვარდეს ყველა მოყვასიო და იქვე გამონაკლისს უშვებენ ჯარისკაცების, დამნაშავეებისა და გიჟებისთვის; პირველებს ნება ეძლევათ ომში კაცი ჰკლან,

მეორეებს – განაცალკევებენ ან სჯიან, მესამეთ კი ქორწინება აქვთ აკრძალული. სხვა განმმარტებელნი გვასწავლიან გვიყვარდეს უკლებლივ ყველა მოყვასი განურჩევლად მათი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებისა. მათი აზრით, თუ მოგადგება ჭლექიანი, მკვლელი ან ბნედიანი და ქალიშვილის ხელსა გთხოვს, უნდა გაატანო; თუ კრეტინები ეომებიან ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელებს, თავი უნდა მიუშვირო. ამ ქადაგებას, სიყვარული სიყვარულისთვის, როგორც ხელოვნებას ხელოვნებისთვის, რომ შეეძლოს ძალის მოკრება, კაცობრიობას, ბოლოს და ბოლოს, სრულიად გააცამტვერებდა და მოხდებოდა უგრანდიოზულესი ბოროტება მათ შორის, რაც კი მომხდარა დედამიწაზე. განმარტებანი ძალიან ბევრია და რადგანაც ბევრია, სერიოზული აზრი არ კმაყოფილდება არცერთი მათგანით და ჩქარობს, ისწრაფვის, უამრავ განმარტებებს საკუთარი მიუმატოს. ამიტომ ნურასოდეს დასვამთ კითხვას, როგორც უწოდებთ, ფილოსოფიურ ან ეგრეთ წოდებულ ქრისტიანულ საფუძველზე. ამით საკითხის გადაჭრას მხოლოდ და მხოლოდ დაშორდებით.

დიაკვანმა ყურადღებით მოუსმინა ზოოლოგს, იფიქრა და ჰკითხა:

— ზნეობრივი კანონი, რომელიც ასე დამახასიათებელია ყოველი ადამიანისათვის, ფილოსოფოსებმა მოიფიქრეს თუ ღმერთმა სხეულთან ერთად შექმნა?

— არ ვიცი, მაგრამ ეგ კანონი იმდენად საერთოა ყველა ხალხისა და ეპოქისათვის, რომ, მგონია, ადამიანთან ორგანულ კავშირში უნდა მოვიაზროთ. ის არ გამოუგონიათ, იყო და იქნება. ვერ დაგპირდებით, რომ მას მიკროსკოპში დავინახავთ, მაგრამ ეს ორგანული კავშირი მთელი სიცხადით მტკიცდება: ტვინის სერიოზული წვალება და ყველა ეგრეთ წოდებული სულიერი ავადმყოფობა, როგორც ჩემთვის ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი კანონის დამახინჯებით ვლინდება!

— კეთილი და პატიოსანი. ესე იგი, როგორც კუჭს უნდა კვება, ისევე ზნეობრივ გრძნობებსაც უნდა, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი. ხომ ასეა? მაგრამ ჩვენივე თავკერძოობის თანდაყოლილი ბუნება ეწინააღმდეგება ნამუსისა და გონების ხმას და ამიტომაც უამრავი

თავსატეხი კითხვა იბადება. ამ კითხვებზე პასუხისთვის ვის უნდა მივმართოთ, თუ თქვენ გვიკრძალავთ ფილოსოფიურ ნიადაგზე მათ დასმას?

— მიმართეთ იმ მცირეოდენ ზუსტ ცოდნას, რომელიც გაგვაჩნია. ენდეთ ფაქტების სიცხადესა და ლოგიკას. მართალია, იქ სიმწირეა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი მერყეობა და ბუნდოვანება არ არის, როგორიც ფილოსოფიაში; ვთქვათ, ზნეობრივი კანონი გთხოვთ, გიყვარდეთ ადამიანები. სიყვარული უნდა გამოიხატებოდეს ყოველივეს აცილებაში, რაც, ასე თუ ისე, ვნებს ადამიანებსა და აწმყოსა და მომავალში ხიფათით ემუქრება. ჩვენი ცოდნა და სიცხადე გეუბნებათ, რომ კაცობრიობას ემუქრება ხიფათი ზნეობრივად და ფიზიკურად არანორმალურებისაგან. თუ ასეა, ებრძოლეთ არანორმალურებს. თუ ძალა არა გყოფნით ნორმალურამდე აამაღლოთ, მაშინ საკმარისი ძალა და ცოდნა გაქვთ, გააუვნებელყოთ, ანუ გაანადგუროთ.

— ესე იგი, სიყვარული ძლიერისგან სუსტის დამარცხება ყოფილა?

— ეჭვს გარეშეა.

— კი, მაგრამ ძლიერებმა ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ხომ ჯვარს აცვეს? — თქვა გულმხურვალედ დიაკვანმა.

— საქმეც ის არის, რომ ძლიერებმა კი არა, სუსტებმა აცვეს ჯვარს. ადამიანურმა კულტურამ დაასუსტა და ახლა ცდილობს სულ მოსპოს არსებობისათვის ბრძოლა და შერჩევა; აქედანვე დაიწყო სუსტების გამრავლება და ძლიერებზე მათი გაბატონება. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ შესძელით და ფუტკრებს ჩაუნერგეთ ჰუმანური იდეები მათთვის დამუშავებული და რუდიმენტული ფორმით. იცით, რა შედეგი დადგება? მამალი მუქთახორა ფუტკრები, რომლებიც წესით უნდა განადგურდნენ, ცოცხლები დარჩებიან, თაფლს მიირთმევენ, დაამახინჯებენ და გაგუდავენ მუშა ფუტკრებს და შედეგად სუსტები გაბატონდებიან ძლიერებზე და ძლიერები გადაშენდებიან. აი, ზუსტად ეს ემართება ახლა კაცობრიობას: სუსტნი ჩაგრავენ ძლიერებს. ველურებს, ვიდრე კულტურა შეეხებოდათ, ყველაზე ძლიერი, ჭკვიანი და ყველაზე ზნეობრივი უძღოდა წინ; ის იყო ბელადი დ მბრძანებელი. ჩვენ კი, კულტურულებმა, ქრისტე

ჯვარს ვაცვით და ახლაც ვაწამებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ნაკლი გვაქვს... და ეს „რაღაც“ აუცილებლად და სწრაფად უნდა აღვიდგინოთ, თორემ ამ გაუგებრობებს ბოლო არ ექნება.

— კი, მაგრამ სუსტს ძლიერისგან რა კრიტერიუმებით ანსხვავებთ?

— ცოდნითა და სიცხადით: ჭლექიანებსა და საყმაწვილო სენით შეპყრობილებს – თავისი ავადმყოფობით, უზნეოებსა და გიჟებს — საქციელით.

— ხომ შეიძლება, შეცდეთ?

— დიახ. მაგრამ თუ წარღვნას ელი, ფეხების დასველებამ არ უნდა შეგაკრთოს.

— ეს ფილოსოფიაა, — გაეცინა დიაკვანს.

— არაფერიც. თქვენ იმდენად გაგაფუჭათ თქვენმა სასემინარიო ფილოსოფიამ, რომ გნებავთ ყველაფერში მხოლოდ ბურუსს ხედავდეთ. განყენებულ მეცნიერებებს, რომლითაც თქვენი ახალგაზრდა თავია გამოტენილი, განყენებული იმიტომ ჰქვია, რომ თქვენს ჭკუა-გონებას სიცხადისგან განაყენებს. შეხედეთ პირდაპირ თვალებში ეშმაკს და თუ ეშმაკია, ასეც თქვით, ეშმაკია-თქო და ნუ მიძვრებით კანტთან ან ჰეგელთან ახსნა— განმარტებებისთვის.

ზოოლოგი დადუმდა და განაგრძო:

— ორჯერ ორი ოთხია, ქვა კი ქვაა. აი, ხვალ ჩვენ დუელი გვაქვს. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს უგუნურებაა და სისულელე, რომ დუელმა მოჭამა თავისი დრო, რომ არისტოკრატული დუელი, ძირითადში, არაფრით განსხვავდება დუქანში მთვრალთა ჩხუბისაგან, მაგრამ მაინც არ გავჩერდებით, წავალთ და ვისვრით. ესე იგი, არსებობს ჩვენს განსჯაზე ძლიერი ძალა. ჩვენ გავკივით, რომ ომი – რბევა, ბარბაროსობა, საშინელება, ძმათა მკვლელობაა, სისხლის დანახვაზე გული მიგვდის; მაგრამ საკმარისია ფრანგებმა ან გერმანელებმა შეურაცხყოფა მოგვაყენონ, მაშინვე ვიგრძნობთ სულის ამაღლებას, ჭეშმარიტად გულწრფელად შევძახებთ ვაშას და მტერს ვეკვეთებით; თქვენ კი ღმერთს შესთხოვთ, აკურთხოს ჩვენი იარაღი და ჩვენი სიმამაცე საერთო— სახალხო, ამასთანავე, უგულწრფელეს აღტაცებას გამოიწვევს. ესე იგი, ისევ და ისევ, არის ძალა, რომელიც ჩვენზე მაღლა თუ არა დგას, მაშინ ჩვენზე და ჩვენს

ფილოსოფიაზე ძლიერია. მას ჩვენ ვერ შევაჩერებთ, როგორც ვერ შევაჩერებთ აი, ამ ღრუბელს, ზღვის მხრიდან რომ გვიახლოვდება. ნუ თვალთმაქცობთ, ნუ უღერებთ მუშტს ჯიბიდან და ნუ ამბობთ: „ოხ, რა სისულელეა! ოხ, მოძველდა! ახ, როგორ უთანხმოებაშია წმინდა წერილთან!“ არამედ თვალი გაუსწორეთ, აღიარეთ მისი გონივრული კანონიერება, და როცა ამ ძალას, მაგალითად, უძლური, დაავადებული, გახრწნილი მოდგმის განადგურება სურს, ხელს ნუ შეუშლით თქვენი აბებითა და ციტატებით, არასწორად წაკითხული ევანგელიედან. ლესკოვს ჰყავს ერთი გმირი, სინიდისიანი დანილა, რომელიც ქალაქგარეთ კეთროვანს იპოვის და უვლის, ქრისტეს სიყვარულის გამო. იმ დანილას მართლა რომ უყვარდეს ადამიანები, კეთროვანს ქალაქს მოაშორებდა და ხრამში გადაჩეხავდა, თვითონ კი ჯანმრთელებს მოემსახურებოდა. ქრისტემ, ვიმედოვნებ, გონივრული, გააზრებული, ვარგისი სიყვარული გვიანდერძა.

— აი, რანაირი ყოფილხართ! — გაეცინა დიაკვანს. — აკი ქრისტე არა მწამსო? მაშ, ასე ხშირად რატომ ახსენებთ?

— მწამს, როგორ არა მწამს, მაგრამ, რა თქმა უნდა, თქვენებურად კი არა, ჩემებურად. ეხ, დიაკვანო, დიაკვანო! — ჩაიცინა ზოოლოგმა. მერე დიაკვანს ხელები წელზე შემოხვია დ მხიარულად უთხრა: — რას იტყვი? მივდივართ ხვალ დუელზე?

— წოდება ნებას არ მაძლევს, თორემ წამოვიდოდი.

— რას ნიშნავს წოდება?

— ხელდასხმული ვარ. ჩემზე ღვთის წყალობაა.

— ეჰ, დიაკვანო, დიაკვანო, — სიცილით გაიმეორა ფონ კორენმა. — მიყვარს თქვენთან საუბარი.

— ამბობთ, მორწმუნე ვარო. — თქვა დიაკვანმა, — მაგრამ როგორია ეს რწმენა? ბიძა მყავს, მღვდელია, ისე სწამს, როცა გვალვაში მინდორში წვიმის სათხოვნელად მიდის, თან ქოლგა და ტყავის პალტო მიაქვს, უკან გზაზე წვიმამ რომ არ დაასველოს. აი, ეს არის რწმენა! როცა ქრისტეზე საუბრობს, ისე ანათებს, რომ ყველა ქალი და კაციც ცრემლად იღვრებიან. ის ამ ღრუბელსაც შეაჩერებდა და ყველანაირ თქვენს ძალებს უკუაქცევდა. დიახ... რწმენას მთების

შეძვრაც შეუძლია.

დიაკვანმა გაიცინა და ზოოლოგს მხარზე ხელი დაარტყა.

— დიახ, ასეა... — განაგრძო მან. — აი, თქვენ ყველაფერს სწავლობთ, ზღვის შიგნეულს არკვევთ, სუსტს ძლიერისგან ანსხვავებთ, წიგნებს წერთ და დუელში იწვევთ – მაგრამ ყოველივე მაინც თავის ადგილას რჩება. აი, რომელიღაც წმინდა სულით ცხებული მისუსტებული მოხუცი მხოლოდ ერთ სიტყვას წაიჩურჩულებს და არაბეთიდან ამხედრებული და ხმალამოწვდილი ახალი მუჰამედი მოჭენდება, თქვენთან ყველაფერს ყირაზე დააყენებს და ევროპაშიც ქვას ქვაზე არ დატოვებს.

— ეგ ვინ იცის, დიაკვანო. ეგ მაღლა ცაში სწერია!

— რწმენა საქმის გარეშე მკვდრადშობილია; საქმე კი რწმენის გარეშე უარესია, მხოლოდ დროის დაკარგვაა და მეტი არაფერი.

სანაპიროზე ექიმი გამოჩნდა. დიაკვანი და ზოოლოგი დაინახა და მათთან მივიდა.

— მგონი, ყველაფერი მოგვარდა, — თქვა აქოშინებულმა,— სეკუნდანტებად გოვოროვსკი და ბოიკო იქნებიან. ხვალ დილით, ხუთზე გამოგივლიან. როგორ მოიქუფრა! — თქვა და ცას ახედა. — აღარაფერი მოჩანს. ალბათ, მალე მოწვიმს.

— იმედია, ჩვენთან ერთად წამოხვალ? — ჰკითხა ფონ კორენმა.

— არა, ღმერთმა დამიფაროს, ისედაც გავწამდი. ჩემს მაგივრად უსტიმოვიჩი წამოვა. უკვე მოველაპარაკე.

შორს, ზღვის თავზე, იელვა და ქუხილის ყრუ გრუხუნი გაისმა.

— როგორ დაიხუთა ჭექა-ქუხილის წინ! — თქვა ფონ კორენმა. — დაგენიძლავები, რომ უკვე იყავი ლაევსკისთან და მკერდიც ცრემლებით დაუნამე.

— რატომ უნდა მივსულიყავი? — უპასუხა შეცბუნებულმა ექიმმა. — მეტი საქმე არა მაქვს!

მზის ჩასვლამდე მან რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ბულვარზე და იმ ქუჩაზეც, სადაც შეიძლება ლაევსკის შეხვედროდა. მას რცხვენოდა თავისი აფეთქებისა და იმ სითბოთი სავსე საქციელისა, აფეთქებას მაშინვე რომ მოჰყვა. მას უნდოდა, ბოდიში მოეხადა, ხუმრობით, რა თქმა უნდა, ცოტა დაეტუქსა, დაემშვიდებინა და

ეთქვა, რომ დუელი შუასაუკუნის ბარბაროსების გადმონაშთი კი არის, მაგრამ თვითონ განგებამ მიუთითა, შესარიგებლად გამოიყენეთო: ხვალ, ორივენი, მშვენიერი და ბრწყინვალე გონების პატრონები, ისვრიან, დააფასებენ ერთმანეთის კეთილშობილებას და დამეგობრდებიან. მაგრამ ლაევსკი არა და არ შეხვდა.

— რატომ უნდა მივსულიყავი? — გაიმეორა სამოილენკომ. — მე კი არა, მან შეურაცხმყო. თუ კაცი ხარ, მითხარი, რატომ მეტაკა? ცუდი რა გავუკეთე? შემოვდივარ სასტუმრო ოთახში და კარგად მეყოლე: ჯაშუში ხარო! ეგღა მაკლია! მითხარი: რით დაიწყო! ასეთი რა უთხარი?

— ვუთხარი, გამოუვალი მდგომარეობა გაქვს-მეთქი. და მართალიც ვარ. მხოლოდ პატიოსნებს და თაღლითებს შეუძლიათ ყოველი მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვონ. იმათთვის კი, ვისაც სურს ერთდროულად პატიოსანიც იყოს და თაღლითიც, გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ, ბატონებო, უკვე თერთმეტი საათია, ხვალ კი ადრე უნდა ავდგეთ.

უცებ ქარი ამოვარდა; სანაპიროზე მტვერი აყარა, დაიბღავლა და ზღვის ხმაური გადაფარა.

— გრიგალია! — თქვა დიაკვანმა. — წავიდეთ, თორემ თვალებს ამოგვივსებს.

როცა დაიძრნენ, სამოილენკომ ამოიოხრა და თქვა:

— ამაღამ აღარ დამეძინება. — თან ქუდს იჭერდა.

— ნუ ღელავ, — ჩაიცინა ზოოლოგმა. — შეგიძლია, მშვიდად იყო. დუელი არაფრით დამთავრდება. ლაევსკი სულგრძელად ჰაერში ისვრის, ის სხვაგვარად ვერ მოიქცევა, მე კი არც გავისვრი. ლაევსკის გამო სასამართლოში მოვხვდე? დრო დავკარგო? ეგ საქმე ჩირადაც არ ღირს. ჰო, მართლა, დუელისთვის ახლა რა პასუხისმგებლობაა?

— პატიმრობა, ხოლო მოწინააღმდეგის სიკვდილის შემთხვევაში – სამი წელი ციხეში.

— პეტრე-პავლეს ციხეში?

— არა, სამხედროში... მგონი.

— ისე კი, მაგ ვაჟკაცისათვის ჭკუა უნდა მესწავლებინა!

უკან, ზღვაში, გაიელვა და წამით სახლების სახურავები და

მთები გაანათა. ბულვართან მეგობრები დაშორდნენ. როცა ექიმი წყვდიადში გაუჩინარდა და მხოლოდ მისი ფეხის ხმა ისმოდა, ფონ კორენმა დაუყვირა:

— ვაი, თუ ხვალ ბუნებამ ხელი შეგვიშალოს!

— რას ამბობ?! ღმერთმა ინებოს!

— ღამე მშვიდობისა!

— რა ღამეო? რას მეუბნები?

იმ ზღვისა და ქარის ხმაურში, ჭექა - ქუხილში აღარაფერი ისმოდა.

— არაფერს! არაფერს! — იყვირა ზოოლოგმა და შინისაკენ გაქანდა.

თავი XVII

დარდით დათრგუნულ ჭკუა— გონებას
ფლითავენ მძიმე ფიქრები ჭარბი.
მოგონებანი უსიტყვოდ, ჩუმად
თვალწინ მიშლიან უგრძელეს გრაგნილს.
ზიზღით ვკითხულობ ცხოვრებას ჩემსას,
ვთრთი და თან ვწყევლი სიცოცხლეს — აშლილს.
და მწარედ ვნანობ და მწარედ ვტირი,
მაგრამ სევდიან სტრიქონს რა წაშლის.
პუშკინი

ხვალ დილით მოკლავენ თუ დასცინებენ ანუ ცოცხალს დატოვებენ, სულერთია, ის მაინც დაღუპულია. თავს მოიკლავს სასოწარკვეთისა და სირცხვილისგან თავმოჭრილი, სახელგატეხილი ეს ქალი თუ გადაწყვეტს, ათრიოს თავისი საცოდავი ცხოვრება, სულერთია, ის მაინც დაღუპულია...

ასე ფიქრობდა ლაევსკი, რომელიც გვიან საღამოს მაგიდასთან იჯდა და ისევ ხელებს ისრესდა. უცებ ფანჯარა ხმაურით გაიღო, ოთახში ძლიერი ქარი შემოიჭრა და მაგიდიდან ქაღალდები აყარა. ლაევსკიმ ფანჯარა მიხურა და დაიხარა, იატაკიდან ქაღალდები რომ აეკრიფა. სხეულში რაღაც ახალს გრძნობდა, რაღაცნაირ მოუქნელობას, რომელიც ადრე არ უგრძვნია და საკუთარ

მოძრაობებს ვერ ცნობდა; გაუბედავად დადიოდა, იდაყვებს იქნევდა და მხრებს იჩეჩავდა და როცა მაგიდას ისევ მიუჯდა, ისევ ხელების სრესა დაიწყო. მისმა სხეულმა მოქნილობა დაკარგა.

სიკვდილის წინ ახლობლებს უნდა მისწერო. ეს ლაევსკის ახსოვდა, კალამი აიღო, აკანკალებულმა ხელმა დაწერა:

„დედიკო!“

უნდოდა მშობლისათვის მიეწერა, რომ მას გულმოწყალე ღვთის სახელით, რომელიც სწამს, შეეფარებინა და ალერსით გაეთბო უბედური, მისი შვილის მიერ პატივაყრილი, მარტოხელა, ღარიბი და სუსტი ქალი; რომ მას დაევიწყებინა და ეპატიებინა ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი და ამ მსხვერპლით ნაწილობრივ მაინც გამოესყიდა შვილის საშინელი ცოდვა. მაგრამ გაახსენდა დედამისი, სქელი, მძიმე მოხუცი, მაქმანიანი ჩაჩით თავდახურული, დილით როგორ გამოდიოდა სახლიდან ბაღში (უკან სამადლოდ სარჩენი ქალი მოყვებოდა, ფინია მოჰყავდა), მბრძანებლური კილოთი როგორ უყვიროდა მებაღესა და მოსამსახურეებს და როგორი ამაყი და მედიდური სახე ჰქონდა ამ დროს. ეს გაახსენდა თუ არა, დაწერილი სიტყვა წაშალა.

სამივე ფანჯარაში ელვამ გაიკაშკაშა. ამას მოჰყვა გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი, ჯერ ყრუ, მაგრამ ისეთი გრუხუნა და ჭახაჭუხიანი, ისეთი ძლიერი, რომ ფანჯრებში მინები აზრიალდა. ლაევსკი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და მინას შუბლით მიეყრდნო. გარეთ ძლიერი, ლამაზი ელჭექი ბობოქრობდა. ჰორიზონტზე ელვა ღრუბლებიდან ზღვას თეთრ ბაფთებად გაუთავებლად ეცემოდა და კარგა შორ მანძილზე ანათებდა მაღალ შავ ტალღებს. მარჯვნივ, მარცხნივ, ალბათ, სახლის თავზეც ელვა კაშკაშებდა.

— ელვა! — წაიჩურჩულა ლაევსკიმ; ის გრძნობდა სურვილს, ელოცა, ვიღაცისთვის ან რაღაცისთვის, თუნდაც ელვისა და ღრუბლებისთვის. — მშვენიერი ელვა!

გაახსენდა ბავშვობაში ჭექა-ქუხილის დროს თავშიშველა როგორ გამორბოდა ბაღში; მას ორი ქერათმიანი, ცისფერთვალა გოგონა მისდევდა. სამივეს წვიმა ასველებდა; ისინი აღტაცებისგან კისკისებდნენ, მაგრამ როგორც კი მძლავრად დაიქუხებდა, გოგონები

ნდობით ეხუტებოდნენ ყმაწვილს და ისიც პირჯვარს იწერდა და ლოცულობდა: „წმინდა ხარ, წმინდა ხარ, წმინდა ხარ შენ...“ ო, საით გაფრინდით, რომელ ზღვაში ჩაიძირენით, მშვენიერი, წმინდა ცხოვრების ჩანასახებო? ელჭექის აღარ ეშინია, ბუნება არ უყვარს, ღმერთი არა ჰყავს, ყველა მიმნდობი გოგონა, რომელთაც ოდესღაც იცნობდა, უკვე დაღუპულია ან მისგან, ან მისი თანატოლების მიერ. საკუთარ ბაღში მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი ხეც კი არ დაურგავს, ერთი ყვავილიც არ გაუხარებია და ცოცხალ არსებათა შორის მცხოვრებს, ერთი ბუზიც კი არ გადაურჩენია და მხოლოდ ანგრევდა, ღუპავდა და ცრუობდა, ცრუობდა...

„ნეტავ თუ არის ჩემს წარსულში რაიმე უზადო? — ეკითხებოდა საკუთარ თავს და ცდილობდა, ჩაბღაუჭებოდა რომელიმე ნათელ მოგონებას, როგორც უფსკრულში გადაჩეხილი ებღაუჭება ბუჩქებს.

გიმნაზია? უნივერსიტეტი? მაგრამ ეს ხომ სიცრუეა. ცუდად სწავლობდა და რაც ასწავლეს, ყველაფერი დაავიწყდა. საზოგადოების სამსახური? ესეც სიცრუეა, რადგანაც სამსახურში არაფერს აკეთებდა, ხელფასს ტყუილად იღებდა და მისი სამსახური ხაზინის საზიზღარი ქურდობაა, რის გამოც პასუხისგებაში არ აძლევენ.

ჭეშმარიტება არ სჭირდებოდა და არც ეძებდა, მისი სიბილწით და ტყუილებით მოჯადოებული სინიდისი კი თვლემდა ან ჩუმად იყო; ის, როგორც უცხო ან სხვა პლანეტიდან დაქირავებული, ადამიანთა საერთო ცხოვრებაში არ მონაწილეობდა, გულგრილი იყო მათი განცდების, ტანჯვის, იდეების, რელიგიების, ცოდნის, ძებნის, ბრძოლის მიმართ; ადამიანებისთვის ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამს; გარდა უხამსისა, არ დაუწერია არც ერთი გამოსადეგი სტრიქონი, ერთი გროშის სიკეთე არ მოუტანია ადამიანებისათვის; ის მხოლოდ მათ პურსა ჭამდა, მათ ღვინოს სვამდა, მათ ცოლებს უბახებდა, მათი აზრებით ცხოვრობდა და თავისი საზიზღარი, პარაზიტული არსებობა რომ გაემართლებინა იმათი და საკუთარი თავის წინაშეც, ყოველთვის ცდილობდა, ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს ყველაზე უკეთესია და ყველაზე მაღლა დგას. ტყუილი, ტყუილი და ისევ ტყუილი...

მან ცხადად გაიხსენა, რაც საღამოს მიურიდოვის სახლში ნახა და საზიზღრობისა და ტანჯვისაგან აუტანლად შეძრწუნდა. კირილინი და აჩმიანოვი საძაგლად კი მოიქცნენ, მაგრამ ისინი ხომ იმას აგრძელებდნენ, რაც თვითონ დაიწყო: ისინი მისი თანამზრახველები და მოწაფეები არიან. ახალგაზრდა სუსტ ქალს, რომელიც ძმაზე მეტად ენდობოდა, გაჰყარა ქმარი, ნაცნობ-მეგობართა წრე, სამშობლო წაართვა და აქ, ამ ხვატში, ციებ-ცხელებასა და მოწყენილობაში მოიყვანა. აქ მას ყოველ ცისმარე დღე საკუთარ თავში სარკესავით უნდა აერეკლა მისი უზნეობა, ბიწიერება, უსაქმურობა და ტყუილები; და ამით, მხოლოდ და მხოლოდ ამით ისულდგმულებდა მისი სუსტი, უხალისო, დუნე და საცოდავი ცხოვრება; მერე მას მოყირჭდა, ყელში ამოუვიდა ქალი, შეძულდა, მაგრამ ვაჟკაცობა არ ეყო მიეტოვებინა და ცდილობდა, რაც შეიძლება მკვიდრად ჩაეხვია სიცრუეში, როგორც ობობის ქსელში... დანარჩენი ამ ადამიანებმა მოათავეს.

ლაევსკი ხან მაგიდას მიუჯდებოდა, ხან ისევ ფანჯარასთან მიდიოდა; ხან აქრობდა სანთელს, ხან ისევ ანთებდა; ხმამაღლა სწყევლიდა საკუთარ თავს, ტიროდა, ჩიოდა, პატიებას ითხოვდა. სასოწარკვეთილმა რამდენჯერმე მაგიდასთან მიირბინა და დაწერა „დედიკო!“

დედის გარდა ნათესავი ან ახლობელი არავინ ჰყავდა; მაგრამ, აბა, დედა როგორ უშველიდა? სად იყო დედა? უნდოდა, ნადეჟდა ფედოროვნასთან შეერბინა, მუხლებში ჩავარდნოდა, ხელები და ფეხები დაეკოცნა, მუდარით პატიება ეთხოვა, მაგრამ ის ხომ მისი მსხვერპლი იყო, ეშინოდა მისი, როგორც მიცვალებულის ეშინიათ ხოლმე.

— ცხოვრება დამთავრდა! — ჩურჩულებდა და ისევ ხელებს ისრესდა. — რატომ ვარ ცოცხალი, ღმერთო, რატომ ვარ ისევ ცოცხალი!

მან თვითონ ჩამოაგდო ციდან თავისი მკრთალი ვარსკვლავი; ვარსკვლავი ჩამოსრიალდა და ღამის წყვდიადში ჩაინთქა; ის ცას აღარ დაუბრუნდება. ადამიანს სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ ეძლევა და აღარ მეორდება. წარსული დღეებისა და წლების დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ის სიცრუეს სიმართლით შეცვლიდა,

უსაქმურობას – შრომით, მოწყენას – სიხარულით; სიწმინდეს დაუბრუნებდა ყველას, ვისაც წაართვა, იპოვიდა ღმერთსა და სამართლიანობას, მაგრამ ეს ისევე შეუძლებელია, როგორც იმ მოწყვეტილი ვარსკვლავის ზეცაზე დაბრუნება, და იმის გამო, რომ ეს შეუძლებელია, სასოწარკვეთას ეძლეოდა.

როცა ჭექა-ქუხილი ჩადგა, ლაევსკი ღია ფანჯარასთან იჯდა და მშვიდად ფიქრობდა იმაზე, რა ელოდა. ფონ კორენი, ალბათ, მოკლავს. ამ ნათელი, ცივი მსოფლმხედველობის ადამიანს დასაშვებად მიაჩნია უძლურებისა და უვარგისების განადგურება; და თუ ეს რწმენა გადამწყვეტ წუთში უმტყუნებს, მაშინ მას მიეშველება სიძულვილი და ზიზღი, რომელსაც ლაევსკის მიმართ განიცდის. მაგრამ თუ ტყვიას ააცდენს, ან იმისათვის რომ საძულველ მოწინააღმდეგეს დასცინოს – მხოლოდ დაჭრის, ან სულაც ჰაერში გაისვრის, მაშინ... რა ქნას? რა წყალში გადავარდეს!

„პეტერბურგს გავემგზავრო? — ჰკითხა საკუთარ თავს ლაევსკიმ. — მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, თავიდან დავიწყო ძველი ცხოვრება, რომელსაც ვწყევლი. ვინც ხსნას, გადამფრენი ჩიტებივით, ადგილის ცვლაში ეძებს, ვერაფერს იპოვის, რადგანაც მისთვის დედამიწა ყველგან ერთნაირია. ეგებ, ხსნა ადამიანებში უნდა ეძებოს? არიან კი ასეთები? ვისში უნდა ეძებო ან როგორ? სამოილენკოს სიკეთე და სულგრძელობა ისევე ნაკლებ მხსნელია, როგორც დიაკვნის ღიმილიანი სახე ან ფონ კორენის სიძულვილი. ხსნა მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ეძებო და თუ ვერ იპოვი, დრო რატომღა უნდა კარგო, შუბლში ტყვია იხალე და ეგ იქნება ყველაფერი...“

ეკიპაჟის ხმაური გაისმა. თენდებოდა. ეტლმა ჩაიარა, მერე მობრუნდა და სველ ქვიშაზე თვლების ჭრიალით სახლთან გაჩერდა. ეტლში ორნი ისხდნენ.

— ახლავე გამოვალ! — გასძახა ფანჯრიდან ლაევსკიმ. — არა მძინავს. უკვე დროა?

— დროა, ოთხი საათია. ვიდრე ჩავალთ...

ლაევსკიმ პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ჯიბეში პაპიროსი ჩაიდო და დაფიქრებული შედგა. მოეჩვენა, თითქოს კიდევ რაღაც

უნდა გაეკეთებინა. ქუჩაში სეკუნდანტები ჩუმად საუბრობდნენ და ცხენები ფრუტუნებდნენ. ამ ხმებმა, რომელიც ისმოდა ადრიან ნესტიან დილით, როცა ყველას სძინავს და ცაც სულ ოდნავ არის განათებული, ლაევსკის სული აღავსო დიდი სევდით, რომელიც ცუდ წინათგრძნობას უფრო ჰგავდა. დაფიქრებული ცოტა ხანს იდგა და საძილე ოთახში შევიდა.

ნადეჟდა ფედოროვნა თავის საწოლში იწვა გაჭიმული, თავზე პლედგადაფარებული; არ ინძრეოდა და, განსაკუთრებით თავით, მოგაგონებდათ ეგვიპტურ მუმიას. ლაევსკი ჩუმად დაჰყურებდა, უსიტყვოდ პატიებას სთხოვდა და ფიქრობდა: თუ ზეცა ცარიელი არ არის და იქ მართლაც არის ღმერთი, მაშინ ის ღმერთი დაიფარავს ქალს; თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ აჯობებს დაიღუპოს, რადგანაც მის ცხოვრებას აზრი არ აქვს.

უცებ ნადეჟდა ლოგინში წამოჯდა. გაფითრებული სახე ლაევსკის შიშით მიაპყრო და იკითხა:

— შენა ხარ? ელჭექი ჩადგა?

— დიახ.

მერე გაიხსენა, ორივე ხელი თავზე შემოიკრა და მთელი ტანით შეცახცახდა.

— როგორ მიჭირს! — ჩაილაპარაკა მან. — რომ იცოდე, როგორ მიმძიმს! ველოდი, — თქვა და თვალები მოჭუტა, — რომ მომკლავდი ან იმ ჭექა-ქუხილსა და ქარში შინიდან გამაგდებდი, შენ კი აყოვნებ... აყოვნებ...

ლაევსკი აღტკინებით და მაგრა მოეხვია ქალს, მუხლები და ხელები დაუკოცნა, მერე, როცა ის რაღაცას ებურტყუნებოდა და თან მოგონებისგან კრთებოდა, თავზე ხელი გადაუსვა, თვალებში ჩახედა და მიხვდა, რომ ეს უბედური, უმწეო ქალი მისთვის ერთადერთი ახლობელი, მშობლიური და შეუცვლელი ადამიანია.

შინიდან რომ გამოვიდა და ეტლში ჯდებოდა, ლაევსკის ძალიან უნდოდა ცოცხალი დაბრუნებულიყო.

თავი XVIII

დიაკვანი ადგა, ჩაიცვა, აიღო თავისი მსხვილი ნუჟრებიანი ჯოხი და სახლიდან ჩუმად გამოვიდა. ბნელოდა და დიაკვანი პირველ წუთებში, ქუჩაში რომ მიაბიჯებდა, თავის თეთრ ხელჯოხსაც კი ვერ ხედავდა. ცაზე არცერთი ვარსკვლავი არ ენთო. როგორც ეტყობოდა, გუშინდელივით ისევ გაწვიმდებოდა. სველი ქვიშისა და ზღვის სუნი ტრიალებდა.

„ჩეჩნებმა რომ დამაყაჩაღონ?!“ — ფიქრობდა დიაკვანი და უსმენდა მისი ჯოხი ქვაფენილზე როგორ კაკუნობდა და ღამის სიჩუმეში როგორი წკრიალი გაუდიოდა ამ ეულ კაკუნს.

ქალაქს რომ გაცდა, გზაც დაინახა და თავისი ჯოხიც. შავ ცაზე აქა-იქ მღვრიე ლაქებში გამოჩნდა და მალე ერთმა ვარსკვლავმა გამოანათა და თავისი ერთი თვალი მორიდებით დაახამხამა. დიაკვანი მაღალ კლდოვან ნაპირს მიუყვებოდა და ზღვას ვერ ხედავდა. ზღვას ქვემოთ ეძინებოდა, მისი უხილავი ტალღები ზანტად და მძიმედ ეხეთქებოდნენ ნაპირს და თითქოს ოხრავდნენ: უჰ! თანაც ნელა, ძალიან ნელა. ნაპირს ერთი ტალღა ეცა, დიაკვანმა რვა ნაბიჯი გადადგა, როცა ნაპირს მეორე ტალღა შეემსხვრა, ექვსი ნაბიჯის შემდეგ – მესამე... ასე ზუსტად არაფერი ჩანდა, წყვდიადში ისმოდა ზღვის დუნე, სიზმარეული ხმაური, ისმოდა უსასრულოდ შორეული, წარმოუდგენელი დრო, როცა ღმერთი ქაოსზე ნავარდობდა.

დიაკვანი შიშმა შეიპყრო. გაიფიქრა, ღმერთი ხომ არ დამსჯის, ურწმუნოებთან კავშირისთვის და იმისათვისაც, მათი დუელის სანახავად რომ მივდივარო; დუელი არაფრის მთქმელი, უსისხლო, სასაცილო იქნება, მაგრამ როგორიც უნდა იყოს, წარმართული სანახაობაა, სასულიერო პირის მასზე დასწრება კი ურიგო საქციელია. ის გაჩერდა და გაიფიქრა: ხომ არ დავბრუნდეო, მაგრამ ძლიერმა, მოუსვენარმა ცნობისმოყვარეობამ ეჭვებს სძლია და გზა განაგრძო.

„ურწმუნოები კი არიან, მაგრამ კეთილი ხალხია და გადარჩებიან, — დაიმშვიდა თავი. — აუცილებლად გადა-რჩებიან!“ — თქვა ხმამაღლა და პაპიროსი გააბოლა.

რა საზომით უნდა გაზომო ადამიანის ღირსება, სამართლიანი რომ იყოს? დიაკვანს გაახსენდა თავისი მტერი, სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი, რომელსაც ღმერთიც სწამდა, არც დუელებში უჩხუბია, უმწიკვლოდაც ცხოვრობდა, მაგრამ ოდესღაც დიაკვანს პურითა და შაქრის ფხვნილით კვებავდა და ერთხელ კინაღამ ყური მოაგლიჯა. თუ ადამიანის ცხოვრება ისე იოლად არ აეწყო, რომ იმ სასტიკ და უსინიდისო ინსპექტორს, ხაზინის ფქვილის ქურდს, სასწავლებელში ყველა პატივსა სცემდა, მისი ჯანმრთელობისა და სულის ცხონებისათვის ლოცულობდა, მაშინ სამართლიანი იქნება თუ არა, გაემიჯნოს ისეთ ადამიანებს, როგორიც ფონ კორენი და ლაევსკია მხოლოდ იმიტომ, ღმერთი რომ არა სწამთ? დიაკვანი ამის პასუხს ეძებდა, მაგრამ გაახსენდა, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა სამოილენკო და ამან შეაწყვეტინა ფიქრთა მოზღვავება. ხვალ, ალბათ, ბევრს ვიცინებთ! დიაკვანმა წარმოიდგინა, როგორ ჩაჯდება ბუჩქებში და უთვალთვალებს და ხვალ, სადილზე ფონ კორენი ტრაბახს თუ დაიწყებს, მაშინ ის, დიაკვანი, სიცილით უამბობს დუელის ყოველ წვრილმანსაც კი.

„ეს ყველაფერი საიდან იცით?“ — ჰკითხავს ზოოლოგი. — „საქმეც ეგ არის. შინ ვიჯექი, მაგრამ ყველაფერი ვიცი.“

კარგი იქნებოდა დუელი სასაცილოდ ამეწერა. სიმამრი წაიკითხავდა და ბევრს იცინებდა. ჩემს სიმამრს პურს ნუ აჭმევ და მისწერე ან უამბე რაიმე სასაცილო, მეტი არაფერი უნდა.

ყვითელი მდინარის ველი გადაიშალა. წვიმისაგან მდინარე გაფართოებულიყო და გაბოროტებულიყო. ახლა ის უწინდელივით კი არ იღრინებოდა, არამედ ღრიალებდა. განთიადი იწყებოდა. მკრთალი, უღიმღამო დილა, ჭექა-ქუხილის დასაწევად დასავლეთისკენ მფრინავი ღრუბლები, ბურუსით გარშემორტყმული მთები, სველი ხეები — ეს ყველაფერი დიაკვანს ულაზათოდ და აღრენილად მოეჩვენა. წყაროზე პირი დაიბანა, დილის ლოცვები წაიკითხა და ჩაი და ცხელ—ცხელი არაჟნიანი ფუნთუშები მოუნდა. ამას ყოველ დილით მიართმევდნენ ხოლმე სიმამრთან. ცოლი გაახსენდა, გაახსენდა „დაუბრუნებელი“, რომელსაც ის ფორტეპიანოზე უკრავდა. ნეტა, რა ქალია? დიაკვანს ერთ კვირაში

გააცნეს, დანიშნეს და ჯვარიც დაწერეს. ერთად თვეზე ნაკლები იცხოვრეს. მერე დიაკვანი აქ მოავლინეს. ასე რომ, ვერ მოასწრო, გაერკვია, როგორი ქალია. მაგრამ უცოლოდ მაინც მოწყენილი იყო.

„წერილი უნდა მივწერო...“ — გაიფიქრა მან.

დუქნის დროშა წვიმისაგან დასველებულიყო და ჩამოკიდებულიყო. თვით სველსახურავიანი დუქანიც უფრო მუქი და დაბალი მოეჩვენა დიაკვანს, ვიდრე ადრე იყო. კართან ურემი იდგა; ქერბალაის, ვიღაც ორ აფხაზს და თათრის ახალგაზრდა შარვლიან ქალს, ცოლსა თუ შვილს ქერბალაისა, დუქნიდან რაღაცით სავსე ტომრები გამოჰქონდათ და ურემზე დაფენილ სიმინდის ჩალაზე ალაგებდნენ. ურემთან ორი თავჩაქინდრული ვირი იდგა. დატვირთვა რომ მოამთავრეს, აფხაზებმა და თათრის ქალმა ტომრებს ჩალა გადააფარეს და ქერბალაიც ურემში ვირების შებმას შეუდგა. „ალბათ, კონტრაბანდაა.“ — გაიფიქრა დიკვანმა.

აი, ქარიშხლისგან მოგლეჯილი ხე თავისი გამხმარი წიწვებით, აგერ, კოცონისგან დარჩენილი შავი ლაქა. დაწვრილებით გაახსენდა პიკნიკის ყოველი წვრილმანიც კი: ცეცხლი, აფხაზების სიმღერა, ტკბილი ოცნება მღვდელმთავრობასა და ლიტანიაზე... შავი მდინარე წვიმისაგან უფრო გაშავებულა და გაგანიერებულა. დიაკვანმა ფრთხილად გაიარა მეჩხერი ხიდი, რომელსაც მდინარის მღვრიე ტალღათა ქოჩორი უკვე თითქმის სწვდებოდა და კიბით ნალიაში ავიდა.

„დიდებული თავი აქვს! — ფიქრობდა ჩალაზე გაწოლილი დიაკვანი ფონ კორენზე. — კარგი თავი აქვს, ღმერთმა ჯანი მისცეს. ოღონდ, სასტიკია ეს თავი...“

რისთვის ეზიზღებათ და სძულთ ერთმანეთი ლაევსკისა და ფონ კორენს? რისთვის აიტეხეს ეს დუელი? მათ ბავშვობაში რომ ენახათ ისეთი გაჭირვება, როგორიც დიაკვანმა ნახა, რომ გაზრდილიყვნენ უმეცარ, უგულო ადამიანთა შორის, გამორჩენაზე დახარბებულ, ლუკმა პურის დამმადლებელ, უხეშ, გაუთლელ ხალხში, იატაკზე რომ აფურთხებენ და სადილობისას და ლოცვის დროს რომ აბოყინებენ, თუ ესენი ბავშვობაშივე არ ყოფილიყვნენ განებივრებული ცხოვრების საუკეთესო პირობებით და საუკეთესო

ადამიანთა გარემოცვით, მაშინ გენახათ, როგორ ჩაეჭიდებოდნენ ერთმანეთს, როგორი ხალისით აპატიებდნენ ერთმანეთს ნაკლს და როგორ დაუფასებდნენ იმას, რაც თითოეულ მათგანშია. მხოლოდ გარეგნულად წესიერი და პატიოსანი ადამიანებიც კი ცოტანი არიან ამ ქვეყნად!! მართალია ლაევსკი დამთხვეული, თავგასული და უცნაურია, მაგრამ არ იქურდებს, იატაკზე ხმაურით არ დააფურთხებს, ცოლს არ დააყვედრებს: „ჭამით გემრიელად ხეთქავ, მაგრამ მუშაობა არ გინდაო," ბავშვს აღვირით არა სცემს, მოსამსახურეებს დამპალ ღორის ხორცს არ აჭმევს — ნუთუ ეს საკმარისი არ არის, მოწყალებით მოექცე? ასეც რომ არ იყოს, ის ხომ თვითონ, პირველი იტანჯება საკუთარი ნაკლოვანებებისგან, როგორც დაჭრილი იარებისგან. იმის ნაცვლად, მოწყენილობისგან თუ რაღაც გაუგებრობისგან ერთმანეთში რომ ეძებენ გადაგვარებას, გაცამტვერებას, მემკვიდრეობითობას და სხვა ამისთანებს, რაც გაუგებარია, უკეთესი არ იქნება ოდნავ ძირს დაეშვან და სიძულვილი და რისხვა მიმართონ იქით, სადაც კვნესით გუგუნებენ მთელი ქუჩები სრული უვიცობისაგან, სიხარბისაგან, დამადლებისაგან, უსუფთაობისაგან, გინებისა და ქალების წივილ— კივილისაგან...

ეკიპაჟის ხმაურმა დიაკვანს ფიქრი შეაწყვეტინა. კარიდან გაიხედა და ეტლი დაინახა. ეტლში სამნი ისხდნენ: ლაევსკი, შემკოვსკი და ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის უფროსი.

— სდექ! — დაიძახა შემკოვსკიმ.

სამივე ჩამოვიდა ეტლიდან და ერთმანეთს შეხედეს.

— ისინი ჯერ არ მოსულან. — თქვა შემკოვსკიმ, თან ტანსაცმლიდან მტვერს იბერტყავდა, — რა გაეწყობა? სანამ დრო გვაქვს, ხელსაყრელი ადგილი მოვნახოთ. აქ ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს.

ისინი მდინარის ხეობას აუყვნენ და მალე თვალს მიეფარნენ. თათარი მეეტლე ეტლში ჩაჯდა და დაიძინა. დიაკვანმა ათ წუთს იცადა, მერე ნალიიდან გამოვიდა. რომ არავის შეემჩნია, შავი ქუდი მოიხადა. ხან ჩაჯდებოდა, ხან აქეთ - იქით იყურებოდა და ასე მიიკვლევდა გზას მდინარის ნაპირას, ბუჩქებსა და სიმინდის რიგებს

შორის; ხეებიდან და ბუჩქებიდან მსხვილი წვეთები ეპკურებოდა, ბალახი და სიმინდიც სველი იყო.

— ეს რა უბედურებაა! — ბურტყუნებდა დიაკვანი და უკვე დასველებულ და ტალახიან კაბის კალთებს იკეცავდა. — ეს რომ მცოდნოდა, არ წამოვიდოდი.

მალე ხმები მოესმა და დაინახა, ვინც ხმაურობდა. ლაევსკის ხელები სახელოებში შეეჩარა და წელში მოხრილი პატარა მინდორზე გამალებით ბოლთას სცემდა. მისი სეკუნდანტები ზედ მდინარის ნაპირთან იდგნენ და პაპიროსს ახვევდნენ.

„საკვირველია... — გაიფიქრა დიაკვანმა, რადგანაც ლაევსკის სიარული ვერ იცნო. — ბებერივით დააბიჯებს.“

— რა უპატივისმცემლობაა მათი მხრიდან! — თქვა ფოსტის მოხელემ, თან საათს დახედა. — შესაძლოა, განათლებულ ხალხისთვის დაგვიანება კარგიც არის, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ღორობაა.

მსუქანმა და შავწვერა შემკოვსკიმ ყური მიუგდო და თქვა:

— მოდიან!

თავი XIX

— რა საოცრებაა! სიცოცხლეში პირველად ვხედავ! — თქვა ფონ კორენმა, მინდორზე რომ გამოვიდა და ორივე ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა. — შეხედეთ: მწვანე ღრუბლები!

აღმოსავლეთით მთებს იქით ორი მწვანე ღრუბელი გაწოლილიყო და ეს, მართლაც, ლამაზი იყო. მზე ამოდიოდა.

— გამარჯობა! — განაგრძო ზოოლოგმა და ლაევსკის სეკუნდანტებს თავი დაუკრა. — ხომ არ დავაგვიანე?

მას უკან მიჰყვებოდნენ თავისი სეკუნდანტები, თითქმის ერთი სიმაღლის ძალიან ახალგაზრდა, თეთრ კიტელებში გამოწკეპილი ბოიკო და გოვოროვსკი და გამხდარი, ბაიყუში და მიუკარებელი ექიმი უსტიმოვიჩი, რომელსაც ცალ ხელში რაღაც ფუთა ეჭირა, მეორე კი ზურგს უკან ამოედო; როგორც წესი, ზურგის გასწვრივ ხელჯოხი დაჰქონდა. უსტიმოვიჩმა ფუთა მიწაზე დადო; არავის

მისალმებია. მეორე ხელიც ზურგს უკან ამოიდო და მინდორზე დააბიჯებდა.

ლაევსკი გრძნობდა დაღლილობასა და უხერხულობას იმ ადამიანისა, რომელიც, შესაძლოა, მალე მოკვდეს და ამიტომაც უნდა საყოველთაო ყურადღება მიიქციოს. მას უნდოდა, ან სასწრაფოდ მოეკლათ, ან შინ წაეყვანათ. მზის ამოსვლას ცხოვრებაში პირველად ხედავდა; ეს სისხამი დილა, მწვანე ღრუბლები, ნესტი, სველჩექმებიანი ადამიანები, თავის ცხოვრებაში ზედმეტად და უსარგებლოდ ეჩვენებოდა და აწუხებდა; ყოველივე ამას არაფერი აკავშირებდა წუხელ განცდილთან, თავის ფიქრებთან, დანაშაულის გრძნობასთან და ამიტომ სიამოვნებოთ წავიდოდა და დუელს არც კი დაუცდიდა.

ფონ კორენი შესამჩნევად იყო აღგზნებული და ცდილობდა ეს დაემალა იმით, თითქოს მწვანე ღრუბლები ყველაფერზე ძლიერ აინტერესებდა. შემცბარი სეკუნდანტები ერთმანეთს შესცქეროდნენ, თითქოს ეკითხებოდნენ, აქ რა გვინდა, რა უნდა ვაკეთოთო.

— ბატონებო, ვფიქრობ, სხვა ადგილის ძებნა საჭირო არ არის. — თქვა შეშკოვსკიმ. — აქაც კარგია.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ფონ კორენი.

სიჩუმე ჩამოდგა. უსტიმოვიჩი, ბოლთას რომ სცემდა, უცებ ლაევსკისკენ მკვეთრად შებრუნდა, სახეში შეასუნთქა და დაბალი ხმით უთხრა:

— თქვენთვის, ალბათ, ვერ მოასწრეს ჩვენი პირობები გაეცნოთ. თითოეული მხარე თხუთმეტ მანეთს გადაიხდის, ერთ-ერთი მეტოქის სიკვდილის შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილი სულ იხდის – 30 მანეთს!

ლაევსკი ადრეც იცნობდა ამ კაცს, მაგრამ მხოლოდ ახლა, ასე ცხადად პირველად შენიშნა მისი ჩამქრალი თვალები, ხეშეში ულვაშები და წვრილი, ჭლექიანის კისერი: ეს მევახშე უნდა იყოს, ექიმი კი არა! მის სუნთქვას უსიამო, საქონლის ხორცის სუნი ჰქონდა.

”როგორი ადამიანი არ შეხვდება კაცს ამ ქვეყნად,” — გაიფიქრა ლაევსკიმ და უპასუხა:

— კარგი. გასაგებია.

ექიმმა თავი დაუკრა და ისევ სიარულს მოჰყვა; ეტყობოდა, რომ მას ფული სრულებითაც არ ესაჭიროებოდა და რადგანაც სძულდა, მხოლოდ ამიტომ მოსთხოვა. ყველა გრძნობდა, რომ უკვე დროა დაეწყოთ თუ დაემთავრებინათ ის, რაც უკვე დაიწყო, მაგრამ არც იწყებდნენ, არც ამთავრებდნენ და მხოლოდ დადიოდნენ, იდგნენ და აბოლებდნენ. ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც პირველად ესწრებოდნენ დუელს და ახლაც არაფერი სჯეროდათ ამ საერო, მათი აზრით, უსარგებლო დუელისა, ყურადღებით ათვალიერებდნენ თავიანთ სამოსს და სახელოებს იუთოებდნენ. შეშკოვსკი მათთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

— ბატონებო, ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, დუელი რომ არ შედგეს. როგორმე უნდა შევარიგოთ. — გაწითლდა და განაგრძო, — წუხელ ჩემთან კირილინი იყო, ლაევსკიმ ის ნადეჟდა ფედოროვნასთან ერთად გამოიჭირა. და ამბავი... რამე...

— ეს ჩვენთვისაც ცნობილია, — თქვა ბოიკომ.

— აი, ხომ ხედავთ... ლაევსკის ხელები უკანკალებს და ამბავი... რამე... ახლა ეგ პისტოლეტსაც ვერ აწევს. მასთან ჩხუბი ისეთივე არაკაცობა იქნება, როგორც მთვრალთან ან ტიფით შეპყრობილთან. თუ ვერ შევარიგეთ, მაშინ, ეგებ, როგორმე გადავდოთ ეს დუელი, ბატონებო. აღარც კი ვიცი, როგორ მოვიქცეთ, დალახვროს ეშმაკმა!

— ფონ კორენს მოელაპარაკეთ.

— დუელის წესები არ ვიცი და ეშმაკსაც წაუღია, არც მინდა, ვიცოდე. ეგებ, ეგონოს, ლაევსკი შეშინდა და მიმაგზავნა. თუმცა, როგორც ენებოს, მე მაინც დაველაპარაკები.

შეშკოვსკიმ გაუბედავად, კოჭლობით, თითქოს ფეხი დაუბუჟდა, მიაშურა ფონ კორენს და ვიდრე მიდიოდა და მიყიყინებდა, მთელი მისი სხეული სიზარმაცით სუნთქავდა.

— აი, რას გეტყვით, მოწყალეო ხელმწიფევ, — დაიწყო მან და თან ზოოლოგის პერანგზე ყვავილებს ყურადღებით ათვალიერებდა. — ეს კონფიდენციალურია... დუელის წესები არ ვიცი და, ეშმაკსაც წაუღია, არც მინდა ვიცოდე. როგორც სეკუნდანტი კი არა ან რამე ამბავი, როგორც ადამიანი ისე ვმსჯელობ და ეგ არის.

— დიახ. გისმენთ?

— როცა სეკუნდანტები შერიგებას ითხოვენ, მათ, როგორც წესი, ყურს არ უგდებენ, ფორმალობაა, ამბობენ. თავმოყვარეობა და ასე შემდეგ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ივან ანდრეიჩს მიაქციოთ ყურადღება. ის დღეს არანორმალურ მდგომარეობაშია, როგორც იტყვიან, ჭკუაზე არ არის და საცოდავია. უბედურება ეწია. ჭორებს ვერ ვიტანს, — შეშკოვსკი გაწითლდა და მიიხედ-მოიხედა, — მაგრამ, რადგან დუელია, საჭიროდ ვთვლი, შეგატყობინოთ: გუშინ, საღამოს მიურიდოვის სახლში ლაევსკიმ თავისი ქალბატონი... ერთ ბატონთან ურთიერთობაში გამოიჭირა.

— რა საზიზღრობაა! — ჩაიბურტყუნა ზოოლოგმა; გაფითრდა, დაიჭყანა და ხმამაღლა გადააფურთხა: — ფუი!

ქვედა ტუჩი აუთრთოლდა; შეშკოვსკის მოცილდა, მეტი რომ არაფერი გაეგონა და თითქოს უნებურად რაღაც მწარე გასინჯაო, ისევ ხმამაღლა გადააფურთხა; და პირველად მთელი დილის განმავლობაში, ზიზღით გახედა ლაევსკის. აღგზნებამ და უხერხულობამ გაუარა, თავი შეარხია და ხმამაღლა თქვა:

— ბატონებო, რაღას ვუცდით, გეკითხებით, რატომ არ ვიწყებთ?

შეშკოვსკიმ ოფიცრებს გადახედა და მხრები აიჩეჩა:

— ბატონებო! — თქვა მან ხმამაღლა, არავისთვის მიუმართავს. — ბატონებო! წინადადებას გაძლევთ, შერიგდეთ!

— სასწრაფოდ მოვამთავროთ ეს ფორმალობები, — თქვა ფონ კორენმა. — შერიგებაზე უკვე ვილაპარაკეთ. შემდეგი ფორმალობა რაღაა? დავუჩქაროთ, ბატონებო, თორემ დრო არ იცდის!

— შერიგებას მაინც მოვითხოვთ. — დამნაშავესავით თქვა შეშკოვსკიმ, თითქოს ის კაცი ყოფილიყო, რომელიც იძულებულია, სხვის საქმეში ჩაერიოს; გაწითლდა, გულზე ხელი დაიდო და განაგრძო: — ბატონებო, ჩვენ ვერ ვხედავთ მიზეზობრივ კავშირს შეურაცხყოფასა და დუელს შორის. იმ შეურაცხყოფას, რასაც ჩვენ ხანდახან ადამიანური სისუსტის გამო ერთმანეთს მივაყენებთ ხოლმე, დუელთან არავითარი საერთო არ აქვს. თქვენ უნივერსიტეტელები, განათლებული ადამიანები ხართ და, რა თქმა უნდა, დუელში თვითონვე ხედავთ მოძველებულ, ფუჭ

ფორმალობას და რამე ამბავი. ჩვენც ამავე აზრისა გახლავართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ წამოვიდოდით, რადგანაც არ შეგვიძლია დავუშვათ, ჩვენი თანდასწრებით, ჩვენ თვალწინ კაცმა კაცს ესროლოს. აი, ასე. — შეშკოვსკიმ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და განაგრძო: — ბოლო მოუღეთ, ბატონებო, ამ თქვენ გაუგებრობას, მიეცით ხელი ერთმანეთს, შინ დავბრუნდეთ და შევსვათ დაზავებისა. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ასე აჯობებს, ბატონებო!

ფონ კორენი სდუმდა. ლაევსკიმ შენიშნა, რომ უყურებენ და თქვა:

— ნიკოლაი ვასილევიჩის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ მას დამნაშავედ მივაჩნივარ, მზად ვარ ბოდიში მოვუხადო.

ფონ კორენს ეწყინა.

— ბატონებო, როგორც ვხედავ, — თქვა მან. — თქვენ ხელს გაძლევთ, რომ ბატონი ლაევსკი შინ სულგრძელ კაცად და რაინდად დაბრუნდეს. მაგრამ მე ვერც თქვენა და ვერც იმას ასეთ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ. მაშინ რა საჭირო იყო ასე ადრე ავმდგარიყავით, ქალაქიდან ათი ვერსი გვემგზავრა მხოლოდ იმიტომ, რომ დაზავებისა შეგვესვა, ზედ რაიმე დაგვეყოლებინა და ჩემთვის აგეხსნათ, რომ დუელი მოძველებული ფორმალობაა. დუელი დუელია და საჭირო არ არის უფრო მეტ სისულელედ და სიყალბედ ვაქციოთ, ვიდრე სინამდვილეშია. მე შებრძოლება მსურს!

სიჩუმე ჩამოვარდა. ოფიცერმა ბოიკომ ყუთიდან ორი პისტოლეტი ამოიღო; ერთი ფონ კორენს მისცეს, მეორე – ლაევსკის. მერე ცოტათი დაიბნენ, რამაც მცირე ხნით ზოოლოგი და სეკუნდანტები გაახალისა. აღმოჩნდა, რომ დამსწრეთაგან არცერთი არასოდეს ყოფილა დუელზე და ზუსტად არავინ იცოდა, როგორ დამდგარიყვნენ, რა უნდა ეთქვათ ან რა უნდა ექნათ სეკუნდანტებს. მაგრამ ბოიკომ, ბოლოს და ბოლოს, გაიხსენა და დაიწყო ღიმილით ახსნა და განმარტება.

— ბატონებო, არავის გახსოვთ ლერმონტოვს როგორა აქვს აღწერილი? — სიცილით იკითხა ფონ კორენმა. — ტურგენევთანაც, მგონი, ბაზაროვმა ესროლა ვიღაცას...

— ხსოვნა რად გინდათ? — თქვა უსტინოვიჩმა და შეჩერ-და. — მანძილი გაზომეთ და ეგ არის და ეგ.

და სამჯერ ისე გადააბიჯა, რომ ყველა მიმხვდარიყო, ეს როგორ კეთდება. ბოიკომ ნაბიჯებით მანძილი მოზომა. მისმა ამხანაგმა ხმალი იშიშვლა და მიწა იმ უკიდურეს წერტილებში გაჩხაპნა, ბარიერი რომ გამოკვეთილიყო.

მოწინააღმდეგენი, სრულ საყოველთაო სიჩუმეში, ადგილზე დადგნენ.

"თხუნელები", — გაიხსენა ბუჩქებში მჯდარმა დიაკვანმა.

შეშკოვსკი რაღაცას ამბობდა, ბოიკო რაღაცას ისევ განმარტავდა, მაგრამ ლაევსკის არ ესმოდა, ან უფრო სწორედ, ესმოდა, თუმცა ვერ გაეგო ვერაფერი. როცა ამის დრო დადგა, ჩახმახი შეაყენა, მძიმე ცივი პისტოლეტის ლულა ზემოთ აღმართა. მას პალტოს შეხსნა დაავიწყდა, მხრებსა და იღლიებში უჭერდა და ხელი ისე უხერხულად იწეოდა, თითქოს სახელო თუნუქისაგან იყო შეკერილი. მან გაიხსენა შავგვრემანი შუბლისა და ხუჭუჭი თმების გუშინდელი სიძულვილი და იფიქრა, რომ გუშინ უძლიერესი სიძულვილისა და მრისხანების წუთებშიც კი ვერ შეძლებდა ადამიანისთვის ესროლა. იმის შიშით, ფონ კორენს ტყვია შემთხვევით არ მოხვდესო, პისტოლეტს უფრო და უფრო ზემოთ სწევდა, თუმცა გრძნობდა, რომ ეს ფრიად მოჩვენებითი სულგრძელობა არც დელიკატური იყო და არც სულგრძელი, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო და არც იცოდა. ფონ კორენის გაფითრებულ, დამცინავად გაღიმებულ სახეს რომ უცქერდა, რომელიც, როგორც ჩანს, თავიდანვე დარწმუნებული იყო, მოწინააღმდეგე ჰაერში ისროდა, ლაევსკი ფიქრობდა, რომ, მადლობა ღმერთს, ახლა ყველაფერი დამთავრდება და რომ აი, ახლა მხოლოდ საჭიროა ჩახმახის ფეხი ცოტა მაგრა მოქაჩოს...

ძლიერი უკუცემა იგრძნო მხარში, გაისმა სროლა და პასუხად მთებიდანაც მოისმა ექოს ხმა: ბახ - ბუხ!

ფონ კორენმაც მოზიდა ჩახმახი და გახედა უსტინოვიჩს, რომელიც ძველებურად ზურგზე ხელებდაწყობილი ბოლთასა სცემდა და ყურადღებას არაფერს არ აქცევდა.

— ექიმო, — თქვა ზოოლოგმა, — თუ შეიძლება, კეთილი ინებეთ და ქანქარასავით ნუ დადიხართ. თქვენს გამო თვალები მიჭრელდება.

ექიმი გაჩერდა. ფონ კორენმა ლაევსკის დაუმიზნა.

”გათავდა!” — გაიფიქრა ლაევსკიმ.

პირდაპირ სახეში დამიზნებული პისტოლეტის ლულა, ფონ კორენის პოზაში და ფიგურაში გამოხატული სიძულვილისა და ზიზღის გრძნობა, და ეს მკვლელობა, რომელსაც ახლა ჩაიდენს პატიოსანი კაცი დღისით, მზისით, პატიოსანი ადამიანების თანდასწრებით, და ეს სიჩუმე, ეს გამოუცნობი ძალა, რომელიც ლაევსკის აიძულებს იდგეს და არ გაიქცეს, – ეს ყველაფერი რა გაუგებარია, რა იდუმალი და რა საზარელი! დრო, ვიდრე ფონ კორენი უმიზნებდა, ლაევსკის ღამეზე უგრძესად ეჩვენა. მუდარით შეხედა სეკუნდანტებს; ისინი, გაფითრებულები უძრავად იდგნენ.

”მესროლე, ჩქარა!” — ფიქრობდა ლაევსკი და გრძნობდა, რომ მისი გაფითრებული, აკანკალებული, საცოდავი სახე ფონ კორენში, ალბათ, უფრო მეტ სიძულვილს იწვევდა.

”ამას ახლა მოვკლავ, — ფიქრობდა ფონ კორენი, შუბლში უმიზნებდა და თითით ჩახმახის ფეხს უკვე გრძნობდა. — ჰო, რასაკვირველია, მოვკლავ...”

— მოკლავს! — მოულოდნელად გაისმა განწირული ყვირილი სადღაც, ძალიან ახლოს.

იმ წამსვე გაისმა სროლის ხმაც. როცა დაინახეს, რომ ლაევსკი ადგილზე დგას და არ დაეცა, ყველამ იქით გაიხედა, საიდანაც ყვირილი მოესმათ და დიაკვანი დაინახეს. გაფითრებული, შუბლსა და ლოყებზე ჩამოშლილი სველი თმებით, მთლად გალუმპული და ტალახში ამოსვრილი დიაკვანი მეორე ნაპირზე სიმინდებში იდგა, როგორღაც უცნაურად იღიმებოდა და შავ ქუდს იქნევდა.

შეშკოვსკი სიხარულისაგან ახარხარდა, მერე ცრემლი მოერია და განზე გადგა.

თავი XX

ოდნავ მოგვიანებით ფონ კორენი და დიაკვანი ერთმანეთს ხიდთან შეხვდნენ. დიაკვანი აღელვებული იყო, მძიმედ სუნთქავდა და ზოოლოგს თვალს არიდებდა. რცხვენოდა გამომჟღავნებული შიშისა

და სველი ტალახიანი სამოსის გამოც.

— მომეჩვენა, მისი მოკვლა გინდოდათ... — ჩაიბურტყუნა მან. — როგორ ეწინააღმდეგება ეს ადამიანის ბუნებას! რა ფრიად არაბუნებრივი საქციელია!

— აქ როგორ აღმოჩნდით? — ჰკითხა ფონ კორენმა.

— ნუ მკითხავთ! — ხელი ჩაიქნია დიაკვანმა. — უწმინდურმა მაცდუნა: წადი და წადიო... ჰოდა, მეც წამოვედი და შიშისგან კინაღამ სიმინდებში სული განვუტევე. მაგრამ ახლა, მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... თქვენი საქციელით უკიდურესად კმაყოფილი ვარ. — ბურტყუნებდა დიაკვანი. — ჩვენი ტარა-ნტულ-პაპაც კმაყოფილი დარჩება... რამდენს ვიცინებთ! ოღონდ, უმორჩილესად გთხოვთ, არავის უთხრათ, აქ რომ ვიყავი, თორემ უფროსობისაგან ქეჩოში აუცილებლად მომხვდება. იტყვიან: დიაკვანი სეკუნდანტი იყოო.

— ბატონებო! — თქვა ფონ კორენმა. — დიაკვანი გთხოვთ, არავის უთხრათ, აქ რომ ნახეთ. შესაძლებელია, უსიამოვნება შეხვდეს.

— ოჰ, როგორ ეწინააღმდეგება ეს ადამიანის ბუნებ-ას! — ამოიოხრა დიაკვანმა. — თქვენი სულგრძელობის იმედი მაქვს. იმედია, მომიტევებთ, მაგრამ ისეთი სახე გქონდათ, ვიფიქრე, აუცილებლად მოკლავს— მეთქი!

— ძლიერმა ცდუნებამ დამრია ხელი, ეგ არამზადა მომეკლა, — თქვა ფონ კორენმა, — მაგრამ თქვენ ზუსტად სროლის დროს იყვირეთ და ავაცდინე. მთელი ეს პროცედურა მაინც საზიზღრობაა მიუჩვეველისათვის და ძლიერ დამღალა, დიაკვანო. ძალიან დავსუსტდი. წავიდეთ... გავემგზავროთ...

— არა, ნება მიბოძეთ ფეხით დავბრუნდე, უნდა გავშრე, თორემ დავსველდი და გავიყინე.

— როგორც გენებოთ, — თქვა მოთენთილი ხმით დასუსტებულმა ზოოლოგმა, ეტლში ჩაჯდა და თვალები მილულა. — როგორც გენებოთ...

ვიდრე ესენი ეკიპაჟთან მოძრაობდნენ, სხდებოდნენ, ქერბალაი გზისპირას იდგა, ორივე ხელი მუცელზე დაეწყო, თავს მიწამდე ხრიდა და კბილებს აჩენდა: მას ეგონა, ბატონები ბუნებით ტკბობისა

და ჩაის დასალევად მობრძანდნენ და ვერ მიმხვდარიყო, ეტლებში რატომ სხდებოდნენ. საერთო სიჩუმეში მატარებელი დაიძრა და დუქანთან მხოლოდ დიაკვანი დარჩა.

— დუქანში მივალ, ჩაის დალევს, — უთხრა მან ქერბალაის. — მე ჭამა უნდა.

ქერბალაი რუსულად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ დიაკვანს ეგონა, თათარი უფრო კარგად გაუგებდა მის დამტვრეულ რუსულს.

— ერბო-კვერცხი შეწვას, ყველიც მისცეს...

— მოდი, მოდი, მღვდელო, — უპასუხა ქერბალაიმ და თავი დაუკრა. — ყველაფერს მოგცემ... ყველიცა მაქვს და ღვინოც... მიირთვი, რასაც ინებებ.

— თათრულად როგორ გამოითქმის ღმერთი? — იკითხა დიაკვანმა, დუქანში რომ შედიოდა.

— შენი და ჩემი ღმერთი ერთია, — უპასუხა ქერბალაიმ, რადგანაც ვერ გაიგო, რა ჰკითხეს. — ღმერთი ყველას ერთი ჰყავს, ოღონდ, ადამიანები არიან სხვადასხვანაირი. გინდ რუსი იყო, გინდა – თურქი ან ინგლისელი – სხვადასხვა ხალხი ბევრია, ღმერთი კი – ერთი!

— კარგი, ეგრე იყოს. თუ ყველა ხალხი ერთ ღმერთს ეთაყვანება, მაშინ თქვენ, მუსლიმანებს ქრისტიანები რატომ მიგაჩნიათ მარადიულ მტრებად?

— რად ბრაზობ? — თქვა ქერბალაიმ და ხელები მუცელზე დაიწყო. — შენ მღვდელი ხარ, მე – მუსლიმანი, შენ მეუბნები – მშიაო, მე პურს გაჭმევ... მხოლოდ მდიდარი არჩევს, რომელი ღმერთი ვისია, შენი თუ ჩემი. ღარიბისთვის კი სულ ერთია. მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს.

ვიდრე დუქანში საბუნებისმეტყველო პაექრობა ხურდებოდა, ლაევსკი შინ ბრუნდებოდა და იგონებდა, რა საშინელება იყო მისთვის ალიონზე მგზავრობა, როცა გზა, კლდეები და მთები სველი და ჩამუქებული იყო, ხოლო უცნობი მომავალი ისეთი საშინელი ჩანდა, როგორც უძირო უფსკრული. ახლა კი ქვებსა და ბალახებზე დაკიდებული წვიმის წვეთები მზისაგან ალმასებივით ბრწყინავდნენ, ბუნება ხალისიანად იღიმებოდა და საშინელი მომავალიც სადღაც უკან დარჩა. ის შესცქეროდა შემკოვსკის მოღუშულ ნამტირალევ

სახეს, წინა ორ ეტლს, რომელშიც ფონ კორენი, მისი სეკუნდანტები და ექიმი ისხდნენ და ეგონა, თითქოს ისინი – ყველა ბრუნდებოდნენ სასაფლაოდან, სადაც ეს წუთია დამარხეს მძიმე, აუტანელი ადამიანი, ყველას სიცოცხლეს რომ უმწარებდა.

"დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა," — ფიქრობდა ის თავის წარსულზე და ფრთხილად ისვამდა თითებს კისერზე.

მას კისრის მარჯვენა მხარეს, საყელოსთან, ამოებურცა პატარა სიმსივნე, სიგრძითა და სიგანით ნეკა თითისხელა და ისე სტკიოდა, თითქოს ვინმემ ცხელი უთო მიადო. ასეთი კონტუზია ტყვიამ გამოიწვია. შინ რომ დაბრუნდა, მისთვის გაიწელა გრძელი, ტკბილი, უცნაური და ბუნდოვანი დღე, თითქოს ბურანში იყო. როგორც ციხიდან ან საავადმყოფოდან ახლადგამოშვებული, უკვირდებოდა დიდი ხნის ნაცნობ საგნებს და უკვირდა, რომ მაგიდები, ფანჯრები, სკამები, სინათლე და ზღვა მასში იწვევდა ცოცხალ, ბავშვურ სიხარულს, რაც ძალიან დიდი ხანია აღარ განუცდია. ფერმკრთალ და ძალზე გამხდარ ნადეჟდა ფედოროვნას არ ესმოდა მისი თვინიერი ხმა და უცნაური მიხრა-მოხრა; ის ჩქარობდა ლაევსკისათვის ეთქვა ყველაფერი, ყველაფერი, რაც გადახდა... ეგონა, რომ მას ცუდად ესმის ან არ ესმის მისი და თუ ყველაფერს გაიგებს, დასწყევლის და მოკლავს; ის კი ისმენდა მას, თმასა და სახეზე ეფერებოდა, თვალებში ჩასცქეროდა და ეუბნებოდა:

— შენს მეტი არავინა მყავს...

მერე ისინი ჩახუტებულები დიდხანს ისხდნენ ბაღჩაში და სდუმდნენ. ან ხმამაღლა ოცნებობდნენ თავიანთ მომავალ ბედნიერ ცხოვრებაზე. საუბრობდნენ მოკლედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით და ლაევსკის ეგონა, რომ თავის სიცოცხლეში ასე გრძლად და ლამაზად არასდროს უთქვამს რაიმე.

თავი XXI

სამ თვეზე მეტი გავიდა.

დადგა დღე, ფონ კორენმა გასამგზავრებლად რომ აირჩია. სისხამ დილიდანვე მსხვილი, ცივი წვიმა მოდიოდა, ნორდ-ოსტი ქარი

ქროდა და ზღვა მძლავრ ტალღებად ღელავდა. ამბობდნენ, ასეთ ამინდში გემი რეიდზე შეიძლება არც შემოვიდესო. განრიგით დილის ათ საათზე უნდა მოსულიყო. ფონ კორენი შუადღისას და სადილის შემდეგაც გამოვიდა სანაპიროზე, მაგრამ ბინოკლში ვერაფერი დაინახა, გარდა თალხი ტალღებისა და წვიმისა, ჰორიზონტს რომ ფარავდნენ.

დღის ბოლოს წვიმამ გადაიღო და ქარიც შესამჩნევად შესუსტდა. ფონ კორენი უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ დღეს ვეღარ გაემგზავრებოდა და სამოილენკოსთან ერთად ჭადრაკს ჩაუჯდა; მაგრამ დაბნელდა თუ არა, დენშჩიკმა მოახსენა, ზღვაში სინათლეები გამოჩნდა და შუშხუნაც დაინახესო.

ფონ კორენი აჩქარდა; ჩანთა მხარზე გადაიკიდა, სამოილენკო და დიაკვანი გადაკოცნა, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ყველა ოთახი მოიარა, დენშჩიკსა და მზარეულ ქალს გამოეთხოვა და ქუჩაში მაინც იმ შეგრძნებით გამოვიდა, თითქოს ექიმთან ან საკუთარ ბინაში რაღაც დარჩა. ქუჩაში ის და სამოილენკო ერთად მიდიოდნენ, უკან დიაკვანი მოჰყვებოდა, ყუთი მოჰქონდა; ბოლოს, დენშჩიკი ორ ჩემოდანს მოათრევდა. ზღვაში მბჟუტავ სინათლეს მხოლოდ სამოილენკო და დენშჩიკი ხედავდნენ, დანარჩენები წყვდიადს გაჰყურებდნენ და ვერაფერს ამჩნევდნენ. გემი ნაპირიდან შორს იდგა.

— იჩქარეთ, იჩქარეთ, — ჩქარობდა ფონ კორენი. — მეშინია, გემი უჩემოდ არ წავიდეს!

როცა ჩაუარეს სამფანჯრიან სახლს, რომელშიც ლაევსკი დუელის შემდეგ მალე გადასახლდა, ფონ კორენმა თავი ვერ შეიკავა და ფანჯარაში შეიჭყიტა. მაგიდაზე გადახრილი ლაევსკი ფანჯრისკენ ზურგით იჯდა.

— მიკვირს, — ჩუმად თქვა ზოოლოგმა. — თავს როგორ მოერია!

— დიახ, ეგ მართლაც გაკვირვების ღირსია, — ამოისუნთქა სამოილენკომ. — აი, დილიდან დაღამებამდე სულ ასე ზის და მუშაობს. ვალები აქვს გადასახდელი. მაგრამ, ძმაო, მათხოვარივით ცხოვრობს!

სიჩუმეში ნახევარი წუთი გავიდა. ზოოლოგი, ექიმი და დიაკვანი

ფანჯარასთან იდგნენ და ისევ ლაევსკის შეჩერებოდნენ.

— ვერა და ვერ გაემგზავრა აქედან საცოდავი, — თქვა სამოილენკომ. — გახსოვს, რამდენს ჩალიჩობდა?

— მახსოვს. მაგრა აჯობა საკუთარ თავს. — გაიმეორა ფონ კორენმა. — მისი ქორწილი, ლუკმა პურისთვის ოცდაოთხსაათიანი შრომა, სახის როგორღაც ახლებური გამომეტყველება და სიარულის მანერაც კი – ეს ყველაფერი იმდენად არაჩვეულებრივია, არც კი ვიცი, რა დავარქვა, — ზოოლოგმა სამოილენკოს სახელოში ჩაავლო ხელი და აღელვებულმა განაგრძო. — გადაეცი მას და მის მეუღლეს, რომ გამგზავრების წინ ძალიან მიკვირს მათი და ყოველივე კარგს ვუსურვებ... ლაევსკი მიცნობს. იცის, მაშინ რომ მეწინასწარმეტყველა ეს ფერიცვალება, შესაძლოა, მისი საუკეთესო მეგობარი გავმხდარიყავი.

— შედი და გამოემშვიდობე.

— არა. უხერხულია.

— რატომ? ღმერთმა უწყის, ნახავთ კი ოდესმე ისევ ერთმანეთს?

ზოოლოგი დაფიქრდა და თქვა:

— მართალი ხარ.

სამოილენკომ თითით ფრთხილად დააკაკუნა ფანჯარაზე. ლაევსკი შეკრთა და შემობრუნდა.

— ვანია, ნიკოლაი ვასილევიჩს შენთან გამომშვიდობება სურს. — თქვა სამოილენკომ. — ახლავე მიემგზავრება. გზაზე დგას.

ლაევსკი მაგიდას მოშორდა და კარის გასაღებად წინკარში გავიდა. სამოილენკო, ფონ კორენი და დიაკვანი სახლში შევიდნენ.

— ერთი წუთით შემოვირბინე, — დაიწყო ზოოლოგმა, თან წინკარში სატუცავს იხდიდა და უკვე ნანობდა, გრძნობებს რომ აჰყვა და დაუპატიჟებლად შემოვიდა. "თითქოს საკუთარ პერსონას თავს ვახვევ, — გაიფიქრა, — ეს კი სულელური საქციელია". — მომიტევეთ, რომ შეგაწუხეთ. — თან ლაევსკის ოთახში შეჰყვა, — უკვე მივემგზავრები და გულმა თქვენსკენ გამომიწია. უფალმა უწყის, შევხვდებით კი ოდესმე.

— მოხარული ვარ... უმორჩილესად გთხოვთ, — თქვა ლაევსკიმ და სტუმრებს უხერხულად დაუდგა სკამები, თითქოს სურს გზა

გადაუღობოსო. თვითონ ხელების ფშვნეტით შუა ოთახში გაჩერდა.

"ეს მოწმეები ქუჩაში უნდა დამეტოვებინა", — გაიფიქრა ფონ კორენმა და მტკიცედ წარმოსთქვა: — ავად ნუ მომიგონებთ, ივან ანდრეიჩ. წარსულის დავიწყება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ძალიან სევდიანი იყო, და არც მე მოვსულვარ იმისთვის, ბოდიში მომეხადა ან დამერწმუნებინეთ, დამნაშავე არა ვარ - მეთქი. გულწრფელად ვმოქმედებდი და ჩემი რწმენა მას შემდეგ არ შემიცვლია... მართალია, ჩემდა ფრიად სასიხარულოდ, როგორც ახლა ვხედავ, თქვენში შევმცდარვარ... მაგრამ სწორ გზაზეც ეშლებათ ხოლმე ფეხი. ასეთი ყოფილა ადამიანის ბედი: მთავარში თუ არ შეცდი, კერძო რამ შეგეშლება. ჭეშმარიტი სიმართლე არავინ იცის.

— დიახ, სიმართლე არავინ იცის... — თქვა ლაევსკიმ.

— აბა... ნახვამდის... ღმერთმა ყველაფერი საუკეთესო მოგცეთ.

ფონ კორენმა ლაევსკის ხელი გაუწოდა; ლაევსკიმ ხელი ჩამოართვა და თავი დაუკრა.

— ავად ნუ გამიხსენებთ, — თქვა ფონ კორენმა. — თქვენი მეუღლე მომიკითხეთ და უთხარით, ძალიან ნანობდა, რომ არ გამოგემშვიდობათ - თქო!

— შინ არის.

ლაევსკი კართან მივიდა და მეორე ოთახში შესძახა:

— ნადია, ნიკოლაი ვასილევიჩს შენთან დამშვიდობება სურს.

ნადეჟდა ფედოროვნა შემოვიდა; კართან გაჩერდა და სტუმრებს მორიდებით შეხედა. ისეთი შეშინებული სახე ჰქონდა, თითქოს დანაშაული ჩაიდინა. ხელებიც ისე ჩამოეშვა, როგორც გიმნაზიელს, საყვედურს რომ უცხადებენ.

— ნადეჟდა ფედოროვნა, მივემგზავრები. — თქვა ფონ კორენმა. — გამოსამშვიდობებლად მოვედი.

ქალმა გაუბედავად გაუწოდა ხელი, ლაევსკიმ კი თავი დახარა.

"რა საცოდავები არიან ორივენი! — გაიფიქრა ფონ კორენმა. — ასეთი ცხოვრება იაფი არ უჯდებათ." — მოსკოვსა და პეტერბურგში ვიქნები, — იკითხა, — ხომ არაფერს ისურვებდით გამოგიგზავნოთ?

— რა გითხრათ? — უპასუხა ნადეჟდა ფედოროვნამ და აფორიაქებულმა ქმარს გადახედა. — მგონი, არაფერი...

— არაფერი, არაფერი... — დაუმატა ლაევსკიმ ხელების ფშვნეტით. — მოგვიკითხეთ.

ფონ კორენმა არ იცოდა, რა შეიძლებოდა და რა უნდა ეთქვა; შემოსვლისას კი ფიქრობდა, ძალიან ბევრ კარგსა და საქებარ სიტყვებს ეტყოდა – თბილსა და მნიშვნელოვანს. მან ჩუმად ჩამოართვა ხელი ლაევსკის და მის ცოლს და დამძიმებული გამოვიდა გარეთ.

— რა ხალხი ხართ! — ხმადაბლა ამბობდა დიაკვანი. — ღმერთო ჩემო, რა ხალხი ხართ! უფლის მარჯვენამ ჭეშმარიტად აქ მოაშენა ვენახი ესე! ღმერთო, ღმერთო! ერთმა დაამარცხა ათასი, მეორემ კი – წყვდიადი. ნიკოლაი ვასილიჩ, — თქვა აღტაცებულმა. — იცით თუ არა, რომ დღეს თქვენ დაამარცხეთ ადამიანთა უდიდესი და უბოროტესი მტერი – სიამაყე!

— კმარა, დიაკვანო! ჩვენ რა გამარჯვებულები ვართ? მძლეველნი არწივებს ჰგვანან. ეს კი ისეთი საცოდავი, დამფრთხალი, დაჩაგრულია, მოსალმებისას თავს ჩინელი აბუეტივით იქნევს, მე კი... ნაღველი მომედო.

უკნიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ლაევსკი გასაცილებლად მორბოდა. ნავმისადგომზე დენშჩიკი იდგა თავის ჩემოდნებიანად. ცოტა მოშორებით – ოთხი მენიჩბე.

— მაინც როგორ უბერავს... ბრრრ! — თქვა სამოილე-ნკომ. — ზღვაში, ალბათ, შტორმია. ვაი, ვაი! ცუდ დროს მიდიხარ, კოლია.

— ზღვის ავადმყოფობისა არ მეშინია.

— მაგას არ გეუბნები... არ ამოგაყირაონ ამ სულელებმა. აგენტების კანჯოთი უნდა წასულიყავი. აგენტთა კანჯო სად არის? — დაუყვირა მენიჩბეებს.

— წავიდა, თქვენო აღმატებულებავ.

— მებაჟეებისა?

— ისიც წავიდა.

— რატომ არ მოგვახსენეს? — გაბრაზდა სამოილენ-

კო. — რეგვენები!

— რა მნიშვნელობა აქვს? ნუ ღელავ... — თქვა ფონ კორენმა. — აბა, მშვიდობით, უფალი გფარავდეთ.

სამოილენკო ფონ კორენს გადაეხვია და პირჯვარი სამგზის გადაწერა.

— ნუ დამივიწყებ, კოლია... მომწერე... მომავალ გაზაფხულს გელოდები.

— ნახვამდის, დიაკვანო, — უთხრა დიაკვანს ფონ კორენმა და ხელი ჩამოართვა. — გმადლობ თანადგომისათვის, კარგი საუბრებისთვის. ექსპედიციაზე იფიქრეთ.

— ღმერთო, თქვენ სამყაროს დასასრულამდე გამოგყვებით! — გაიცინა დიაკვანმა. — განა წინააღმდეგი ვარ?

ფონ კორენმა სიბნელეში ლაევსკი იცნო და ჩუმად გაუწოდა ხელი. მენიჩბეები უკვე ქვემოთ იდგნენ და ხელით ეჭირათ ნავი, რომელიც ეხეთქებოდა ხიმინჯებს, დიდი რხევისაგან ვითომ რომ იცავდნენ ნავს. ფონ კორენი ტრაპს ჩაუყვა, ნავში ჩახტა და საჭესთან მოკალათდა.

— მომწერე, — დაუყვირა მას სამოილენკომ. — თავს გაუფრთხილდი!

"ჭეშმარიტი სიმართლე არავინ იცის," — ფიქრობდა ლაევსკი, თან საყელოს იწევდა და ხელებს სახელოებში იჩრიდა.

ნავმა მარჯვედ შემორკალა ნავმისადგომი და გაშლილ სივრცეში შეცურა. მერე ტალღებში დაიკარგა, თუმცა უძირო ღრმულიდან მაშინვე ამოიწვერა, მაღალ ტალღაზე შესრიალდა და ისე ცხადად გამოჩნდა, ადამიანებსაც და ნიჩბებსაც კი გაარჩევდით. ნავმა სამი საჟენი გაცურა, მაგრამ ტალღებმა ორი საჟენით უკან ისროლეს.

— მომწერე! — იყვირა სამოილენკომ. — რაღა ამ ამინდში აგიტყდა მგზავრობა!

"ასეა, ჭეშმარიტი სიმართლე არავინ იცის"... — ფიქრობდა ლაევსკი და მშფოთვარე ჩაშავებულ ზღვას სევდიანად გასცქეროდა.

"ნავს უკან ისვრის, — ფიქრობდა ის, — ორ ნაბიჯს წინ თუ გადადგამს, ერთით უკან იხევს. მაგრამ ჯიუტი მენავეები ნიჩბებს დაუღალავად უსვამენ და მაღალი ტალღებისა არ ეშინიათ. ნავი სულ წინ – წინ მიიწევს. აი, უკვე აღარა ჩანს. ნახევარი საათის

შემდეგ მენავეები ნათლად დაინახავენ გემის სინათლეებს და ერთი საათის შემდეგ კი უკვე გემის ტრაპს მიადგებიან. ცხოვრებაშიც ასეა... სიმართლის ძებნაში ადამიანები ორ ნაბიჯს წინ გადადგამენ, ერთს – უკან. ცხოვრებისეული ტანჯვა, შეცდომები და დარდი მათ უკან აბრუნებენ, მაგრამ სიმართლის ცოდნის წყურვილი და ჯიუტი ნებისყოფა წინ და სულ წინ ერეკება. ვინ იცის? ეგებ, ჭეშმარიტ სიმართლემდისაც მისცურონ...

— მშვიდობიიიიით! — იყვირა სამოილენკომ.

— არცა რა ჩანს და არცა რა ისმის! — სთქვა დიაკვანმა. — ბედნიერი გზით გევლოს!

წამოწვიმა.

ა. ჩეხოვი

დუელი

9 789941 274152